

გოგლი შალიკაძეონი  
(არაგველი)

ჩუსთავის კანდიდატ

გამომცემობა „ეგრისი“

თბილისი 2010



რედაქტორი ზაურ მოლაშვილი

მხატვარი გიული გალიკაშვილი

© გ. შალიგაშვილი, 2010

გამომცემლობა „ეგრისი“, 2010

ISBN 978-9941-9082-6-2

14 იანვარი (ძგილით ახალი წელი)

ჩცმენა მოფინულა ჩემთან სალაპა.  
მაღლობა ყდალს ასეზის და ასეზის.  
თითქოს ცოცხლდება ჩემი ქალაქი...  
კი წელი იყოს ხვავის. ჰალაქის...

დღეს ახალი წლის ჩიტველი დღე.  
მნამე, ჰერი ამა უკვე ჩურის ნაცენიც!  
გაუყდლებ კულაგაც შიმშილს. ქალცენილ.  
ხვალის იმედს ხომ თვალი უკვე ლია?!

2001 6. ქ. რუსთავი

დღეს რუსთავი მართლა გაცოცხლებული ქალაქია, გაალამაზეს სახლები, გზები და ქუჩები, თვალს და გულს უხარია, როცა იქ ჩავდიგარ, მეტალურგიული ქარხანაც იწყებს მუშაობას, ცხოვრების მთავარი წყარო – ხალხი დასაქმდება და დუხტირ ცხოვრებას თავს დააღწევს.

რუსთავი ჩემი საყვარელი ქალაქია. იქ ვცხოვრობდი ჩემი ოჯახით. იქ გავზიარდე შვილები, მე მას უამრავი ლექსი ვუძღვენი და ლექსების კრებულს, რომელიც გამოვეცი 2003 წელს, ჰქონდა „რუსთავის დილა“. საჭიროდ ვცანი გაგაცნოთ იმ წიგნის რედაქტორის, დავით მჭედლურის წინა სიტყვა.

ქ. თბილისში ვ წელია რაც საცხოვრებლად გადავედი. კვლავ რუსთავს ვეფერები ახალი წიგნითაც, რომელშიც ახალ ნაწარმოებებთან ერთად შესულია წინა წლებში დაბეჭდილი ლექსები, მინიატურები და გამონათქვამები.

## ტერაქციონაგან

გიული შალიკაშვილი თავისი ღერძების ახალ კრებულს მისი საყ-  
ვარელი ქალაქის, მკვდრეთით აღმდგარი და აღორძინებული რუსთავის  
ქალაქად გამოცხადების 55-ე წლისთავს უძღვნის.

მაშ, გაგიმარჯოს, გაშალე ფრთები,  
გერძნობ, რომ დუშილი ამ ღერძით გძლიე.  
შენი მზითა და აღერსით გთბები,  
რუსთავო ჩემო, მიყვარხარ ძლიერ.

სიყვარული გამოსჭვივის გიული შალიკაშვილის ყველა ღერძიდან.  
პოეტი ქალი გულწრფელად უმოქის ბუნებას და ადამიანებს, სიყვარუ-  
ლით გამთბარ სტრიქონებს უძღვნის თავის მკითხველს და უნერგავს  
რწმენას, რომ სიყვარული და ურთიერთ თანადგომა გადაარჩენს მომა-  
გალს.

ძალუში სუნთქვა საუკუნისა,  
რომ აურეკლავს სარკეს.  
და რეკვეს ზარი სიყვარულისა,  
ყოფა სამოთხეს ჰგავდეს.

გიული შალიკაშვილის ღერძებში შეხვდებით უამრავ საინტერესო  
ფიქრსა და განცდას, რომელთა გადმოცემას ავტორი სხვადასხვა ინტო-  
ნაციით, სხვადასხვა თემატური მიგნებით ცდილობს. მის ღერძებში არის  
უშუალობა, გულწრფელი დამოქადგებულება, რაც ერთობ მნიშვნელოვა-  
ნია მკითხველისა და ავტორის ურთიერთობისათვის.

გიული შალიკაშვილის მთავარი საზრუნავი და შემოქმედებითი ინ-  
ტერესის საგანი მაინც სამშობლოა. უპირველესად, პოეტი გულწრფე-  
ლად განიცდის ჩვენი სამშობლოს ტკივილსა და სიხარულს. იგი იმედით  
უყურებს მომავალს და სჯერა, რომ ბედნიერება მიუღწეველი არ არის.

აპა, მოფრინდნენ ანგელოზები,  
ძალა ვიგრძენი, ძალა ძლევისა.  
ციდან ახალი ხმები რომ მესმის,  
ბედს, ბედს მამცნობენ ჩემი ქვეყნისას.

ამგვარი იმედითა და რწმენით არის გამთბარი გიული შალიკაშვი-  
ლის ლექსების ეს წიგნი და შემთხვევითი არ არის, რომ მისი გამოსვლა  
სწორედ რუსთავის, გიული შალიკაშვილის შოთბლიური და საყვარელი  
ქალაქის, 55-ე წლისთაგს ემთხვევა. უფრო მეტიც, ამ წიგნის გამოჩენა  
ქალაქის საიუბილეო დღეებში შეიძლება ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობა-  
დაც ჩაითვალოს.

დავით მჭედლური  
წიგნიდან „რუსთავის დილა“, 2003 წ.

ჩემთ ქალაქთ, ჩემთ ტუსთავთ

გადაიქროლებს მაღე გრიგალი,  
გაუძროთ ულდება ზეცას ბზარები.  
დგას იადლუჯ ზე შენი ცისკარი,  
თეთრი სიზმარით, თეთრი ზმანებით.

სიტყვა ფრთიანი ვერ გითხარ დღემდე,  
მაგ შენს არიშთან ვწნავდი ლიანებს.  
სულის სიმები შენთვის სულ ჟღერდნენ,  
და პა, დღეს რიდით შეგეხმიანე.

მტკვრის ტალღასავით გეჩურჩულები,  
მე იუბილეს გილოცავ ახლა.  
თუმც მხრებზე გადგას საუკუნენი,  
კვლავ მოუღლელად მიიწევ მაღლა.

კვლავ ჩუხჩუხებდეს შენი რუს თავი,  
შენი ფოლადის ჩქეფლეს მდინარე.  
ჩემი ქალაქი, ჩემო რუსთავო,  
შენზე ვლოცულობ, მგონი, მბინარეც.

სულში ჩამწია შენი პანგები  
და ყველგან შენი ცის ფერი მშენის.  
მადლობელი ვარ ღმერთის, განგების,  
რომ მოქალაქე მეც მქონა შენი.

მაშ, გაგიმარჯოს, გაშალე ფრთები,  
ვგრძნობ, რომ დუშილი ამ ლექსით ვძლიე  
შენი მზითა და ალერსით ვთბები,  
რუსთავო ჩემო, მიყვარხარ ძლიერ.

## ჩემთა – მომაც

შენი გრძნეული მანტია  
ჩინს მმატებს, ფიქრის წუთებს.  
ვუშველი მამულს ნატყვიარს,  
იმედს კელაპტარს ვუნთებ.  
ბედმა სად აღარ მატარა...  
აღსარებისთვის ეჩქარობ!  
მაგ ქადაგებით ანკარა,  
უფლისკენ საგალს ვსწავლობ!  
ჩამოზნექილი თაღები  
მინდა ავწიო მხრებით.  
მოვრწყო მამულის ბაღები,  
მისთვის გომლერო გზნებით.  
ღრუბლები ციდან გაყყარო,  
უფალი მომცემს ძალას.  
გზად პეშეს მიგუშერ ცხრა წყაროს,  
ცვრიან შუბლს – სიოს ხალასს.  
ეგ ლოცვა საგზლად მომყვება, –  
ეგ კილო მეტად ბრძნული.  
გაფრქვიონ ჩემშა ნოტებმა  
სურნელი გაზაფხულის.  
ყველა სიკეთის სათავევ,  
ჩვენო მამაო შოთა.  
შენზე ღექსს ვით დაგამთავრებ?  
ჩვენს სულზე ზრუნავ როცა.

2010წ.

ტექსთავის ღილა

(სასიმღერო)

სარკე ირეგლავს ღიმილს დილისას,  
იწვის, ციალებს ხატთან სანთელი,  
მიესალმება რუსთავს – თბილისსა, –  
ამაღლდეს ჭერი ყველა ქართველის.

სურვილთა წყება სხივთა ნაფერი,  
შეუხმატკბილებს მთათა არიას,  
თეთრი ნისლების თეთრი ნამქერი,  
დალოცავს ყველა სახელ-გგარიანს.

ფერთა ღიცლიაცი, დღეთა ხასხასი,  
დაგავიწყებსო იმ წლებს შარიანს.  
აქ ეკლესია ირგვლივ ათასი...  
ჰიმნის ცალ აზიდავს და მიხარია!

ამოდ ფრიალებს ჯვრიანი დროშა,  
გუბელბ, გებახი დაფითს აბურიანს.  
სიზმრად მოდიან ილია, შოთა,  
ციურ ვერცხლის წყალს პეშვით მაღვრიან! –  
სიმღერით შეგხვდე ნანატრ განთიადს!

## და... უსწოდა?

მე სეგდის კვლები თავად გავმარგლე,  
მქონდა წყდობა უფლის.

ყველა ცდუნება კარში გავაგდე,  
და... გსუნთქავ პაერს კუთვნილს...

გელარ მაშინებს ვერც რა ნამქერი,  
გაშლაც ვისწავლე სუფრის!  
მხოლოდ ციური ცვარი-ჩანჩქერი,  
მუზის ნიავი სულ ქრის!

## მოთამბის ღოღ იყალთოში

ჰანგები, ჰანგები, ჰანგები  
ზეციდან წკრიალით მოვიდა.  
ალვებს ცად მივყვები, ვმაღლდები,  
მტრედივით ღუღუნი მომინდა.

სხიეს აფრქვევს იყალთოს ტაბარი,  
და ხალხთა სიმრავლე ახარებს.  
თითქოს და რუსთველიც აქ არის  
და გვიწერს ეტრატზე ახალ ლექსს.

მე ფრთხილად გაბიჯებ ბალახებს,  
განცდებით ზოგჯერ თვალს მივნაბავ.  
შოთაის ზმანება მაღალებს  
და გლოცავ ბუმბერაზ წინაპარს.

## მენს ცას

(რამდენიმე წელი ჩემი ოჯახით  
ვცხოვრობდი შუა აზიაში)

რას მიშადებდა, ვინ იცის, ბედი,  
რომ შეგრჩენოდი უდაბნოს ქარებს.  
მწამს, ჩამძახოდა სიზმარშიც ღმერთი,  
გახსოვდეს შენი მიწა და მთვარე.

იქაც მრავალი მყავდა მოკეთე,  
არც სითბო მაკლდა, არც თხავრმნობა.  
და მაინც ვგავდი მამულს მოკვეთილს,  
ჩამოშორებულს ჯილაგს და მმობას.

ახლა აქა ვარ, ქართლის სანახებს,  
ვუცქერ, ვარდებით სული მეგსება.  
რაც განმიცდია, ანუ რაც ვნახე  
ჩემში აყრერდა მერე ლექსებად.

მიტომ რუსთავში დავიდე ბინა,  
დავუკავშირე ამ ქალაქს ბედი.  
ამაღლდა ჩემი ერდო თუ ბანი,  
როს მამულს მივეც ორბი და მტრედი.

ღმერთო, მიცოცხლე ამაყი ერი,  
არ მოკლებოდეს ბულბულთა სტენა.  
სამშობლოვ, შენ ხარ ჩემი სიმღერის  
მთავარი ჰანგი და აღმაფრენა.

შენს ცას გარსკვლავთა კრებული შვენის,  
ზედ პოეზიის დგას თქრის ტახტი.  
მჯერიდა, შოთა პაპაა ჩემი  
და რუსთაველიც ამიტომ გავხდი!

## აღგონის ღილა

ცის ძალთა დასებს, ვარსკვლავთა ციმციმს,  
საღლაც მიყენავარ აღდგომის დილას;  
როგორი მოგა მერმისი, ვიცი,  
როცა იმედი თვალს გიკრავს, პრწყინავს!

როს ფართო სუნთქვას გრძნობ დროის ფილტვის,  
სხვა ხიბლს რომ მატებს ცის პულსი რითმებს...  
ტაძრად სანთელი ამოდ რომ იწვის,  
როცა ჩუქუმებ უფალთან იქვე...

გაფალ, დავკოცნი აპრილის კვირტებს,  
ეს, მათ ვუმადლი სიტყვათა კონას.  
სულის ზეიმზე ტაძარში გიწვევთ! –  
ყველას გილოცავთ ქრისტეს აღდგომას.

2005 წ.

---

\* ეს ლექსი მართლა ტაძარში წარვაზე დასწრების მერე გზაში, – სახლში წას-  
გლისას დავწერე ქალაქ ჩუქუმისა.

\*\*\*

ქ. რუსთავს დაჟურნებს იაღლუჯის მთა, მაშინ ქარაქის შერი იყო ბატონი მერაბ ტყეულა შეიღო, ცწორედ მისი თაოსნობით დადგეს (აღმართეს) ჯვარი უფრისა. როგორც კი აიგანზე გამოვიდოდა, პირველად იმ ჯვარს ხედავდა თვალი. იქ გვე აღვევლენდი საღმრთო, მოკლე ლოცვას „მამთ ჩეგნო“ – ს. აშკარად გვრძნობდი, როგორ მმატებდა ის ძალას და შემართებას. აი ის ლექსიც, ჯვარზე რომ დაგწერე ერთ დაღას – ექსპონმეტად, რომ იტყვიან, ერთი ამოსუნთქვით.

## იაღლუჯის მთაზე – ჯვალი

სიზმარეულ სანახიდან  
ამედევნა შლეგი ქარი,  
გზად ტოტები დაუჩეხავს,  
დაუყრია კვალში ხეალის.

და... იმ დღიდან მითვალთვალებს,  
დგას ღრიჭოში სახლის კარის.  
არ აჩნია, პოდა არად  
მუზარადი, ჩემი ფარი!

აი, დიღას ნათლის სვეტად,  
იაღლუჯ ზე დადგეს ჯვარი.  
მისი მადლი გეცხოდ უხვად,  
მოგიზღვოთ რწმენა ხვალის.

მე ვავედრებ მაღალ უფალს,  
ემიგრანტად მყოფ შეიღოს – ლალის!  
დამიბრუნოს მაღე უკან  
ჯანმრთელი და ლალი ქალი.

არ შლეგობდეს გზაზე მეტად,  
ჩადგებოდეს ჟამთა ქარი.  
საქართველოვ, მაღა წეტავ,  
უეხზე გნახო წამომდგარი.

მრავალუამიერს მღეროდეს,  
შენი მთა და შენი ბარი.  
დიდება მას, ვინც აღმართა,  
იალლუჯზე ჩრდენის ჯვარი.

### საიტილით ღღღმი რესთავში

სიხარული მოდის, მოდის,  
მოდის ტანის რევითა;  
პაპამ: – გახსოვთ რომ გეტყოდით,  
ყოველ იქმნას თმენითა!

ცა იღვრება ნაირფერად...  
ფრთები აღმაფრენისა!!  
დღეს ჰანგები სივრცეს სერაგს,  
სწერდება შგონი ზენიტსაც!

იუბილარ ქალაქს ლოცავს  
ქარგა ჩემი ლექსისა!  
რას გგაუწყებს მტკვართან შოთა? –  
გაბრწყინებულ მერძისსა!

## მუნიციპალიტეტი, რესთავი

გრძელი ღამე ჩემს ჯარაზე  
შეწევ ფიქრებს ართავს.  
შენს ხვალეზე, შენს სავალზე  
კითხვებით ვარ თავთან.

და ვუშადლი ძლიერ, ძლიერ  
ამ ცას, სულის სარკეს.  
მაღას ვუხშობთ გადამთიელს,  
ვთლით სალამურს, აკვნებს.

უფალს არ ვთხოვ სხვას არაფერს  
გზა გაუხსნას აპრილებს...  
ოცნებებმა ვერ დამათვრეს,  
ცის მოხატვას ვაპირებ.

ჩანგს გათრთოლებ, გწერ არიას,  
საგზალს მაწვდის რუსთავი.  
ვეშსგავსები მტკვარს, დარიალს,  
ვხსნი იღუმალს ზურგ-ქარის.

მოლოდინი თეალს აფეთქებს,  
ნაშს დაეძებს ციურს.  
რუსთავისთვის რას გაკეთებთ ?  
ნეტავ ვგავდეთ ჟიულს...

10.07.2004 წ.

## ჩემს ტესტაზს

ფიქრი შენს ტაძრებს სდარაჯობს,  
დავობს ამ შეშლილ დროსთან.  
გასცემის რეის სათავეს  
შენი გენია, — შოთა.

შენი სანთელი მეცა ვარ,  
შენმა ჰანგებმა დამათრო.  
ჩემი ლექსებით შენთან ვარ,  
ნაქალაქარო ქალაქო.

საუკუნეებს მოითვლი,  
თუმც მე ჭაბუკად გსახავ!  
მიყვარხარ, ღმერთმა ხომ იცის,  
სიმღერებს გიძლვნი ახალს.

იმედი სევდას აქარვებს,  
არის რიალი დროთა.  
დაიბადება აქავე,  
ვიცი, ახალი შოთა!

## ტესტავის ღილა

დილამ ქოჩორი გადაიგარცხენა,  
მიესალბუნა მთლად საქართველოს.  
სეგდა უფსკრულის ლოდს დაანარცხა,  
ჩემი მთა-ველი რომ აამღეროს.

და შემართულან ზეგირთები მტკვრისა,  
ომანანად გასძახონ ბანი.  
ასეთი დილა ჩემი ქვეყნისა  
აღარ მინახავს მე კარგა ხანი.

და სადაცაა ჩამოჳკრავს ზარი,  
ახალწლის ეტლი მოღვება კარზე.  
ო, მომწონს მტკვარო მე შენი ბანი,  
სიმღერა ახალ ცხოვრების გზაზე.

ახალ შენებას გზის და ხიდების,  
რამდენს გვპირდება ახალი წელი...  
მსურველი ჩემი ქვეყნის დიდების,  
უფალი ყველას ტაძართან გველის.

როგორ კიაფობს მირაჟთა რიდე,  
მზის შარავანდი გადმოდგა მთაზე.  
მაში, გაუმარჯოს რწმენას და იმედს,  
ახალ წლის ზეიმს რუსთავეში ხვალ-ზეგ.

## ტექსთაგისაღმი

თრთოლგა ხარ სულის სიმების  
ჩემო ქალაქო, ჩუქუცის.  
გადაიგლიან წვიმები,  
შენს სიტყვას იტყვი უდაფოდ.  
სალამურები გავთაღე...  
მწვავს მოუხდელი ბეგარა.  
მჩქეფარ ცხოვრების სათავედ,  
ჩანგს რომ ეგულვა ნეტარად.  
ჩქროლგა ვარ მტკვრის ზეირთებისა,  
უფალი მივსებს მათარას.  
გიმღერო, მისით მედირისა,  
თვალს უბრიალებს სატანას.  
ოცნებაც მნვე მასწავლა!  
და შიში არ მაძაგარებს.  
ნიავი მიშლის ნაწნავებს  
და სათქმელს სტაცებს აშ ბაგე!

ცა რომ იღვრება ფერებად,  
რომ ხარობს შენი ბოკვრებით.  
სურვილებს გწურავ მტევნებად,  
შენს სუნთქვას კვალად მივყები.  
მე შენს ტაძარში განთივარ,  
ერთი ბატარა სანთელი,  
და შენი შეგილი რაკი ვარ,  
შენს ფერებაში დაგთვერი!

## ამ ლექსით ვდგავამ ტესთაგის გულში

თიბათვის თვეა და სიონ ცხელი,  
ანაზღად ფრთებით სადღაც მიტაცებს: —  
ვერ მოგწვდეს ჟამის მზაკვარი ხელი,  
იგალობეო აქეთ — იქმდე.  
თვალს ახამხაშებს წამწამზე ფიქრი,  
როგორ გაღვივდეს მარცვალი ხნულში?  
სულ რომ გდევს კითხვა — რატომ და რისთვის?  
როდისლა დარი ამ ჩენს მამულში?  
სულ რომ უკოცნა რწმენას თეთრ რიდეს,  
მიერეცები ღრუბლებს, ვით ქარი.  
მტევნად კიდიხარ სურვილთა კიდეს,  
რომ აღდგეს შენი ქალაქი მეგდარი.  
გუდა გერ იტეგს შენს სათქმელს იძღენს,  
პეშვით აპკურებ ნაპრალებს წყაროს.  
მაშ, გასწი, ტვირთი ლექსებით ზიდე,  
რასაც აკეთებ და არცა ზარობ.  
ეს თქვა და სიომ დაუშვა ფრთები,  
ზერებს გადატრუსულთ შეავლო მზერა....  
ეს იყო მუზა... და ესუნთქავ შეებით,  
ექოდ მიმოდის მისი ხმა ჯერაც!  
მის ნათქვამ ფრაზის აღდგენას ვლამობ :—  
შე, არაგველო, პატარა ქალო...  
მან დამავიწყა, რა იყო გუშინ,  
ამ ლექსით ვდგავარ რუსთავის გულში.  
ფრიალებს დროშა და ვლოცავ ყველას,  
ანთია ცაზე ცხრა ცისარტყელა.

## თიქმური ტექსტაზე

ჩემმა ქალაქმა დაგარგა სახე,  
გზაზე დაგვიგეს ათასი შახე...  
ვით აღვუდგინო ძველი იერი?  
კვლავ მცექარებდეს –მხრებგანიერი!  
სუნთქვას ამოყვა ღალადი წმინდა,  
მაგრამ ცის თაღი რად გაირინდა?  
მსურს ღერძისით ვზიდო შენების ტგირთი,  
დაბერე ღმერთო, ძარღვები რითმის.  
საგზლად იმედი მომყვეს ციერი,  
რწმენა ურყევი, ნათლის ძლიერი.  
ქარი – მზაკვარი ხეს ფოთლებს აცლის, –  
გადაეყარა ფერები ნაცრის.

## ტაცომ და ტისტვის?

დრომ დაიქნია დამზრალი ფრთები.  
კაგეასიონზე სუსხმა დაპურია.  
რას დუდუნებენ ზეირთები თერგის?  
რად ვერ მიმხდარან მთები, რად ვერა?  
მინაზე ანცობს სხივები მთვარის,  
სიო ქირქილებს, თუ ხმობს საგანა?  
რა ადგილია შეხსნა ცის კარის,  
სიზმრებში მტერთან ლელოს გატანა.  
ვეღარსად ვპოვე წყარო ან კარა,  
ბილიკებს ჰუარავს ნამქერი ნისლის.  
სამშობლის, ღვთისგან ნახატს ამგვარად,  
მედავებიან რატომ და რისთვის?

\*\*\*

ცნობილ საზოგადო მოღვაწეს – მეცნიერს, პროფესორს, ქ. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ყოფილ დირექტორს, ბატონ გურამ ქაშაკაშვილს და მის ვაჟს – ბენოს, რომელთაც შეხვედრა მოვუწყეთ რუსთაველმა მწერალებმა – მეტალურგიული კომბინატის გადარჩენის თაობაზე. ის ხომ განერებულია წლების განმავლობაში...

\*\*\*

ფრიალებენ, ფრიალებენ ნესტიანი ფარდები  
და სიზმრიდან გამოვდიგარ, მოლოდინით ვმთავრდები.  
თუ რა სტკივა რუსთავს ვიცი, ეს ცა მისი სარკეა!  
ჩამომეშა: – გურამი ხომ თქვენი სიამაყეა?

დალოცეთ ვაჭთან ერთად მაში, შარბათის თასით,  
გარს კვლავებად რომ ანთიან მიწაზეც და ცაშიც.  
დაე, ქალაქს მრავლად პყავდეს სწორედ მათი მსგავსი,  
დიდ საქმისთვის ვარდის წყალი, ღმერთო, პეშვით ასვი.

გაღმოსჩეულის კვლავ ფოლადმა, იჩუხჩუხოს მდინარედ  
„იაღლუჯის“ ჯვარშა: – ამინ!!! მტკვარიც ამბობს იმავეს.  
ჩიტები რას ჭიკჭიკებენ, გურამ შენს აიგანზე?  
რუსთავს როგორ მოეფერო, ვიცი, ფიქრობ იმაზე.

ჩამოშალოს შზემ ნამდგილი, საალერსო სხივები,  
ბენო, უნდა გავიძინოლო, რომ შეგარქვი – „იმედი“.  
მაში, ჩავუდგეთ დუშმანს კვალში, წუთით არ გავახაროთ,  
ქარხანამ სულ იგუგუნოს, მთებიც აახარხაროს.

სწორედ ამ ვარდის გვირგვინებს, დიახ, დაგიწნავთ ახლავ,  
ცა გაკვირდებათ და გიქებთ გონების ნათელ ქურას.  
მაში, დაატოლეთ ეგ ფრთები გარდის ეპოქას ახალს,  
და გააკვირვეთ მამული საქმით, ბენო და გურამ.

მე ხან მტრედივით ვღუღუნებ, ხანაც ღრუბლებში ვცურავ,  
გვერდით მიგულეთ, ვაშენოთ, ხელი ჩაგვიდოთ მმურად.  
მრავალუამიერ, აღვსღებით, ზე აიწევენ ბჭენი,  
იმედი ვამიას პეცეთ, სხივი მაფრქვიერ თქვენა.

გეხვევით, გეამბორებით, დური გრძნობით და კდემით,  
ასე რომ მეამაყებით თქვენი საჩინო გენით.  
დრომ გამოგვცადა საკმაოდ, გავფარგოთ ჭმუნვის ნისლი.  
აფაღორძინოთ რუსთავი, სურვილი სპეკალს ისგრის.

აღალ სტრიქონით დავლოცავ თქვენი აკვნების ძიძას,  
თან მოვიმარჯვებ საკრავებს, ძალი შეგმატოთ მინდა.  
ოდონდაც შევებით ისუნთქოს, ამ მაღლიანება მიწამ,  
წინ ვარდისფერი გზებითო, — უფლის ხმა იყო ციდან!

10. 07. 2004 წ.

### იმური

იამ მესროლა ნატიფი მზერა,  
თან მოაყოლა შეკითხვის ჯერი: —  
მოსპე სატანის კვალი თუ ვერა?  
რომ კვლავ ამაღლდეს ქართული ჭერი.

# გოჭლი შალიკაშვილი

ქიური შატრუჯას სსოფნას

(ეროვნულ გმირს)

ვეღარ ვიოქებ თრთოლვისგან ბაგეს  
და მოცახცახე გულსა და კალაშს.

მთლად საქართველო რომ გოდებს ამდენს,  
შენი დაკარგვით ვერ იტევს ვარაშს.

შავი ტალღები ასკდება ნაპირს,

რისხის ფლოქვები შაშრავენ მიწას.

შენ, რუსთაველთა სიძლერას, არწივს,  
ვით მოგიძებნი შესაფერ სიტყვას?

ღვთისგან რჩეულო, შენ, ცოტნეს პირმშოვ,  
ცას რომ აურუოლებს შენი სახელი...

ყოველ ჩამოქნილ სანთელს და სტრიქონს,  
დალოცვილი ჰყავს შენი გამზრდელი.

ვით მოგეფეროს შენი რუსთავი?

შენ, გმირთა გმირო შენი ქვეყნისა.  
ეს გზა როდია თავისუფალი,

კვლავ დგას ხორხოცი სატანებისა.

ვეღარ ჰყვეთს ღრუბელს სიმართლის დაშნა,  
სოხუმი, გაგრა კვლავ სისხლად ჟონავს.

ხსნის გზა კი დღემდის ო, მაინც არ ჩანს,

თუმცა თემიდა, ვიცი რას წონავს!..

ჰკიფის მწუხარედ სამსხვერპლოს ზარი,  
სისხლში დატბორილს დავყურებ ვარდეპს.

აქეს საქართველოს, აქეს მომავალი,

ჩვენთან იქნები მარადის, გწამდეს.

ქალაქს ამშვენებს შენი გამზირი,

შენს ძეგლს აგებენ ჩემს სახლთან ახლოს.

სევდიან სტრიქონით მტკვარი დასტირს,

ყოველი სუნთქვა შენი რომ ახსოეს.

ვემთხვევი შენი სიწმინდის ტაძარს,  
 ცრემლით ნაპური ცახცახებს რიდე.  
 მწამს, თაობები შენს გმირულ ამბავს,  
 ცას გასძახებენ კიდითი-კიდე!

### მოყიდა მთა

(აქ, ჩემს რუსთავში...)

ლაჟვარდებს სერიავს ფრთათეთრი მტრედი,  
 დილა რუსთველურ ჰანგებზე მღერის.  
 და მოკეკლუცობს იორი, გედი,  
 რომ დაარწყულოს გაკე და სერი.

აქ აბობოქრდა მამულის მკერდი, —  
 აქ, ჩემს რუსთავში ქლერდა ის ჩანგი.  
 და რუსთაველი — მუზების ღმერთი,  
 მმობას უმღეროდა ჯადოსნურ ჰანგით.

ჰყევიან ია-გარდები მინდგრად,  
 საქართველოს ცა მახურავს ქუდად.  
 მეამაყება, ფარ რუსთავიდან  
 და ვეფხვის ტყავი ჩაფიცვა უნდა.

გახედეთ ამ გარდს, მზეს როგორ ელტვის,  
 როგორ იჩრევა მტკვრის მხრებზე ბონდა.  
 სიგეთის ეტლით, მშვიდობის ეტლით  
 და მმობის ეტლით რუსთველი მოდის!

სწორედ აქ, დინჯად ჩაუშვა ლუზა  
 და სიამაყით ასწია ხელი.  
 მოვიდა შითა, უჭკნობი მუზა  
 და ლექსის ბრძენი კანონმდებული.



ရှင်လတ် မြန်မာစွဲ

## ჩრდილოეთი ტემა

ოხრავ და კვესი ჩემთ რუსთავო,  
არა გაქვს დენი, არ გაქვს აირი.  
როდემდე ყოფნა ასე უგვანო?  
ო, სად მიგვიყვანს გზა ამნაირი?!

ჩუმად ქვითინებს ახალი პწერი,  
ანდა გინ გისმენს, თუნდ თქვა ხმამაღლა?  
თუმც იაღლუჭვზე დაგვიდგეს ჯვარი, —  
დაითმინეთო, რას ჰქვია დაღლა?!  
და... მრავლის მოწმე კელავ ბორგავს მტკვარი,  
რით სცეს ნუგეში მთლად საქართველოს?!  
თუმცა გზა ხსნისა ჩვენშივე არის, —  
ჯერ ჩვენი სული გაენათელოთ!

## ტემათა გისაღმი

დაეხეტება უბედობა ქართველთა კართან,  
აქ კარგად იგრძნო ტიალძა თავი.  
ქუჩებში ისმის რა ხანია გრიალი ქართა,  
მთლად გამითოშოს ჩემი რუსთავი.  
უამურ ჟამის თქეშსა და ღვართქაფს,  
თუ გადაურჩა ტანჯული ერი,  
მტრისთვის გათხრილი სამარე მზად მაქვს,  
არ შერჩეს მიწის ერთი მტკაველიც!  
გულს შანთავს მზერა როს მშიერ ბაგშეთა,  
ჸკლავს ნოსტავი შორის, მექბს და დათა...  
ეს გალუმბული ტყე და მთა-გელიც  
გედრის ღვთისმშობელს, გაშალოს კალთა.  
ხსნის გზა რომ დღემდის არა და არ ჩანს,  
ღმერთმა დასწყევეგლოს ზმანება ავი.  
უქმად ამზადებს დუშმანი ხაფანგს,  
მალე დაუდგეს განკითხვის ჟამი.

## ტესტურის ძეგლთან

გაიხსნა ძეგლი, გრიალებს ტაში,  
ჭრელ ყვავილებით უუცქერ შემოსილს.  
მოვიდა შითა და ჩემს ქალაქში  
კვარცხლბეჭზე შედგა, ვით ორთულოს.

წავალ და ლერწმის საღამურს გავთლი,  
რომ ამ ზეიმზე არ ვიყო მუნჯად.  
რუსთველის უჭქნობ გენის მადლი  
სცხია აქ ყოველ სახლსა თუ ქუჩას.

ფოლადის ქალაქს ფლოცავ დილიდან,  
თან ვეფურები საამო ფიქრებს.  
სტრიქონებს გამძლეს ფოლადივითა,  
შოთა რუსთავში ადნობდა იქნებ?

შე იაღლუჯ ზე აუღურებს ჩანგებს,  
ჩამუხლებული ანგარა რუსთან!  
მე იმ ოსტატთა მარჯვენას გქებ,  
ვინაც რუსთველი აჩუქა რუსთავს.

ცაში ორბები ფრთებს ლაღად შლიან,  
მოდის მუზების, ღმერთის შათირი.  
ცამდე აწვდილი ჭადრების შრიალს,  
მუსიკად მოაქვს შოთას შაირი.

მონატრება და ლოდინი მორჩა,  
ჩუ, ავთანდილის სიმღერა მესმის.  
ყველა ფანჯრიდან ეს ძეგლი მოჩანს,  
ვით უკვდავება ქართული ლექსის.

## მამულს

მიტომ მოგედით მამულო ქვეყნად,  
უნდა გაშენოთ გზა და ხიდები.  
აგაბაღნაროთ ჩვენი მთა-ბარი,  
თავიც შეგწიროთ, თუ დავჭირდებით.

არ აეფაროს თვალს ოღონდ ბინდი,  
ოღონდ მშვიდობის რეკონ ზარებმა.  
ოღონდ ცა იყოს ღურჯი და მშვიდი,  
მზე გერ დაჩრდილონ ცეცხლის აღებმა.

მაცენი ბაბის რენის პერანგი,  
მისი ნაქონი მიჭირავს ხმალი.  
ნუ გაითიქრებს მტერი ვერაგი,  
ჯავრი შეგჭამო, რაკი გარ ქალი.

## ღამის ფოტო

დაბორიალობს მერანი რისხვის,  
ფლოქვებით ჩქვერაგს დაშაშრულ მიწას.  
მამული გახდა საჯიჯვნი სხვისი,  
გაი რომ არ ჩანს არსით გზა ხსნისა.  
გულზე მაწყვია ღამის ტორები,  
თვალს უბრიალებს ზმანებებს, სიზმრებს.  
და გათოშილი ეს სტრიქონები,  
მაანც აგებენ ბორანს, ტივს, ხიდებს.  
რისი თქმა სურდა, შეცნობა მიჭირს,  
კვალს ანგელოზის გავყურებ ახლაც.  
ღმერთო, მაშორე ის უცხო იჭვი  
და ბეწვის ხიდზე მაღირსე გასვლა.

# ბოჭლი შალიკაძელი ————— მიცუადს მუნი მჩე

ჩემო რუსთავო და ჩემო მიწაგ,  
მიყვარს შენი ცა და მხრებით დამაქვს.  
შენ აგაფარებ ამ გულის ფიცარს,  
ამაზე მეტი სიმდიდრე რა მაქვს?

გულში ჩაგქსოვე მძიგად სურვილი,  
მიტომ წაგბი სტრიქონი სტრიქონის.  
შენი რიჟრაჟი, ოქროცურვილი  
ცამდე მამაღლებს მგონია თითქოს!

## ტესტავის ქართ

არ მოიშალა არა და არა,  
მგლური ყმუილი რუსთავის ქარმა.  
უკვე რამდენჯერ, უკვე რამდენჯერ  
დაპირებებს გამოგეკრეს სარმა.  
იმედის სხივი აღარსად კრთება,  
ეშმათა ჯაჭვის ყლრიალებს რგოლი.  
ჩემი ფოლადის რუსთავი კვდება,  
უნდა ჩამოვეკრა ზარს პირველ ყოვლის!  
თვალი გაჟყურებს იმ კლდოვან საფალს,  
ჩასაფრებია ოცნებას ეჭვი...  
გინ აყურადებს ხმას წრფელს და აღალს,  
თუ სიღუხჭირის ტაფაში იწვი?  
როდის მივაგნებთ იმ წმინდა წყაროს?  
ბედის გამრიგევ, დამტოვე რატოვ?  
ცოდვილთა გენი ზეობს და ხარობს,  
ეს მოედანი მათია მარტო!  
„იაღლუჯაზე“ ჯგარს ვეამბორე,  
და... იდუმალი წამის გავანდე...  
თან მესმის მთების, რასაც ამბობენ: —  
მზაკვართ თარეში ასე სანამდე?

დაგეშილი კი სისინებს ქარი,  
 წინ უდევს ცხედრად ქალაქი – მეგდარი!  
 სიგრცეებს გასცდა ყიჯინა სულის,  
 დატოვა ლექსი, – ნეკნებდახრული!  
 აქეთ-იქიდან ყმუილი მგლური!..

### გამარტოულ ქალაქს

აზრი ქვეერიდან გამოვიდა თუ არა, ერთხმად  
 მოჰყვა ფეხდაფეხ ათასი კითხვა: –  
 უსამართლობამ იზემოს როდემდე ქვეყნად?  
 ამოიკვნესოს ანდა გულმა ნეტავი გისთან?

არ გააჩნია თუკი კალაშს მცირე საგზალი,  
 გულში ესობა ისარიგით მმართველთა ბლვერა.  
 რომ იღრინება მათებრ კარზე გრძელი ზამთარი,  
 შეგძლებ, შევუტევ ასე მარტო დროს უძლებს, გერაგს?

მაგრამ ცილან ხმა: – შენი უფლის ვიცი რომ გჭერა,  
 შენს საწნახელში ის დაწურიავს იმ ციურ მტევანს!  
 ხეალჩაგებული ვერა გნახონ წუთებმა, ვერა,  
 განსხვავებული ტვირთი აქვსო საზიდად მწერალს.

შენ, პირველმათ უნდა იგრძნო ქვემძრომთ სისინი,  
 უნდა ამხილო საჯაროდაც, დიახ, ისინი!  
 გაძარცულ ქალაქს რახანით გლოვიბს ეს ქნარი,  
 როდის იხილოს მომაკვდავი, ფეხზე დამდგარი?

იფლისის ხეატი და ღრმა ოხვრა გათანგულ აღვის,  
 არ გამიფრთხობდნენ იდუმალ სხივს, იმ სიზმარს დამის...  
 უსამართლობა, უზნეობა – ქაოსის თავი,  
 ჩემო დაცლილო რუსთავე-ქალაქო, – გაი და ვაი!!

## ახალწლის ღამის ტუსთავი

ახალწლის ღამეს რა უდევს გულში? –  
ამობრწყინება ნეტარი დილის?  
გადამაყიწყოს, რა იყო გუშინ,  
ღირსად გამხადოს ანგელოზთ ხილვის!

სხვივთა ფართქალი გრძნობათა მკერდზე,  
მრავალუამიერ ირგვლივ რომ ისმის.  
სურვილთა წყება ერზე და ბერზე, –  
თასში ბადაგი სპეკალს რომ ისერის.

რომ მეძახიან ახალი გზები,  
იალლუჯაზე კაშკაშებს ჯგარი.  
როცა იმედი გენთება გზნებით,  
ზე რომ სწევს თაღებს ლექსი და ქნარი!

მაში, გაუმარჯვოს ახალწლის ღამეს,  
ხონჩაზე აწყობს ო, რამდენ რამეს...  
თოვლის ბაბუა რომ აღებს კარებს,  
რუსთავს მილოცავს ასე მგზნებარედ!..

1. 01. 2006

## სალაში მთებთ, ტყეთავის ღილა?

რად აგვიანებ ლოცვას ცისკრისას?  
ეს ესაა, რომ ჩამესმა ციდან.  
ფრიალებს ფარდა თეთრი სიზმრისა, –  
დასთა ბუბუნი ყოველი მხრიდან!

ქალაქს არ სძინავს, უკვე დგას ფეხზე,  
გულს უხარია, რომ არის ფხიზლად!  
მაგრამ, ვაი თუ ნაწყენობს ჩემზე?  
მის ტყირთს მხოლოდ რომ ღექსებით ვზიდავ.

პა, ოქროს თევზი ამოხტა წყლიდან; –  
წამოვიდესო სურვილთა წყება;  
რუსთავზე ვთხოვო, პირველად მინდა,  
გნახო, სულ მაღე! – ფოლადი დნება!

მხებგანიერი, რომ ფართო სუნთქვით  
მჩქეფარ ცხოვრების გაჰყვეს დინებას...  
შედედებული ფერები მუქი,  
ნისლი დაფლითა დილის სხივებმა!

მზერა გამექცა ღვთის მაღალ ჯვარზე,  
კვლავ აცისკროგნოს რუსთავის დილა...  
სალაში მთებო, იმედო კარზე,  
პა... მოშიმართეთ ჩანგი ტკბილ ხმაზე.

## ჩემი ტესთავი

ღრმა ამოკვნესას შუაღამისას  
გაუწყვეტია მძივების რგოლი,  
მოთქვამს და მოთქვამს მყეფარ ჟამისას  
ნეკნებდახრული ღექსის სტრიქონი.

წელთა ჭაობის თუ სუნი შმორის,  
ქონდრის კაცების ნიღბების დასტა...  
თიბათვის თქეში, ზეინები თოვლის  
და... ნამქერები, ხსნის გზა კი არსად!

გადმოუყრია ელდას ეშვები,  
კვლავ გაუშლია მკლავები ქარსაც.  
საით მიგდიგართ, საით ვეშვებით,  
ეს რა ლანდი დგას კედელთან თარსად?

როდემდე, სანამ ყოფნა უგვანო?  
ცრემლთა ფრქევება და კბილთა ღრჭენანი?  
ჩემი რუსთავი – ახლა უდაბნო...  
ნაკსაყუდელი ბედის – ელამის!

გაოგნებული ერი და ბერი,  
ნისლი მმართველთა ჯადოსნურ ნავზე.  
და კივის სული, ვით ზღვაში გემი,  
ღრო ყალებზეა და სულ არის შარზე.

რით განუგეშებ ჩემს მოყვასთ, დეგნილთ?  
ნუთუ დგას ჟამი მოშთობის გენის?  
უშენს და უშენს, ნიაღვრობს წვიმა,  
იქნებ და... მასაც ძალუმად სტკივა?!

## ღორგე პოეტის ღორგე

დღეებანდელ ჰაერს სხვა მადლი სცხია,  
სუნთქვა ლაქვარდებს ერთვის.  
დღეს პოეზიის ლაშაზი დღეა,  
და მზეც ბადაგს ღვრის ჩვენთვის.  
რა სჭობს მაისის ტალღათა შრიალს  
და ოცნებათა ჩქერალს?  
დღეს რუსთავისთვის დიახ, სხვა დღეა,  
სხივებში ახვევს ყველას.  
ერთხმად დაგძახოთ, ჰეი ალილო,  
ცას შეასკდება ექო!  
სულ სიყვარულში წლები გავლიოთ,  
ღმერთო, ისმინე, ღმერთო!

17 მაისი. 2003 წ. ქ. რუსთავი.

## ჩუქი ლალი

არა, ზამთრის აღარ მეშინა,  
რუსთავული არც გიუმავი ქარის.  
ანგელოზი დგანან, მიცინიან,  
სწორედ ისე, როგორც ჩემი ლალი.  
ლალი – ჩემი გოგონა და გული,  
ლალი – ჩემი სუნთქვა, სიყვარული.  
ლალი – ჩემი ნეტარება სრული,  
ლალი – ჩემი გზნება ცად ასული.  
ოცნებები ზღვასავით რომ ღელავს,  
ირეკლავენ მზის ვნებიან მზერას.  
და თუ მამულს ჯერ ვერ მოეფერა,  
უფლის ნებით იქცეს მის სიმღერად.

მესრუდი, მცატვალი

ჩამოწოლილა ღრუბელი ქუში,  
ქარი გრიალებს, ბორგავს და ხვნეშის.  
ზურგიდან მიცემს თვალები დუშმნის  
და სატევარი უჭირავს ხელში.

თან მემუქრება სატანის ვერძი,  
აღვსილი შხამით, ბოლმით და შურით.  
გადამთიელის იმედით მებრძვის,  
გაზრდილი ჩემი ალალი პურით.

შესდექ მტარგალო, გონს მოეგე და  
სამტროდ ნალესი ჩააგე ხმალი.  
თორემ იცოდე, რასაც დღეს ბედავ,  
განაჩენია ეს შენი ხვალის.

ეს მიწა სისხლით, ბეგრჯერ ნამული,  
ბეგრჯერ ნაგვემი, ცრემლნაპკურალი.  
ისევ დგას ფეხზე, ჩემი მამულის  
ბეცა ვარ ერთი ნალდი ბკურნალი.

თავსაც შევწირავ დაუკენესებლად,  
მისთვის სიცოცხლეს დავთმობ უაშესის.  
ერთი პატარა ქალის ლექსები,  
მჯერა ჭრილობას რომ დაუამებს.

## იმედი

გაიფურჩქნება სურვილოთ კოკორი,  
როცა იგება იმედის ფაცხა,  
მე დიღა მიყვარს იცით, როგორი?  
მზე როცა იწყებს დალალის გარცხნას!

თვალდაცეცებით გასცემერს სანახებს,  
თან აყურადებს მტკვრის ზეირთთა ჩქაფანს.  
ყოვლის პეშეს რწმენის ბადაგით ავსებს,  
ესალბუნება საუნჯედ რაც აქვს.

საუნჯე ჩვენი კი სამშობლოა,  
ტკბილმოუბარი, ქართული ენა.  
გაგოთ ტაძრები სანამდე დროა,  
რუსთაველის ჰიმნი გიმდეროთ ყველამ.

დავითის ხმლისებრ კვესავდეს სიტყვა,  
მარად გვფარავდეს კალთა თამარის.  
ღვთისგან ნაბოძებ კურთხეულ მიწას,  
გინც შეგვედავოს გულში ლახვარი.

მზის ანარეკლი გარს უვლის სარკეს,  
მრავალ იღუმალს გაგვანდობს მტკვარი.  
ჰოდა, ცა იმენს რუსთავის ჰანგებს,  
ნუმც მოგვიშალოს იმედი ხვალის!

# ბოჭლი შალიკაშვილი

---

საცურელი

სხვათა და სხვათა პოეტთა მღვმურო,  
გყითხულობ შენს წიგნს და გსაყვედურობ.  
აქ არ ჩანს შენი აზრი თუ განცდა,  
სხვისი რითმები შენს ხელში გაცვდა!

მოეშვა უნდა სხვის ბაღში ცქერას,  
შენს წაქცეულ ვაზს მიუდგი ჭიგო.  
ცა არ შეისმენს შენს ყალბ სიმღერას,  
პოეტის ჯვარი პოეტმა ზიდოს!

## სიცყვა მებახდა

ფიქრის ძაფების გორგალს გახევდი,  
ძველი ტკიფილით ბორგავდა გული.  
სიტყვა მებახდა: აბა გამხნევდი,  
წინ გზა გელისო ჯერ არნახული!

ვიცგამ მანტიას უფლის ქადაგი,  
ყელს სასმღეროდ იღერს ღიღილო.  
ფუქევ, ქართულო, ჭერო, ამაღლდი,  
ერმა მარადის იზევ-ილხინოს.

ვნახე ვარძია, თამარის წყარო,  
იქ გადავაგსე ყველა მათარა.  
მტერმა ვერასდროს ვერ გაიხარის,  
სხივისნობს რწმენის ყველა ფანჯარა.

დაენარცხება უფსერულს სატანა,  
ეკლესიების რეკენ ზარები.  
ვმადლი წუთს, ფრთებით სად არ მატარა,  
ცამ შემაწიოს ძალი სამების.

11. 11. 09 წ.

## აძ აშის

წაება სტრიქონი სტრიქონს,  
სართული ფიქრისა სართულს.  
ეს დილა უფრო მეტს ითხოვს, –  
გზები ჩაუხერგოს, გზები  
ჩრდილოელ ქარებს და ავსულთ.  
აქ არის, აქ არის ახლოს,  
მძღველი – გიორგი წმინდა!  
მხედართა დასი თან ახლავს,  
ზარს დასცემს მტერს ყოველ შერიდან.  
ზეციდან მამათა ტაში...  
(დაწვზე ხალხს იმედი სწავდა!)

მტკგანსაც სხვა რიხი აქვს ხმაში,  
მას ჩემებრ ყოველთვის სწამდა!  
კიდევანს გავცემია, დღეებს, –  
სწორედაც დვთის მიერ გათვლილს.  
მუზარადს, ფარს გასხამ ბგერებს,  
დაიცვან საზღვრები ქართლის.  
სანამდე ხორხოცი რუსთა?  
პარაზი მამულის გულში?  
ჩვენს დროშის ფრიალი ყურთან  
„ფსოუზე“ მესმოდა გუშინ.

დაფართქალობენ თვალთა მტრედები,  
ლექსი ფრთებით ცად აუტანიათ.  
მე და კალაძი გარიერავს გხვდებით,  
რწმენას თავისი გაუტანია!

# ბოჭლი შალიკაძეო ————— ბილის ცამარისკურნ

არ იჩევიან ტოტები აღვის,  
სად დარონინობს ნიაგა დილის?  
მთლად გაფიტულან საზღვრები ლამის,  
ნატრულნი სხივთა ციაგს და ღიმილს.

ხმაურობს ფეხქეშ ნამსხვრევთა წიბო,  
ჩამომიწყვიტა ფანდურზე სიმი.  
გულის ფიცარი გელარსად იწოვს,  
ტბორებს ხსოვნისას ხორშავი წვიმის.

და ჩუმი თხერია უამო დდლეთა...  
ნიაგო, სანაა დაიგვანებ?  
ეჭ, მწყობრად ევლო სიყვარულს ჩემთან,  
გულს კი უმისოდ როსლა სიამე?

ელდას გაუხდა თვალები ფართო,  
არ ჩაიმუხლა, მოდის ისევე.  
მწუხრის სათავეს აწვიშს და ათოვს,  
წუთი შფოთავს და ველარ ისვენებს.

ალარ გიკითხავ, სადა ხარ ამ დროს,  
უეგძლო, დაუცალო ხურჯინი დარდის.  
გაგიდე, სკვერში ნერგები დავრგო,  
მათი შრიალი თვალისოფის რად ღირს?

ბილიკს ტაძრისკენ გავყვები სანთლით,  
დავასამარო ყველა ცდუნება.  
ღვთის ნებით ისეთ საღამურს გავთლი...  
გუმღერო გზნებით ცას და ბუნებას!

10. 11. 2009

## ათეატითო

ვერხვებთან რომ დარონინობს სიო,  
უნდა გთხოვო, მეც მათხოვოს ფრთები.  
რომ მიგეთბო მთელ ჩემს კავკასიონს,  
ვუგალობო ჩემეული გზნებით.

ნეტავ წვიმდეს, ვარდისფერად წვიმდეს,  
დაჭრილ საზღვრებს ესალბუნოს ფრთხილად.  
ცაო, ხედავ, ჯვარზე ხელი მიდევს,  
მეც ვიღონო რამე ჩემდა წილად!

აშკრიალდეს ახალ დროთა ზარი,  
ჩვენი თავით თვით გვეყუდნოს რათა.  
მამულს გული, სუნთქვა ყოველ ბწვარის,  
ჩვენ მართალი ვდგაგართ უფლის კართან.

ჰა, დასტურიც არაგვის და მტკვარის,  
მიეახლა ექო უმალ მცხეთას!  
რეკავს უინით სვეტიცხოვლის ზარი,  
აფხაზეთო, კვლავ ვიქწებით ერთად!

## გათანდებდების მაღა

ფიქრის განიერ მხრებზე,  
წეს და არ სძინავს დამეს.  
ხსოვნა გარდასულ წლებზე,  
თვალს არ უხუჭავს წამებს.

სარგმლის მიღმიდან მთვარე,  
სხივს აციგლიგებს ხელზე.  
მთხოვს, რომ ვუბრძანო ბწყარებს,  
სიტყვა არ დაძრან შეწყე.

დგას და ზმანება ჯერაც,  
კითხვას კითხვაზე მისვამს!  
რითმისთვის სამოსს ვკერავ,  
რით ვერ მიმიხვდა მიზანს?

ღამე აკვესებს თვალებს,  
არ მომაკარა რული.  
გათენდებოდეს მაღა,  
როგორ ჯიუტობს კრული.

26. 11. 2009

### უთხარ უარი არატალბას

თუ შეუღები სულის კურნებას,  
საქმეებს იზამ სხეათათგას სარგოს...  
ცაც დაპხაროდეს მაგ შენ ბუნებას,  
მეც აღტაცებით გიძლერო, კარგო.

დე, ღუღუნებდეს ჩრდენის თოლია,  
რომ დავამარცხებთ ურჩხულ-გამპირებს.  
ქედებს კავკასის, მწვერვალთ თოვლიანს  
სალამურებით, მწამს, გააკვირვებ.

გაკვირდებიან, დგანან, გელიან,  
ღრის დაეშურე – გარბის ფრთამალი.  
ფურ ეშმაგ; – თქვი, განა ძნელია?  
შორის მოისროლე შენი „წამალი“.

მან, მან წალეკოს ლამის თაობა,  
გადაუბინდა გონი და თვალი.  
უთხარ უარი არარაობას  
და დაიბრუნე კვლავ შენი თავი.

## თიტტან ხუციალს

მოლიბულ გბოდეს, თოვლიან ცათა,  
მაინც შენს ხსოვნას რად გასცემს თვალი?  
მეგონა დაქრიზ მარტო ჩემს თავთან,  
და გადავუსვი ხაზი წლებს ჩავლიალს.

სენაგის კარზე დახშული კლიტე,  
დამზრალ ფოთლების ჰაერში კვდომა.  
ეგ ცა მრუმე ფერს ვეღარსად იტევს...  
ასეთად გხედავ შენს შემოდგომას.

შენგან წყენათა ჩამოვშლი ზვინებს,  
მოგონებებმა შეწყვიტონ ოხერა.  
მაინც შენდობის აგვინძავ მძიებს,  
(არც გიფიქრია შენ თავის მოხრა).

ნუდარ ეცდები სიზმრადაც მოსვლას,  
ცხადის სამანთა შემოფეობას.  
ასე, უშენოდ განაგრძოს დრომ სვლა,  
უნდა მოგასწრო ქმნა და კეთება.

და... გამიღიმეს ამ მთებშაც ერთობ,  
რა სჯობსო ტაძრად სანთლების ბრიალს?  
შენ დამიღოცე მამული, ღმერთო  
და ნუ მომიშლი ფიქრთან ხეტიალს.

10. 11. 2009 წ.

\*\*\*

ღიღი ქართული პოეტის,  
მუსა მაჭარიანის  
80 წლის იუბილეთან ღავაშიძემიტებით

იუბილეს მიაგებდა მუხრანს, –  
დღეს ზეობდა ჭეშმარიტად ერი.  
პოეტებში მას – მუხათა მუხას,  
დაულოცეს ოქროს კალმის წვერი.

ქართულ სიტყვის ფილტვებსა და სუნთქვას  
ეთქვას სიბრძნე კადევ ბევრზე ბევრი.  
არაფერი დაუკლია უფალს: –  
ახოვანი, მხარბეჭ-განიერი!..

დაებადოს ქართულ მიწას, ღმერთო,  
პოეტები ასეთები ბევრი.  
რომ კოცონი ცად აწვდილი ენთოთ,  
ანბანთ ქების, ქართულ ჯიშის-გენის.

ნაკვალევზე წინაპართა წმინდა,  
გამოზარდონ თაობები ბევრი.  
ღმერთო, მეტი მადლის ფიფქი ციდან,  
ჩვენს დიდ მუხრანს მრავალუამიერი.

ერის საფალს ზომავს მისხალ-მისხალ,  
ძალა ჰქონდეს მას გიორგი მძლევლის.  
საქართველო არ ასცდება მიზანს...  
დღეს მუხრანი უფრო გზნებით მღერის!

18. 12. 2009 წ.

## სმა მთაწყს ნიაუს

ააფახულებს წამწამებს მთვარე,  
სხვა შუქში გახვეგს აღვათა მწკრივებს.  
და ახალშობილ, ჯერ თოთო ბრწარებს,  
მწამს, აუკინძაგს ჯაღოსნურ მძიგებს.

კავკასის ქედებს, იმერს და ამერს,  
რომ უმღერიან ვაზის ჯგრით ხელში.  
ქართულ სამყაროს – უკიდეგანესს,  
გარს რომ ურბენუნ წვიმათა თქეშში.

წუთი ათრთოლებს დავითის ფსალმუნთ,  
ცას ფნტელები უხვადა სცგივა.  
ღაწვებს წაპკიდებს სიამის აღმურს  
და... ეს ამოთქვას მუსიკად სიმჰა.

ნისლებში მოჟქრის მხედარი რაშით,  
რა უნდა ამცნოს ნეტაფ ჩემს გგარ-ტომს?  
და შეკითხვაზე მაასუხობს ბავშვი: –  
გვიშვას ახალი შოთა და ტატო!!

სმა მოაქეს ნიაუს გიორგი მძლევლის: –  
შე ფიქრიანო, შე სიზმარაო!..  
სულ ხასხასებდეს ბორცვიც და ველიც,  
დავიცვა მარად ეს ქვეყანაო.

18. 12. 2009 წ.

## მაში, ღამილოცენთ

სიო მოყარდა საარზე დილის  
მიმოუარა ჩემს თვალთა რიცეს, –  
და თეთრი ჩრდილი, მეუფე ხილვის,  
ცის მთა-ველებზე მიყვება იმდენს....

ადგილად დავთმო ყოფნა მიწაზე,  
(მელოდებიან „იქ“ და და-ძმები....)  
სამშობლო – მარად გულის ფიცარზე  
და გაპოხილი წინაპართ ძვლები....

მეცოდინება, როცა მოვკვდები,  
თვით ღვთისმშობელის გინატრებ ხილვას.  
ვთხოვო, შემინდოს ეგებ ცოდვები,  
ვერ დაგესწარი თუ ოდეს წირვას....

სათნოდ მიცემდეს წმინდათა დასი,  
(იციან რომ არ ვეტყვევე ჭმუნვას.)  
დღეები მეღგნენ თუმცადა თარსი,  
და ირეკლავდა თვალი ცის ბრუნვას.

კალათა მქონდა ნუკბარით საფსე,  
მოყვასს ეგემა ჩემი ხელიდან.  
მათ კი, ვინაც მე სამსალა მასვეს,  
ვერეცეპოდი გველის ხვრელიდან.

და აფრიალებს სიო ცის ფარდას,  
მათრობს ფრთოსანთა უცხო გალობა.  
ყველა თქვენგანი გულით მიყვარდა,  
მაში, ღამილოცეთ „იქეთ“ მგზავრობა.

15. 12. 2009 წ.

ეძახის თვალი ისევ ღურუჯ ფერებს,  
სამანთ იარა გაღრმავებიათ.  
და ეს კითხვები ზღურბლთან ისევე,  
როდის შექმნიო ნოტებს ვნებიანს?

ყოველი დილა გაშლიდეს მგლავებს,  
გამომიწოდოს გულწრფელად ხელი.  
მიიხუტებდეს გულზე ჩემს ბრკარებს,  
ნუთუ ეს მისთვის იქნება მნელი?

უნდა იცნობდნენ ხმას ჩემი არღნის,  
ეს ცა, ეს მიწა, კავკასის ქედი.  
ხომ არ მგულობენ ნეტავი დაღლილს?  
ელამ მზერას რომ წაგაწყდი ელდის.

უნდა ავაგო სულ სხვა ნავები,  
სხვა იყოს ჩემი ბორანიცა, ტიფი.  
და მაშ, გაშალე დილავ მგლავები...  
არ ვიხსენებდე მეტად ძეელ ტკიფილს.

ააფახულოს მაშ, გნებიანად,  
იღბალმა შავი წარპ-წამწამები.  
მთებმაც შესძახონ თმახიანად,  
შეგეწიოსო ძალი სამების.

უნდა შექმნა და უნდა აკეთო,  
ციდან ჩამოდის ეს ხმა მამების.  
გულის კარიო აღარ ჩაკეტო,  
ღაწვზე გითროთოდეს ტრფობის ხალები.

და რაც მოგსულვარ ამ ჩემს მიწაზე,  
ვგრძნობ, ვიღაც მითვლის ამ ფრთხილ ნაბიჯებს.  
წვერო გაგეასის, რით ვერ მიწამე?  
პირს რად არ უცვლი ქართლის ამინდებს.

ცამ გამომგზავნა საგალობელად,  
მსურს აღსრულება სწორედ ღვთის ნების.  
თავს ვგრძნობ საუნჯის მთლიან მფლობელად,  
ეს დაკეპნილი ვასწორო გზები.

ეთამაშება ნიაფი დილის  
ოცნებას, ოქროს დალალებიანს.  
და... რა სჯობს მთების ამ გულწრფელ ღიმილს,  
ღვთის სადიდებლად ერთად დგებიან!

16. 12. 2009 წ.

### ღრმასთან კამათი

რკინის ბადე თუ გალია? –  
არცერთი უყვარს სიტყვას.  
აქ ჩიტმა სული დალია,  
თვით ცა იგლოვებს დიდხანს.

მომდევენ თაღზი ფერები,  
ვგმობ არძინბას და ნიხასს.  
სისხლიან გულით, ხელებით,  
გით მიაღწიონ მიზანს?

კოკოითი და ბაღაფში,  
არ იღოს ქართულ მიწამ.  
გაჭაის გუდას გადავხსნი,  
უფალს მოუუხმობ იმ წამს!

## გორელი შალიკაძელი —————

დროსთან მაქვს დავა, კამათი,  
ვტირი გარდაცვლილ შვილს და...  
ღრო უძღები და ჯალათი,  
როს იცვლის სახეს – ნიჩსა?

აღარც ხალისი არაფრის,  
მხოლოდ იმედი ღვთისა...  
ვუსმენ ილია მეორეს, –  
ერის ღირსეულ შვილსა.

თვის ხილეას რომ იმეორებს; –  
მტერს არ ასცდება რისხვა.  
დავიბრუნებოთ აფხაზეთს,  
ამას არ უნდა კითხვა.

დავაწყობ გმირთა საფულავზე,  
ტკიფილის თითო შიხაკს.  
ღმერთი მოგვხედავს, ჩამოხსნის,  
ჩვენს დამანგრეველს ნიღაბს.

დამთავრდეს ურვა, ქაოსი,  
სხივს გელი ისევ ციდან.

ვდგავარ ხილების შარაზე,  
ჯვარს გამოეთხოვო ძალა.  
მაგანი რომ ზის „წამალზე“,  
ქართულ სისხლს იშრობს აღალს...

წარდგნაა, ელდის თქეშია,  
ნარკოტიკები სანაში!  
ო, ენა დღეს რა დღეშია,  
რით განუგეშებ კალაში!

ბილწისიტყვაობის ჯერი დგას,  
სულ დაბინდვიათ გონი!  
ჩემი დედა მო... ბაგენი  
ვით მოძრაობენ ნეტა?

ურჯულოება... ამდენი,  
ნაცვლად ძირკვავდნენ ეპალს...  
მიხედვა უნდა თაობას,  
თვალი დაეძებს თავდებს.  
ყურადღოს ეგებ მთავრობაშ? –  
რომ ყნოსააქს გწებით „გარდებს...“

ყმაწერთა აღზრდის საკითხებს,  
მიმართონ ახალ ფორმას.  
ყოველი კითხვა კალმის გულს  
მატებს ბორგებს და ოხერას.

რით მოვუშუშებთ მამულს წყლულს,  
დავდგეთ მოყვასნო ერთად.  
დიად საქმებს საეროს, –  
მიგხედოთ ფერთა გამას.  
რატომ არ უნდა ვბაძავდეთ  
მეფეთა-მეფეს, თამარს!?

შეგონებები დავითის?...  
„ჭირსა შიგანო“, – შოთა?  
არ ვიყოთ სულით ღარიბნი,  
ღროც დაამთავრებს შფოთვას.

8. 01. 2010 წ.

## ცისატფებულები ცაგი ტალებად

პირი შეუკრავს წელთა იარას,  
ჩარჩოს ვუძებნი იძედის სახეს.  
მივყები ბილიკს ღვექსის ზიარად,  
ნეტავ თუ იცნობს ეს ცა ჩემს სახელს?

წუთი არ ჩქარობს, მთხოვს დახანებას,  
რომ საახალწლო მომიღვას ხორჩა.  
ჩემს ერს მილოცავს გზნებით სამება,  
ვერ მოგვეკაროს ღუშმანი, მორჩა.

ვუძღერო დილას ფართოთვალებას,  
(არ დავუძრუნდე გარდასულ კითხვას)  
ცისარტყელები ცაზე რკალებად...  
ცელქობდნენ ღექსმიც ო, დმერთო, დიდხანს.

ჩემს ყაისნალით მოქარვულ ფარჩას,  
ფიფქი ეცემა ამ სანთლის წესას...  
ამ ქვეყნად მგონი დრო მცირე დამრჩა,  
ვერ გავუგმირე ბედს გული ქვისა.

მაინც წკრიალებს გრძნობათა სიმი,  
უღერას მიაწვდენს სწორს, გულის ხმისას?  
ო, ეს გაბმული წვიმების ჟინი,  
ეს ძახილია იქნებ და... ცისა?

## საახალწლო

ჰა, სადაცაა მხრებეგანიერი  
შემოაბიჯებს ახალი წელი.  
და დგას იმედი, პირზევნიერი, –  
თეთრი, ქათქათა გაშლილი წვერით!  
აღზევდებაო მშობელი ერი,  
უხვად ექნასო შეწევნა ღვთისა...  
აპა და, მთებმაც დამიკრეს კვერი,  
დგას ელვარება თამარის ჯვრისა!..

ჩამდენს მპირდება ცის კაბადონი,  
წამწამს ექებნ თეთრი ფიფქები.  
მოსწონთ ბაგეებს მათი ამბორი,  
სადღაც მიმბობენ ცელქი რითმები.

ო, ჩა სჯობს ცეკვას ამ ნაძვის ხეთა?  
აქვთ საჩურჩულო თოვლიან ტოტებს.  
სხვა რეალია და ხიბლი ფერთა,  
რომ გუნდაობენ ქეთო და კოტე.  
თოვას შეპხარის ამდენი ბავშვი,  
და აღარ სცივა ჩიგსაც, ნიბლიას.  
აღარ მაღარდებს ჭალარა თმაში,  
სიძლერით შეეხვდე დღეებს იღბლიანს.

ვერ მომეკარის ზმანება თარსი  
დგას რწმენის ხონჩა პირამდე საგსე.  
გენუკვი, ღმერთო, შარბათი მასეი,  
ჰიმი გუმღლერო მსოფლიოს ბავშვებს.

თქვენს დიად მიზნებს გვითხულობ ახლა,  
ლექსით გილოცავთ დამდეგ წელს, ახალს.  
გადაგიხუნდოთ სურვილთა ზერები,  
ყველა ოცნებას შეგისხათ ფრთები.

გესმით გუგუნი ზეიადი მთების?

უქმად აფჩენსო მტარვალი ხახას.  
გადასახედთან პაპის ხმლით ვდგები,  
უფალი დგას და პირვეგარსა მსახავს?

31. 12. 2009 წ.

# გოჭლი შალიკაძეო ————— ახლა კი, ახლა... (ცაფოს)

გაუჩინარდი, გაქრი აქედან,  
თავს რად მაღვახარ ისეგ?  
აქვინ გავ ზაგნის, ავო ზმანებავ?  
გულს ელდით რატომ მივსებ?

როდის ისუნთქონ ლაღად ბწყარებმა,  
სანამ პაერი მძიმე?  
ხმა შეისმინოს ჩემი სამებამ,  
როგორ ვენუევი იმედს!

ერთთავად ვატყობ ფიქრს გარინდებულს,  
და ეს, როცა ვარ მარტო.  
არაგვის პირას ყოფნა მინდება,  
შენთან ჩურჩული, ტატო.

ახლა კი, ახლა ზმანება თარისი,  
თვალებს მიქაჩავს ისევ.  
და გამოვიხმო სიტყვება ბასრი,  
სხვა რით მოვუგრეხ კისერს?

მაქეს დასაწერი ჰიმი ახალი,  
გაფრეკო ნისლის ფარა.  
წყალობას გითხოვ ღმერთის მაღალის,  
მთებიდან სიოს ხალასს.

მაშ, შემხვდი ტატო შენი მერანით,  
მიცნობ მე ამ ხმით აღალს.  
მეც გ ზნებით, გულის ჩუმი ღელგანით,  
ეს ცა ამ მხრებით დამაქვს!

მე „არაგველი“ მთებშა დამარქვეს, –  
ლვთის ხებაც იყო, გფიქრობ,  
ჩემეულ მათრახს გუქნევ წარმართებს  
და მათ მოქცევას ვითხოვ.

და შენთვის ქარგავს ცისფერ შანტიას  
სიზმრის მდელოზე წამი.  
გულს გაგინელებს, ტატო დარდიანს,  
მპირდება წვერი კალმის.

15. 12. 2009 წ.

### კანიკლის მუდმივი

ცა გრძელებდა მთელი ღლე ისე...  
ნეტავ რა ხდება იმ მთების იქით?  
ბედი – შავ ბედი მიმიზნებს ისრებს,  
და დრო უძღვები საათებს მითვლის.

ცრემლის კურცხალი დაეცა დაფას,  
ფიქრი არ მტოვებს გარდაცვლილ შვილზე.  
და სიმარტოვე აფჩენს შავ ხახას,  
დრო სულ მშარობს და დაეძებს მიზეზს.

კანდელის შუქი აგრძელებს ლიცლიცს,  
უფალთან მიაქვს, მწამს დედის ლოცვა.  
იქ, ჩემი შვილის აღდგომა ვიცი!  
შორს, ჰორიზონტზე სულ სხვა მზე მოსჩანს.

ცის კიდეს მერნის ჭიხვინი ესმის,  
ტატოს სიზმრები მერტყმიან ჯარად!  
შევეყუები მხრებს ჩემი ღექვისის,  
და ბედის ქირქილს შევუტევ თავად.

15. 12. 2009 წ.

## საღამოს სით

ჩამოიქროლა საღამოს სიომ,  
აუშრიალა გერხევებს ტოტები.  
სურს შთაგონების ნისლში გამხვიოს, —  
სულს დაგიჭრისო წამი გოდების.

უხვად მო ზიდა თვალთა ფერები,  
ლოცვას აღავლენს, ვით ოქროპირი!  
არ დაგარგოვო უქმად დღეები,  
დექ გემის ქმზე, ასე რომ ჰკიფის!

ჸქროდეს ეპოქის სიო ნეტარი,  
გაასხივოსნოს ცის კიდე-განი...  
შენთან რა ხდება ახლა ნეტავი?!  
თუ ნანობ იმ წლებს ხმაურით განვლილს?

თუ ღვივის ისევ ხსოვნის ღადარი?  
(ეჭვი გასცეურის თუმცა სამანებს...)  
აროდეს გიხმობს ჩემი არღანი,  
იმეორებენ მთებიც ამავეს.

## სიტყვა

შეტოვდა და შეიფარლა  
ფიქრის დაწესე ხალი.  
თვალ-წამტანი რული ჩაკლა,  
დროა შუა ღამის.

ინწევიან ფანჯარასთან  
კენჭერონი აღიძის.  
წამი იქ ზის, სიზმრის ტბასთან,  
წლებს იგონებს ჩაგლილს.

რას უყვება იქვე ტარიფეს?  
(ტბაში ცურავს გედი).  
აჲა, მესმა: წუთი ტირის; –  
რად გარ შავი ბედის?..

...  
მხრებზე იდგამს ვერცხლის სურას,  
მთვარე მიდის წყალზე.  
წუთი სიზმანს მუჭში სწურავს,  
მღერის სულ სხვა ხმაზე.

15. 12. 2009 წ.

რაღ ღიტს?

აღარ გაწევიმდეს ნეტავი არა,  
აღარ იცეალოს ამინდმა პირი.  
გზა მივუჩინო სიზმრების ფარას,  
დრო როცა არის მეტადრე ძვირი.

ვარდის წყალიო ერის გზა-საფალს, –  
პირველი ზრუნვა ფიქრიან კალმის.  
ამ სიმთა ჟღერას წრფელსა და ალალს  
დაჰგარგარებდეს გამრიგეს თვალი.

ბუბუნებს ქორო ანგელოზთ დასის,  
დიდ წინაპართა, – მამათა მწერივის!  
ვერ მომექარონ ეჭვები თარსი,  
ვერ გამიწყვიტონ სურვილთა მძივი.

ქებათა-ქებავ ყოველი არსის,  
გმადლობ უფალო, მიმოსავ ბწერებს.  
ზეცას შეცცერენ სიცელქით ბავშვის  
და უმცირებენ შუბლს ჭმუნვის დარებს.

ლექსი, — პირველი სულის კურნება  
და ტაძრისაკენ ბილიკი წერილი.  
და ღვთით დახატულ ქართლის ბუნებას,  
რად ღირს, რომ უმღერ შენ გათლილ სტვირით?

გამოვუკეთო ლტოლვილთ გუნება, –  
საგსეა, საგსე სიზმრების სკივრი....

## კალამი ეცე... ღამენათევე

მიიგრაგნება ფიქრის მდინარე,  
რომ ფართო შებლი არეკლოს მთათა.  
ამინდი მქონები, ხან „პირმცინარე“...  
მიმქრალან საღღაც სხივები თვალთა.

ხორხოცი აფთა ჩემს ქართლის გულში  
და პაექრობა საკუთარ თავთან.  
რამ დამავიწყოს, რა იყო გუშინ? –  
ო, არ დანდობა მოხუცთა, ბავშვთა...  
...

კალამი ესე, ღამენათევე; –  
როდის მორჩესო სტრიქონი ოხვრას?  
მამული – ჩემი ფიქრის სანთელი,  
ვერა, ვერასდროს მტერმა ვერ მოსრას.

კმარა ქირქილი, განვედ სატანაგ,  
რითმებს მოვასხა ფარ-მუზარადი.  
თუ როგორ უნდა ლელოს გატანა,  
მუზა მასწავლის ეს... თვალ-ტანადი!

30. 12. 2009 წ.

## ბოჭო შალიკაძელი ————— მეტანის თეთრი ფათარი

მერანის თეთრი ფაფარი,  
რომ გაუშლია ნიავს...  
რას გახდეს ქამი აფთარი?  
ფიქრს წარბი ზემო მიაქვს!..

მელის ქაღალდი ქათქათა,  
შუბლს აკვირდება ცვრიანს.  
დე, ყელს სიმღერა რაც დარჩა,  
ამოთქვას, თუნდაც გვიან!

რუსთველის ჰანგი ნანატრი  
უვლიდეს ცათა კიდეს.  
უშენოდ ყოფნა არად ღირს,  
ლექსო, მოფრინდი კიდევ.

დამაწვნევინე ჸამაკი,  
იქ ახალ შოთას გზრდიდე!!!  
მათრახი, ჩემი ქამანდი  
გადავკრა ორგულო, ფლიდებს.

ოცნების ჭერი ამაღლდი,  
აგუდგა ზეცას კიბე.  
სიტყვავ იღიდე, გალაღდი,  
რომ წმინდა შირონს ღვრიდე.

კვლავ შობოს მიწამან ჩემმან,  
ერთი დაგითი კიდევ!!!  
და... რას უზამდა ბედს ელამს? —  
კალამმა იცის მტკიცელ.

1. 01. 2010 წ.

## დავითის ჩრდილიც მიმოღის

გერ ეგუება, ვერა  
სარკე გარინდულ ამინდს.  
აქ დას ზმანება ჯერაც,  
ხმობს დიდ წინაპარს, დავითს!

დაუბლერიალოს თვალები  
ჩრდილოელ მელას, ვერაგს.  
და მესმის რისხვა ალვების: –  
იგი – ქმნილიო გველად.

დღეს ჩემი მთების, — სამების  
გამხდარა ბატონ მცველად...  
იმედო გამოდარების,  
არ დამეღვარო ცრემლად.

იღონებს რამეს ეს ბრკარი,  
წარბებს რომ ზიდავს ზემოთ?  
შეუტევს, ვით ამორქალი,  
გახელდი, ლერწმის ღეროვ.

აქ მაქვს ახალი ნოტები,  
მამულის სასიმღერო.  
მასზე ფიქრს ვით გავშორდები,  
მის მრავალუამიეროს?

რაშს მოაგელვებს გიორგი,  
ვეშაპი ისრით მოსრას.  
დავითის ჩრდილიც მიმოდის,  
სხვა მუზარადით მმოსავს!

3. 01. 2010 წ.

### იღემალი კატფი

ჰა, გაშლილი კარტი,  
რას გვანიშნებს ნეტავ?  
ნაბიჯები ამ წლის  
მაფიქრებსო მეტად?

შარი-შური კარტის,  
ათამაშებს წარბებს.  
გვალი მოსპოს დარდის,  
ველით ახალ ამბებს...

აქ... ეს ყვავის დამა  
ყალყზე რატომ დგება?  
ავს გვაუწყებს განა? –  
ქალის სახე კრთება!

ექვსიანი ჯვარის  
გვამცნობს გამგზავრებას...  
იქ დაანთო კვარი,  
საღაც წასვლა გნებავს.

იღუმალი კარტი  
ჰყვება რამდენ ამბებს.  
გიუი დარად მარტის,  
იმედს გვიშობს რამდენ!

## მთვარევ

ღრუბელთ მკლავებში ჩარგულსა გხედავ,  
გადმოიხედე ნამგალა მთვარევ.  
თორემ დამეს კვლავ შარობა ნებაცს,  
ისე მზაკვლულად უმზენს ჩემს ბწყარებს!..

გადმოიხედე, გაშალე სხივი  
და დააფინე მთლად ჩემს ქვეყანას.  
მტრის ტყვია შიგ ქართლის გულში კივის,  
გაი თუ, ეს ხმალიც ჟანგმა შეჭამა!

სიტყვა მხმობს მიტომ მეტადრე ბასრი,  
გამპირს მოტეხოს ეშვი, მკლავები.  
და არ მცილდება ზმანება თარსი,  
არ გამიჩეოს მწკრივი ალგების.

გადმოიხედე, მთვარევ, ნუგეშო.  
დაუბრიალე დამეს თვალება.  
ვით გადიტანენ ზამთარს უშეშოდ?  
ლტოლვილთ, აბა რით ვენაცვალები?

და აზანზარებს დარბაზებს ფიქრთა,  
როდის შეწყდება გრიალი ქარის?  
პასუხი არ აქვს გათოშილ რითმას  
ენახა მთვარე აქ, ტოტზე მჯდარი!

17. 12. 2009 წ.

## გალობრივი ჩიფი

რას მიგალობს ეს გულთეთრა ჩიტი, —  
ქართლის ბედზე თუ რაიმე იცის?  
ძარღვებს სინჯავს ყოველ ჩემი სიტყვის,  
ანცობს ტოტზე ჭიკჭიკის ტონს იცგლის!

სიონს, ქაშვეთს, გარს რომ გუვლი გელათს,  
წრფელი სუნთქვა... ღმერთს არ უყვარს ფიცი.  
გალობს ჩიტი, გალობს ისე მწველად,  
ისიც ეღის ახალ დღეთა ღიცლიცს.

აფხაზეთი, სამაჩაბლო ნანობს, ღმერთო, რისთვის? —  
წამოვეგეთ რუსთ ან კესიო, ბურანში გართ ნისლის?  
გალობს, გალობს ეს გულთეთრა, მან წინასწარ იცის,  
ბოროტ რუსეთს არ ასცდება ჟამი, უფლის რისხევის.

7. 01. 2010 წ.

## აიღნიდან

წამს გაუხდია ფაჩუჩები, შიშველ ფეხს აქნევს,  
არის თავისთვის, გრძნობა არ შლის ოქროს დალალებს.  
წელთა სიგრილე ვერაგულად ტრუობის ნიჭს მართვევს,  
მხოლოდ შეჭხარის სხვათა ლხინს და ჰარი-ჰარალეს.

დამოკლებია გზად იღბალსაც ორივე კანჭი,  
მისმა ლოდინმა რახანია გაწია ფარდა.  
და აიგნიდან არწივს ვხატავ სიგრცეში აჭრილს  
და მარტოობა შემომცეკვის, თან ისე ხარბად!

და სადაცაა გაფრინდება ეს წამიც სადღაც,  
კარებს აეკრა ელდის ლანდი, გრუხუნებს ზეცა.  
მტვერის გადავაცლი ჩემს საკრავებს, ფანდურის და არღანს,  
როგორ დარწინებენ, ყმაწვილობა ფრთებს ჩემს წინ კეცავს!

გასრულებულა ჩონჩხიანი წლების მინდორი,  
უამო ხსოვნა ნისლების მატყლს რაღატომ პენტავს?  
და დუმს ჯიუტად, არ მპირდება არც რას რიონი,  
და... ჩუმი წამი სარკმელს ურდულით, ჩუმადვე კეტავს!

### წყუნდის კუალი

კუნძული ზის ასე კენტად,  
გახუნებული წამი.  
ნუ გამახსენებს მეტად,  
მაშინდელ წრიალს კალმის.

თასში სპეკალი, ღვინო,  
დაასხი, შევსვათ ხვალის.  
თორქეზ დრო ისე ძვირობს...  
გვყოს მეგობრებად რვალის.

ნინოს ჯვრით უნდა გძლიოთ,  
ეშმაკს მოვთხაროთ თვალი.  
ვთხოვოთ მთებს ამო სიო,  
წაშალოს წყენის კვალი.

აფავოთ ძმობის ტიფი,  
მერქ რა, რომ წვიმს წვრილად!  
ვერიდოთ სიტყვას ირიბს,  
ვკიბიავდეთ მხოლოდ მძივად...

მაში, გაუმარჯვოს იმედს,  
და-ძმობის წმინდა კაგშირს.  
მიგენდოთ ციურ ხილვებს  
თვალებით, ცელქი ბავშვის.

მომავალი, 7 იანვარი. 2010 წელი

ქალალდს შეახე კალმის წვერით და თანაც ჩქარა,  
ცას სწვდებოდათ შენი გალობა, შენი ალილო.  
ჩამოიღვრება ცით შთაგონება მზის ნიაღვარად,  
როს სული ზეობს შობის დღეზე, სურნელ-ყვავილობს.

ღამეს წუხანდელს რა შეედაროს, ტაძრად მის თევას?  
როს გუგუნებდა კრებული, დასი, რეკლენ ზარები.  
ვით დაიტიოს ან თფალთა ტილომ ეს აღმაფრენა?  
ამოევსება, მწამს ხეალიდან ზეცას ბზარები.

ახლა მარტო ვარ, თფალმა დალანდა აქ ახლოს ტატო,  
გადაამოწმოს სულის ბრუნვა, კუთხე-კუნჭული.  
მიულოცეო ახალი წელი, შობა ჩეენს გვარ-ტომს,  
ჩვენთან არს ღმერთი, რწმენით მოვსრათო ყველა ურჩხული.

და მორიაკრაგებს თამარის წყარო, წყარო ანგარა,  
და ფრიალებენ და ფრიალებენ ზეცის კარები.  
გაუზე ფიქრმაც მთები სულ ფრთებით შემომატარა,  
ჩრდილი გადმომცეკერს ზეგანიდან თეთრი ზმანების.

გხვდები, რომ ესმის წრფელი სუნთქვა ჩემი ბწყარების,  
და შთაგონებაც მან შემომანთო ასე ღადარად.  
მამულს საყვარელს აბა, სხვა რითი დავეწამლები?  
დარდს სიმარტოვის არ მოვუშვებ ჩემთან, აღარა.

მარტომ არ შევსვა შობის დღეზე ეს სადღეგრძელო,  
გუხმო ხინკალზე ჩემს მეგობრებს, სურვილი მწველობს.  
აქ დგას, დამცეკერის გაუსა ჩრდილი მიღიმის, ზეობს,  
მივაწვდი ფანდურს, ააწყობს რომ ერთად ვიმღეროთ!

ჩვენი პანგები, ჩვენი ალილო ჭერს ახდის ზემოთ,  
იქნებ და... მტერიც მამულისა გაანათელოს?  
მუხლმოდრეკილი ღერძისთვის ვეველი ღვთისშობელს წმინდას  
რომ ემფარგველოს სამარადისოდ ჩემს საქართველოს.

ჩვენო იესო, ჩვენო იმედო და ჩვენო მხსნელო,  
შენს მცნებებს გული და კალამი წრფელად ატარებს.  
გმადლობ ყოვლისთვის, სული შენით ასე რომ სერობს,  
ეს შენ მიგზავნი თვალისათვის ფერებს საყვარელს.

შენით ვაჟღერებ ჩემს გამოთლილ ღერწმის საკრავებს,  
ეს შენით არის ქართველი ერი ასე რომ ერობს...  
მიწა ქართული კვლავაც გგაშობს გენიას, შოთას,  
გავუმკლავდებით ქართა გრიალს, ოხვრას და შფოთვას.

გით დავამთავრო სანთლით ხელში ქართველთა ლოცვა?  
სურვილთა ხურჯის გადაგისნით ახალი წლისას.  
ნაზიარებნო უზენაესის ხორცსა და სისხლსა,  
დრო არ დაუთმოთ ათას ჭმუნვას და ათას კითხვას.

თქვენ იცით, რა რიგ ძვირფასია ყოველი წამი,  
ღვთით ვესწრაფვოდეთ ჩვენს გულებში დასახულ მიზანს.  
ვიყოთ ერთურთის ამოსუნთქვა, სანთელი — კვარი.  
სიკეთე გქონდეთ, ნათელი გონი და მრთელი ჯანი.

თქვენ დაგტრიალებთ წელი ახალი გულით, ფიქრებით  
მტერს დაგმარცხებთ მაღალ ზნით და ყველა ღირსებით.  
ამ დღის ზეიმი გადაედოს ყველა ქრისტიანს,  
სიყვარულისთვის, ღვთის სადიდებლად ვინაც იღწვიან.

## წმინდა ნინოს ჯუარი

შზერა მისწვდა ზეცის დაფას,  
ჩახახებენ ვარსკვლავები.  
მოდის წმინდა ნინო მთა-მთა,  
კოჭებაძლე ნაწნაგებით.

შობა მოგვიღოცოს რათა,  
მოვიმარჯვო საკრავები.  
რომ ვადიდო მხსნელი კაცთა,  
კვალი მოგსპო სატანების.

გადმოვიდებ სჯულის დავთარის,  
დავატარებ რომელს გულით.  
სულის სულში განძად რაც მაქვს,  
უფლის რიდი, სიყვარული.

ვანთებ კრძალვით წმინდა სანთელის,  
იჩურჩულოს ხატთან ბაგემ.  
ვიცი ვალი, რაც მე მმართებს, –  
სიტყვით, საქმით კაცთან დავდგე.

ვეკრძალო ღვთის წმინდა დედას,  
აღვაგლინო მასზე ლოცვა.  
სიზმარ-ცხადში თავთან დგება,  
მუხლმოდრეკით ვდგავარ როცა.

მადლმოსილი ნინოს ჯვარით,  
დავტრიალებ ჩემს მთა-ველებს.  
შობას ვხვდები ხელში კვარით,  
შევასენებ ჩემს ქართველებს.

## გორელი შალიკაქელი

---

მოვუწოდებ, ფხიზლად იყონ,  
არ შეუდგნენ სექტებს სხვათა.  
რომ „იქ“ ღვთით არ გაირიყონ,  
რომ შართალნი იყონ თავთან.

აქ დგას, მისმენს წმინდა ნინო,  
ვეამბორო რიდით კალთას.  
შუბლზე მაცხებს ციურ მირონს  
და არ ჩქარობს ჩემგან წასვლას.

7. 01. 2010 წ.

### იმ იასამნებს

დახეტიალობს ხსოვნის ქუჩებში,  
დეკემბრის სუსტი, ასე თავნება.  
როგორ აკოცეს, გნახე ტუჩებში  
დიდი ხნის მერე იასამნებმა!!  
ისიც შევნიშნე, მათ თვალთა გუგებს,  
აღარ უწენდა „ის“ სხივი მწველი.  
ყოველს ბრალიძნენ წელთა სიძრუდეს,  
გერ დაგწერეთო ზღაპარი გრძელი.

...

სად დააბოტებს, გის კართან ნეტავ,  
იმედის ჩრდილი, თვალებსაცერა?  
ფიქრის სენაკში რომ მგულობს კენტად,  
დრომ გრძნობა უღვთოდ როგორ დასერა!..  
და აბრიალებს წერანიში თვალებს  
მოურღვევა მთვარისთვის ქობა.  
ნეტავი იმათ, იმ იასამნებს,  
რომ აღუდგინეს ერთმანეთს ნდობა.

16. 12. 2009 წ.

## ახლა წევის

ფიქრის ორთქლიან კედლებს  
ოდნავ ანათებს კვარი.  
შენ ახლა უნდა წერდე: -  
ეს ხმა ზეციდან არის!

ზმანება მაწვდის ქარგას,  
ციურ ყაისნაღს ხელში.  
ფრთებით მიგყავარ სადღაც,  
ჩემი სიმძიმით ხენეში!

არ შემახეთქოს ნეტავ,  
ათას უამრავ აკლდამს.  
და... თმენა ლაგამს ჰყვნეტავს,  
სუსნი ძვალ-რბილში ატანს!

და... ეს ჩურჩული ხეთა,  
მახსენებს ჩემს წყვილ საკრავს.  
ცის ფარდას ახალ დღეთა,  
უფლის ხატება აკრავს!..

წუთმა კლდის ქიმზე დამსვა  
ღვთისმშობელი დგას სვეტად!!!  
რაღა ვინაგრო, აწ რა?  
გმაღლობ სიზმრისთვის დედაგ!

გამოცხადება შენი<sup>1</sup>  
უფლისვე იყო ნება.  
ყველა სურვილთა ზენიტს  
ის ხომ პირველი ხედავს?

ო, რა ძალა აქვს სანთელს,  
ცისკრისას ჩურჩულს, ლოცვას.  
გვერდით შენ და ჩვენს გამჩენს,  
მანდ ჩემს სისხლსა და ხორცსა.

ჩემს ზურას კარგად მიხედავთ,  
(ახლა სრულიად ჯანმრთელს!)  
ახლა თქვენს შეიღლად ითვლება!  
ეჲ, მე ვიკითხო აქ, მე...

დავრჩი სიზმრების ამარა,  
სრულიად მარტოდ-მარტო.  
გახელდა დარდის ჭალარა,  
ანდა ვინ მკითხავს, რატომ?

გადააფარე შენდობის  
მას, ღვთისმშობელო, კალთა.  
(ზურა ხილვებში შემოდის)  
დგას ხოლმე მორცხვად კართან...

...  
ახლა წეიძის, გარეთ თქეშია,  
შევცემერი სანთლის ლიცლიცს.  
ის ძალა, ვიცი, ჩემშია,  
მარად ვიღოცო მისთვის.

## ცახცახი წერის

წევს სარეცელზე მრუმე ღამეთა,  
„იმ“ ხსოვნის ჩრდილი უსულ-უგულო.  
ფიქრი მუხლს იღრევს წმინდა მამებთან,  
იმ დამრეც ბილიკს აღარ ვუყურო.

ცახცახი წერის და გაფითრება,  
ჩაწვდეს იდუმალს ვარსკვლავთა ცაზე.  
ლეგენდებმა და ძელმა მითებმა,  
მომიკაკუნქს სენაკის კარზე.

მხრებზე ჩამოშლილ ოცნების დალალს,  
ვერ მოსწვდეს მეტად ორგულის ხელი.  
და... იმ შორის გზაზე ამ საგზლით წავალ,  
გზად სიტყვით ვსერო გველები ჭრელი.

არ ვეხარბები ბრილიანტს, ალმასს,  
ვარ ღვთის კანონთა უებრო მცველი.  
შენგან დაჭრილი მოვიკრევ ძალას, –  
შევძლო, შეგინდო წყენანი ძველი.

26. 11. 2009 წ.

## ტაცთმ და ტისტურს?

მთვარემ გასწია სარკმელზე ფარდა: –  
რატომ ფხიზლობო ამდენა ხანი?  
თუმცადა ესმის ძალიან კარგად,  
ჩუმი სრიალი ქაღალდზე კალმის.

და ჩემეული სიზმრების დაფას,  
სტყორცნა ერთბაშად მრავალი სხივი.  
იმ ხსოვნის დღეთა წამი სულს დაფავს!..  
სარკმელთან სიო სხვაგვარად სიგის!

აქ შარიშურობს თამარის კალთა,  
გულზე მირონი სურნელობს ჯავარის!  
მიწყდეს ხორხოცი მზაკვართა, აფთა,  
იმეორებენ არაგვი, – მტკვარი.

რატომ და რისთვის, რატომ და რისთვის?  
რუსთა ჯარები ენგურთან მდგარი?  
რეკენ ზარები დღედაღამ რისხეის,  
აქ მაქებ გორგასლის ხმალი და ფარი...

უახლოედება ზეგანს ილია,  
ზედაშით მოაქებ იმედი ხვალის.  
სულის ღრუბლებიც აღარ ჰყიყიან,  
ეგებ მოხუჭოს ღამებაც ოვალი?

13. 12. 2010 წ.

## მამული

შენ ახლა საით, მუზავ კეთილო?  
მაგ ქუსლის დაარტყაშ ან რომელ სივრცეს?  
ვერაგ მტერს ყოფა უნდა ეტიროს,  
რომ დაუსახავს თავდასხმა ისევ.

ცას ასწვდეს ეგებ ჩემი ალილო,  
საგანთიადო რეგენ ზარები.  
მამულო, ჩემო ფიქრის ყვავილო,  
ჩაცხრება ჟინი დროის ქარების.

ახლა ღამეა, შენზე ფიქრებში  
არ იკარებენ რულს წამტამები.  
და ძლევის ჟინი მოზღვავდა ჩემში  
რომ მაფხიზლებენ მთები სამების.

ასე კოპტიას და მარად ნეტარს,  
რომელი ღექსით დაგეწამლები?  
ვცელავ ამ ცელით გზად ნარს და ეკალს,  
სალბუნად ვიქცე შენი პზარების.

6. 01. 2010 წ.

# გორელი შალიკაძეობი ————— ჯადოსნების სატური

მომწონს, ხმაურობს როცა ბუნება,  
ღამეს რომ ართობს წვიმის შხაბუნი.  
სად აღარ დაქრის გრძნობა-გონება,  
იმ შემართებით — მამა-პაპური!

ამოა სწორედ უფრორე მეტად,  
კარზე რომ გესმის ღეჭსის კაგუნი.  
მერე რა, დროს თუ შემოგრჩი კენტად,  
სანაცვლოდ მწამს ცის ბოლო სადგური...

ლოცვანის წიგნი დავხურე რიდით,  
ოთახს არ ტოვებს საქმევლის სუნი.  
ხეალ დღე თეხდება ო, დიდზე დიდი, —  
უზენაესი ზეიმი სულის!

ხეალ შობის დღეა, მსოფლიოს მხსნელის! —  
რომელს ველოდი რიდით და კდემით.

დობილს, ხან ძმობილს, ჯადოსნურ სარკეს,  
სად გავერიდო ამ გვიან ღამით?  
ხელში მაჩერებს ერთთავად საწერს,  
და არ მაკარებს რულს ერთი წამით!

შენ სულ სხვა გაქვსო უფლისგან ხეედრი,  
მის ნაბოძეარსო მიუჯეექ საჭეს.  
სიტყვით განგმირე მტრის შავი მეტდი;  
და ნუ დაუთმობ მიწის ერთ ნაჭერს.

და ყელს იღერებს ფრთათეთრი წუთი,  
არ დაასვენა ეს კალმის წვერი.  
ხეალ მოგილოცაგ შობის დღეს უფლის,  
სიკეთით საგსე იყოს ეს წელი.

6. 01. 2010 წ.

## ჩავწერ იღმალს...

ო, რა გაპკიფის ქარი,  
გაი თუ ჭერს ახდის სახლებს?  
ღმერთო, ჰქენ ისევ დარი,  
რისთვის მრისხანებ ამდენს?

არ დავახანო წამით  
ვანთებ სანთელს და საკმელს.  
შფოთავს ცის კიდე-განი  
და აზანზარებს სარგმელს.

აქმარე ურვა ქართველო,  
ისმინე ჩემი ღმერთო.  
ვიცი მრავალი გვმართებს, —  
კანონს ვარღვევდით ერთობ...

ეპოქის შეშლილ სახეს,  
ღამეებს ვუთევ ფიქრებს.  
მტერი აშზადებს მახეს,  
საყრდენს აქ გულობს იქნებ ?

ცისკენ შიჭირავს თვალი,  
ცისკარზე „იმ“ სხივს ველი.  
„გგეყუდნოს“ ჩვენი თავი,  
იცან ჩემი ხმა წრფელი.

ღმერთო არ მოგენერი,  
როგორ მოგენერი?  
შენი წყალობის მჯერა,  
ვეწვევი სიონს, ქაშვეთს.

## ბოჭლი შალიკაშვილი

შევვედრებ წმინდა ქეთევანს,  
თამარს, მადლიან კალთას.

„ის“ წამიც ვიცი, ზეწვევა,  
ჩაგწვდე იღუძალს მთათა.

### თიდრობის კიბეს

სიჩუმის ფერფლი, მოფარფატე ეცემა რიდეს,  
დგას მარტოობა, თან ისე ახლოს.  
ავცქერ ჩემს გათლილ ფიქრების კიბეს,  
გსინჯაგ საფეხურს, არავის არ ვხმობ !

და... აღმოსაფლით მიმირბის თვალი, –  
იქიდან ელის სინათლეს, სითბოს.  
იქიდან მოდის დარი, ავდარი.  
ცრემლი უფლის წინ, სულ კაკლის სიმსხო!

შიში და ძრწოლა, იძედი ხეალის...  
ეს მისით გარჩევ ფერებსაც თვალთა.  
ეს მისით გზომავ დღეებსაც განვლილს,  
არად ჩავაგდო ყბედობა ავთა.

დავუბრიალო თვალები ჭმუნვას,  
არ გავაჩერო სენაკში წამით.  
გული დავუთმო ჩაგრულზე ზრუნვას,  
უფლის დიდებას დღისით და დამით.

.....  
განსხვავებული მეწვიოს ფერი...  
რაღამ ჩააცხროს აწ ფუნჯის ჟინი?  
რა დამღლის ღურჯი ლაქვარდის ცქერით  
და მოლოდინით ციური ლხინის?

5. 01. 2010 წ.

## წამი – თამადა

გარუკულ სიგრცეს შემორჩა მზერა,  
და მორაკრაკებს რუის სათავე: –  
გააგრძელეო დაფაზე წერა,  
თვითონვე მაწვდის ღერწმის საკრავებს!

არად არ ვაგდებ ჟამთა ქარს კაპასის,  
მე და კალამს გვაქვს ერთი ჭაპანი.  
გამოვიგონებთ სულ უცხო ზღაპარს,  
ვარწიოთ ახალ ვაჟას აკვანი!..

მის მთებს არ ვაკლებთ ჩვენეულ სალამს,  
პეშვით ვსვამთ ხოლმე ფშაველას წყაროს.  
ვიმოკლებთ თანთან ღორღიან საფალს,  
დაგვიჩება აქეთ ჩვენი სამყარო.

ჩვენ გადავხედეთ სიზმრად ცის იქეთს, –  
გზად შეგვეფეთა ღუხუმი, ღელა!  
ამ ქვეყნიურზე მაშინვე გვკითხეს, –  
რომელი ტაძრის გიყავით მრევლად...

ფრიალებს თვალთა ზეცის დარაბა,  
წამწამზე დადის სიმშეიდე სრული.  
ღექსს მშობიარობს წამი – თამადა, –  
იყოს სალბუნი მამულის წყლოულის.

5. 01. 2010 წ.

## ჩუმი არაგუის პირნი

დროის ბორბალის ბრუნვას  
დასცექერს უძილო თვალი.  
ყველა მამაცს და გულადს,  
ღვთით დაელოცოს კვალი.

ყველა მშიერს და მწყურვალს  
ნუგეში და საგზალი.  
სანამ ბორბალი ბრუნავს,  
გავთვალო გზები ხვალის...

თვალს არ იტაცებს ლალი,  
არ ეძებს ალმასი, ოქროს.  
მამულში მედგას დარი,  
რომ ჩუმი ყანა მოგწეო.

ჩუმი არაგეის პირნი  
კვლავ ხმობენ ობოლ ტატოს.  
მეც თავს გაფარებ ტირიფს,  
მეც სულ მარტო გარ, მარტო.

გლოვობს გარდაცვლილ ღიძილს,  
პაპისეული ხმალიც!  
გავყევე ახოს და ბილიკს  
ისე, გით ამორძალი.

5. 01. 2010 წ.

## და მთაგონება?, სადა ხარ ახლა?

ჯიუტი ღამე აჭყეტავს თვალებს  
და აყურადებს გარინდულ სივრცეს.  
გათენდებოდეს ნეტავი მაღე,  
სულის ფორიაქს, ვიცი, ცა ისმენს.

და სადაცაა ახალი წელი  
ახალი რიხით მოდგება კარზე.  
გამოგვიწოდოს ნუგეშის ხელი,  
აღარ გაგვიდგეს მმობილი განზე.

ახალ დაირას შემოვკრათ ხელი,  
განსხვავებული ფიცით ჩვენ ლხენა.  
ძეგლს გავატანოთ დარდები ძეგლი,  
მონატრებია სულის აღმაფრენა.

აღარ თენდები თავნება ღამევ,  
მხოლოდდა ზრუნავ მარტო შენს თავზე  
უნდა მოგასწრო რამდენი რამე,  
ვთქვა ანი, პოე მთასა და ბარზე.

როგორ მიმელის, არ იცი ფუნჯი,  
ცელქი ფიფქების არეკლოს ცვენა.  
და შენ რად გინდა გამხადო მუნჯი?  
რად ეურჩები შენივე ზენას?

და შთაგონებავ, სადა ხარ ახლა?  
შემომანათე თვალები მწველი.  
თორემ უშენოდ ღამემ რომ მნახა,  
სისინებს ისე, ვით ჭრელი გველი.

19. 12. 2009 წ.

## თუმც მჩევა მაღლა

მოგონებათა უდაბნოში  
ჰქონის ციფი ქარი.  
გერსად იხილავს თვალი  
მეტად აფრენილ ორბებს.  
მისევნებულა მკლავზე ოცნება  
ნახევრად მკვდარი,  
იქნებ პაერსაც თავისი სტკიფა,  
მოსთქვაშ და ჰგოდებს?

ვით ავარიდო კელაპტრები  
მის უწყვეტ ზუზუნს?  
თუმც მზეა მაღლა, სითბოს არ  
ჰყოფს არც მცირეოდენს!  
დრო კვლავ უძღები ჟინით  
ჩარხავს კლიტეს და ურდულს,  
ციხე მისჯილი სულს, ო, ღმერთო,  
სანამდე ჰქონდეს?

დამიზნული აქვს ბედს დაშაჩაჩა,  
წამართვა შეილი,  
ქარის გრაილში მიგაწვდენ კი  
ცას მასზე ლოცვას?  
მოაქვს ზმანებას ყინულის ლოლო  
წამწამთან წყვილი  
ოთახში დადის მარტოობა,  
გმინავს და ოხრავს.

26. 08. 2009 წ.

## სწრაფულა

ლამისაა წამი  
აღვისხელა გახდეს!  
და... ეს ჟინი კალმის,  
დროს, დროს უტევს  
თავხედს.  
გადარეკავს, გიცი,  
ციდან მრუმე ფერებს.  
მან სხვაც ბევრი იცის!  
სურვილთ ყელს უდერებს!  
მოვამზადებ ყულფებს,  
გამოვთალო სტკირი...  
მოვეფერო ქუჩებს,  
ბაღს, გალუმბულ ტირიფს.  
რამ ჩააქრის შფოთვა,  
მტკერის, არაგვის ზეირთის?  
სტრიქონები დროსთან,  
დგანან მძიმე ტვირთით.  
და ვემთხვევი რიდით  
ჯვრიან დროშის კალთას.  
„ის“ ნანატრი ხილი  
გავდო მაღე ცასთან.  
შის ბაღჩაში მწვანილს  
გკრეფდე ქორფას, ახალს!  
სივრცე, კიდე-განი  
ხმას რომ მთხოვენ ახალს...  
მილოცავდეს ქრისტე —  
მტერს მივაგე მსახვრალს!!  
წამი რამდენს იტევს?  
და... ღექსა მთხოვს ახალს.

## ღა ყოველი უძმნა

არ აკეცავდეს ფრთებს ნეტავ ჯერაც,  
ციური სით ურბენდეს რიდეს.  
რითმისთვის ახალ ჩოხალუხს გკერავ,  
ლექსის მუსიკა რომ მისით ღირდეს.

რომ სეგეტად იდგეს შიგ ქართლის გულში,  
სურნელს აფრქვევდეს და მირონს ღვრიდეს.  
ამო შრიალში ტოტების ნუშის,  
ეს ხმა გადასწვდეს ცის კიდით-კიდეს.

აღარ უცქერდეს მავანი ცერად,  
ცოდვილ მიწაზე ნატერფალს ჩემსას.  
მე ჩოქვით ვუგვლი დავითის გელათს...  
საზღვრებზე გძჭობდით გუშინ და დღესაც!

და რა სჯობს ბაღში ბუბულის სტგენას?  
რომ აღადაროს გულების ცეცხლი.  
ჩვენი ქართული, თვით უფლის ენა!!!  
ღვთისმშობლის ნანა ყურს ახლაც ესმის!..

ჰოდა, მოფრინდეს ისეთი ლექსი,  
თვით ანგელოზის იყოს საკვირვო!  
ისე შამლერა შამულო შენთვის,  
ქვეყნად ვარ სანამ, მცნობდე საჭიროდ.

5. 01. 2010 წ.

## მე ცა მიმიღებს

და... რა სახელსაც დაგარქმევ, ვიცი,  
სხივებით ნაქარგ ხილვების ძღელოს.  
თვალს ვთ ახარებს კუნტრუში კვიცის,  
სახიერ წუთის გსგამ სადღეგრძელოს!

სულ სხვა ხიბლი აქვს ჩვენს ანს და პოეს,  
სხვა სურნელი აქვს სიტყვათა კონას.  
და რასაც ვეძებ, ვიცი რომ ვპოვებ,  
ცას ასწვდეს აზრის ჭიაკოკონა.

გაუქროს მაგანს შხამი და გესული,  
გარდის წყლით მორწყუას საგალი გზები.  
თუმც ეს გულის ხმა მთებს უფრო ესმით!  
და... ჩემს ხილვაზე სუნთქავენ გზებით.

მინდა დამპირდნენ აპრილს თაკარას,  
ისედაც მოველ აპრილის თვეში.  
თუმცადა მაკრთობს თმების ჭალარა,  
მკლავს მოღალატის ბუნება შენში.

არ ვემონები შე მაინც ზაფრას,  
სამებას ვთხოვო ულევი ძალა.  
და სულის განხად ეს არის, რაც მაქვს,  
შეცა მიმიღებს წრთულსა და ალალს.

გულხელდა კრეფილს დამხედავთ როცა,  
მიუსამბიმრეთ მხოლოდ ჩემს კალაში.  
გთხოვთ, აღავლინეთ ტაძარში ლოცვა,  
მიგუახლოვდე იქსოს სამანს.

4. 01. 2010 წ.

სულ სხვაა ახლა სახე-იქრით  
ეს ზმანება რომ მომდგარა კართან.  
გზა ხსნისა გვითხო მშობელი ერის,  
ვგედრი ღვთისმშობელს, დახუროს კალთა.

მუზა სდარაჯობს რუის სათავეს,  
არ აამღვრიონ ზრახვებმა ავთა.  
ეს მერამდენედ „კონგრესს“ მართავენ,  
ტყუილ-მართალი გაირკვას რათა.

რომ დაიტაცეს მიწები ჩვენი,  
რომ იპურთავეს თავებით ბავშვთა...  
მოსრა სწყუროდათ ქართული გენის,  
სისხლის ტბორები დგას ისევ თვალთა.

მსოფლიო უცქერს უშაპის ეშვებს,  
აღარ დასრულდა დრო კბილთა ღჭენის.  
რწმენა გაიდგამს ვიცი ღრმად ფესვებს,  
აფხაზეთი კვლავ გახდება ჩვენი.

მაჩაბელს ხელთ აქვს ჯვრიანი დროშა,  
და აფრიალებს ზეგანზე მდგარი!!!  
წმინდა გიორგი ღრუბლებში მოჩანს,  
თან ახლავს ზეცის წმინდათა ჯარი!!!

და ვაკვირდები სანთლების ლიცლიცს,  
ღამის ფიქრები ართავენ ფთილებს...  
ზმანება დგას და... ვგრძნობ, მეტი იცის!  
ნეტავი ახლა რის თქმას აპირებს?!

4. 01. 2010 წ.

## განძარ ლევი

ბორიალიბს ფოთოლთ გროვა,  
უსისინებს როცა ქარი.  
მარტოსული შემოდგომა,  
გაძარცული და დამზრალი.

ფორიაქობს თვალ-წამწამი,  
არ იკარებს დამის რულსა.  
და ოცნების ცხრა ნაწნავი,  
ელის მზეს და გაზაფხულსა.

ღვინოვა, როგორ დამათვერი,  
არ დამატყდეს რისხვა ღვთისა.  
სად მიმქრალა სხივი მწვერი?  
სიყვარულის არ მყო ღირსად.

რა ჩოჩქოლი, რა ზრიალი,  
ამბოხია არაგვისა?  
ეს წელთა სვლა ავზნიანი,  
ხმას ვერ ჩაკლავს ამ არღნისას.

რად მხდი, ბედო, მე სამიზნედ?  
ვეღარ იტანს თვალი წკვარამს.  
ჩემთან იყავ არსოვამრიგევ,  
განძად ღეჭი, – სხვა მე რა მაქვს?

## ჩემი სიმღერა

დღეთა წყება და სულის კურნება,  
დაირა თეთრი ანგელოზების.  
ღვთით დახატული ქართლის ბუნება...  
და მისით თრობას გით გავშორდები?

მთათა ალილო ექოდ მომყვება.  
ამ მხრით მიცნობდნენ ჯერ კიდევ გუშინ.  
გერ დაგასწრონო ზღაპრის ორბებმა, —  
ციდან მარცვალი ჩააგდო ხნულში.

არ გამებუტოს ნეტავი ფუნჯი,  
ამოთქმა უნდა ამდენი რამის.  
დასახატავად ჩემი საუნჯის,  
გადავინახო ძვირფასი წამი.

ხელის დღეებო ჩემი სალაში,  
აპათ, გაშლილი კვირტი გულისა.  
ჩემი სიმღერა იყოს წმიალი,  
მრავალტანჯული ჩემს მამულისა.

უამო ხსოვნის დღეები ურცხვი,  
დავასაფლავე მარტომ ამ ბორცვთან.  
დროშების ფრიალს ენგურზე ვუცდი  
და ძლევის ძალაც უფალმა მომცა.

## სიცელია მებახის

სიტყვა მებახის, სიტყვა ფრთაშალი  
და ახაშნაშებს ლაშაზ წამწამებს.  
საგანთიადოს ყივის მამალი,  
ოცნება მაშლის მხრებზე ნაწნაფებს.

მისად მიგულებს და მიხარია, —  
სიტყვას ვეფერო ღქროს კოჭებას!  
გზაზე სამების წყარო დალია!  
სასწაულიო, ვიცი მოხდება! —

ოღონდ ამინდი არ გაირინდოს,  
არ აგვიხირდნენ გზაში ქარები.  
უფლის სახელმა მარად იდიდოს,  
აღვგაგოთ გვალი აქ სატანების...

ვავლებთ კონტურებს მე და კალამი,  
სიტყვამაც მოგვცა ძმობის პირობა.  
სალამი მთებო, ჩვენი სალამი,  
გულზე ეს მძივი ოქვენით მძივობდა!

მე თქვენს წიაღში აგიღგი ფეხი,  
თქვენი ჰაერი ჩაბერეთ ფილტვებს...  
გხვდებოდი სათქმელს ალგის და ვერხვის,  
გული ქვეყნის ფიქრს ამიტომ იტევს!

მე ჩემი სიტყვით მნახოთ სად არა,  
ფანდურზე ფიქრის სიმად გაბმული...  
თამარის წყარო შევსეი ან კარა,  
ვარძია დამცეკერს ცად აღმართული!!

## გორელი შალიკაშვილი

მოვდივარ, მომდევს წვიმების თქეში,  
სავსეა ჩწმენით ჩემი მათარა.  
უფალს ვადიდებ ნინოს ჯვრით ხელში,  
მგულობს სანთლად და... ლექსის დადარად.

8. 01. 2010 წ.

### ამ ჩემთა ყურთა

მთები, სამშობლოს მაღალი მთები,  
ნეტავ რას ბჭობენ, ჩავუხვდე ახლა?  
შუბლის ღარები განვლილი წლების,  
თმენით ელიან რაღაცა ახალს!

და... რას მანიშნებს ეს კალმის წვერი? –  
ამ ბეწვის ხიდზე ცისკარზე გასვლას?  
მრავალს მპირდება ახალი წელი,  
ცის ძალთა დასი, ხედავს, თან მახლაცს!

რომ გაახელებს კალამს უფრორე,  
მთაწმინდის ჰაერს მოჰბერავს სუფთას.  
ცის ღაუგარდოვან კიდეს უშორესს,  
გულმა სათქმელი სიძლერით უთხრას...

ღუღუნს დაიწყებს დაჭრილი მტრედი:—  
ესმათ ციდან ხმა ამ ჩემთა ყურთა!

8. 01. 2010 წ.

## ცახცახი წერის

რა აქვთ ამდენი სადაცო ქარებს?  
უღილოდ აცლიან ხეთა რიგს ფოთლებს.  
შემოუტეხნ ფიქრის ქოხს კარებს, –  
რა დაპკარგვა ტიალს და ოხერს?

და მთებს დაპკიფის ზარით და ზათქით,  
არ ჩაუხრია მთელი დღე მუხლი!  
სულ არ ადარდებს მას ბედი ქართლის  
და ძმათა შორის მტრობა და შუდლი.

დაეძებს თვალი მთვარეს შუბლგახსნილს,  
ცად აღარ არის ღრუბელთა ტება!  
მოიწევს ელდა შეშლილი სახით,  
თვალი დაადგა ხონჩაზე მტევანს.

ხარხარი ქართა, ზანზარი სახლის,  
გაი თუ, დაჩეხავს ჩუმს გათლილ კიბეს?  
სიშარტოვე მხრებს სახეში მახლის,  
ცაო, პასუხად რად გაირინდე?

ცახცახებს წუთი, გორგალი ფიქრის,  
კედლებმა შთანთქეს ჩუმი ვედრება?  
დაამთავრებდეს ეს ლამე ხითხითს,  
და ჟონავს წუთი სისხლის წვეთებად.

15. 12. 2009 წ.

და ასე სანამ?

ტოტები, ფიქრის ტოტები,  
თოვლს დაუზნექავს მძიმედ.  
მიმწყდარა ხმობა ნოტების,  
დავცეკერ ჩაწყვეტილ სიმებს.

რომ ქოხში, ჩუმი ოცნების  
ქირქილებს ჟინი ქარის.  
კგნესა გარდაცვლილ ფოთლების,  
დახშული მუზის კარის.

აღარცრა წყაროს დუდუნი,  
ხსოვნის ბორცვებთან შენი.  
მოიპარება უკუნი,  
ნიჭის მპარაგს ჭირთა თმენის.

რას ყმუის ძაღლი – ფინია?  
მთები რას ბჭობენ ერთობ?  
სულის კედლებიც ჰკიფიან  
და... შენც რად მტოვებ, ღმერთო?

29. 11. 2009 წ.

## ჯავახისნები გთტვალი

ფიქრთა დარბაზში ჯგუფი გეგმების  
ღერძის სასიმღეროს მთხოვს ასე, სადას.  
დაღი დაუსევამს წელთა ქარტეხილს,  
ხმა შეუცვალა სტეირსა და არღანს.

მონატრებია სარკმელს მუსიკა,  
ნაზი ლაციცი ტოტების ხეთა.  
მაგრამ რომ ხედავს თვალი აქ მტრის ჭარს,  
როგორდა გიყო გულგრილი ბედთან?

ფიქრები ახალ ფთილებს ართავენ,  
მაქეს ჭადოსნური გორგალი ძაფის.  
რომ ბოროტების ყველა სათავე,  
მოსპოს, ჩრდილოელ ტირანი კაცის!..

აცელებოდნენ სხივები შრებლად,  
დაბრუნებოდა ღაწვს ვარდის ფერი.  
სიმად გავება და ცისარტყელად,  
დავატკბო ჩემი მთები სიმღერით.

6. 01. 2010 წ.

## წლიში მგრილმანი

ნატერის ხესთან ვარ,  
აქვდგავარ ახლა,  
წლები მგულობენ  
ბედის ზიარად.  
ვხატავ ოცნებას  
და პირჯვარს ვსახავ,  
ლექსი მოგარდეს  
თვალებბრიალა.

ისეთი, თვით ცა  
რომ დარჩეს სახტად,  
ჩოხას შვენოდეს  
მისას სირმები!..  
თუ წუხანდელი  
სიზმარი ახდა!..  
გვირგვინს დაიდგაშე  
ჩემი იმედი!

ამაციალე, ამაბრიალე,  
ფართოდ გაშალე,  
მუზავ, აფრები.  
ლექსით მივეთბო  
ადამიანებს,  
მათ საფიცარად  
თუკი გაჭხდები...

6. 01. 2010 წ.

## მე გაუტენ შენმი სიკეთის მუკლე

გარს უვლის ქარი  
ნაწეიმარ ქუჩებს,  
მძიეს ჩამოსწყვიტა იმედის თვალი.  
გულის იარას  
დრო  
მიაყუჩებს,  
ღექს დამიაურებს ნათელი ხვალის.

რას გარინდულა  
არაგვი, მტკბარი?  
აღარ არხევენ აღვებიც რტოებს...  
გხვდები ანგელოზე  
ანთებულ კვარით,  
ღოცვანის წიგნით საყდარში მტოვებს.

.....  
ღექსი და ჩანგი,  
ოცნების ქარგა,  
რომ ჩაეკირა ამ გულის კედლებს.  
დე, საღაც იყო,  
იყავი კარგად,  
მე დავრჩე შენში სიკეთის მეგვლებ.

# გოქლი შალიკაძეონო

---

## მამა შოთას

7. 11. 2009 წ.

ამ დღეს ჩვენი პატრიარქის, იღია II-ის ღოცვა-კურთხვით წმინდა ქეთუ-  
განის სახლობის ტაძრის ეზოში ჩვენს მოძღვართან, მამა შოთასთან ერთად ეკ-  
ლეგების მრევლის დაგრევეთ სხვადასხვა ჯიშის ნერგები. ყველას სახე ზე სიხარუ-  
ლი გამოსჭვიოდა, განსაკუთრებით მამა შოთას, რაც თვალის სარკებ ძიისიერად  
არეკლა. ამიტომ ეს ღუქსი ეძღვნება – მამა შოთას.

თბილი ზეფირი, ჩურჩული ზესთან,  
ტაძრის კედლებში ბრიალი სანთლის.  
განსხვავებული მადლია ჩვენთან,  
დროშის კალთებზე, სრულიად ქართლის!  
და ვმადლობ ნებას მაღალი ღმერთის,  
ზიარებულ ასეთ სხივიან დღეთა.  
აპა, თითქოსდა ყუჩის უკვე ესმის,  
ანცი შრიალი ჩვენს დარგულ ხეთა.  
შერდს აბორგებულს გარდის ეპოქის,  
დგას, ანგელოზი უქნევს მარაოს.  
შენი კურთხევა სულს საგზლად ჰყოფნის,  
მრავალუამიერ, ჩვენო მამაო.  
მარად გფარაგდეთ ღვთისმშობლის კალთა,  
იტყვი და... მოსდევს გუგუნი დასის.  
მარად მართალი იყავთ თქვენს თავთან,  
გვიგსებ და გვაწვდი იქსოს თასებს.  
შემოგცენ ასე კრძალვით და რიდით,  
კალამი მიხმობს საწერად ღექსის.  
და გამოგდერწე ზედაშე დიდი,  
შენს სახელს გაწერ და მომაქეს შენთვის.  
სულის საკრავი გზად თან მახლავს და...  
ხარობს, როს ზეობს კრებულთა გული.  
დაგვოცნი ნერგებს ძველს და ახალსაც,  
ქვეყნად დამკგიდრდეს მშვიდობა სრული.

## ისევ მამა შოთა

რწმენით რომ გვივსებ მირონის თასებს,  
მით შეგიყვარე შენ ძალუშ ასე.  
და... ვზომავ დღეებს შენს სიგრძე-განით,  
რანი ვიქწებით უშენოდ, რანი?

შემოვკრა ძლიერ რიყრაჟის ზარებს,  
ეს ჟამთა ქარი უქმად ხარხარებს.  
შენ შემოგვედრებ ჩემეულ ქნარებს,  
ღვთის სადიდებლად გქმნა კიდევ რამე!

28. 11. 2009 წ.

## ნუ, ნუ ცახცახაზ

ნუ, ნუ ცახცახებ წუთო ჩემს გვერდით,  
თავს აღარა გვრმნობ მარტოდ, აღარა.  
შთაგონებაა ჩემთან ღვთის ნებით,  
მირონი პეშვით გადმომალებარა!

როცა დახედა მუზარადს, ფარ-ხმალს,  
ციური ფრთებით სად არ მატარა!..  
ცის ანგელოზთა ქოროა ახლა, —  
რომ გაგაძევოთ ბოლო სატანა!

და მთლად ეპოქის მბორგავი შკერდი,  
ჯადოსნურ სარტყებ არეკლოს უნდა,  
ჩვენი აფხაზი და ოსი მშები,  
კვლავ ერთად ვიყოთ ფერხულში მუდამ.

## ღრაზნათ ქაშთულო

დილა მშეგიდობის სიტყვებო,  
ძილშიც იყავით ჩემთან!  
წამრამზე ცელქობთ რითმებო,  
თქვენ მაჩურჩულებთ ღმერთან.

პოდა, დავჭექოთ სიძლერა,  
ძეგლი დავუდგათ ენას.  
სიტყვით ამოთქვან სიმებმაც  
ქართული გულის ძგერა.

სულ სხვაა ჩვენი დიელო,  
ჩვენი ურმული, რერო.  
ლექსო, ხმალივით იელვო,  
შიშით კვდებოდე მტერო!

დედაქნაო, ქართულო,  
თვით დაგგარგარებს მზეო.  
ჩემო გიტარავ, ფანდურო,  
თქვენით იწყება დღეო.

## თიქოზი

ჩუმი ოცნების ფრთები  
უქმად ზომავენ სიგრცეს?..  
ღექსო, ნუ მომიკვდები,  
ვიღონო რამე იქნებ?

გავცელ უდაბნოს საგალს,  
არსად გაღობა ჩიტა.  
არც ზეციური ხმები,  
სათქმელი ღაღად ითქვას!  
თალხი ფერები წლების  
და გაძარცული ხონჩა;  
უსიყვარულო გზები...  
აღარცრას ვეღი, მორჩა.

გუგებში ჩუმი ცრემლი,  
რითმებს რითი ვცემ ნუგეშს?  
ღექსი ახალი, ძველი,  
ბედის დარტყმებს რომ უძლებს.

## მიწური ჩური

ელგამ გაკეთოს ღრუბელთა ლოდი,  
მოვიდეს წევიძა ვარდასფერადა.  
დაუშაშრია თვით მიწა ლოდანს,  
როდის ვიგულებთ სოხუმს ჩვენადა?

როდის მოვძირევავ გზად ეკალ-ბარდებს,  
აუტანია მტერი წერასა.  
დრო არ დავუთმო სხედა წერილმან დარდებს,  
ჩოქვით გარს ვუვლი სიონ-გელათსა!

დასცხეთ დაირას, აბა, ბიჭებო,  
მთებმაც კვლავ რიხით მოგვცენ ბანიო.  
ლტოლვილნი უნდა დავაიმედოთ; —  
ჩვენია მარად ნათლის ჟამიო!

ჩემი ბუკი და ჩემი ნაღარა,  
არწივმა ფრთებით ცაში წაიღო.  
მე შიდა ქართლში გვესებ მათარას,  
ოსებთან კვლავაც ხიდი გაიდოს.

ფიქრმა სად აღარ შემოიარა,  
თამარის ჯვართან ვლოცულობ ახლა.  
უფლის მსაჯულმაც დაიგგიანა,  
ჩვენი მიწები საჯიჯგნი გახდა.

## მე სხვა ხმას უკლი

უსიყვარულოდ ცაც გაირინდა,  
შამბნარს მოუცავს ბილიკი-გზები.  
სადაა წყარო ციფი და წმინდა,  
ჩანგი მომართოს ბოეტმა გზნებით?

როგორ კიდიან სულის ღრუბლები,  
თვალი გერ გასცდა წელთა ჭაობებს.  
აქ სულ მარტო ვარ, დამლოცე დედი,  
მესიზმრე მაინც, მთლად ნუ მაობლებ.

ნამდევილ რაინდის შეძახილებით,  
არ დარჩებოდა გულში ისარი.  
დამებნა ბნელში ჰოდა მძიები,  
ჰე, ანგელოზო, რამე მითხარი!

იღბალს შზადა აქვს დაშიდოს ფეხი,  
შთაგონებამაც თუ არ მიგანა...  
ეს იყო გვერდება, გოდება გერხეის,  
მე სხვა ხმას გელი ხვალ ამ ციდანა!

### მეგთნება

დარღი სკიგრში ჩაგეტებე და  
გადავაგდო უნდა,  
და პა, იმედს ფეხზე ვხედავ, –  
მაწვდის ზდაპრის გუდას.

მიშლის რაღაც ციურ სუფრას,  
თვითონ მაწვდის ჯოგრიტს.  
რომ სიფრთხილით მოზარდს ვუთხრა,  
გზა ეშლება როდის.

მოუპაროს დედა ენას, –  
უპირველეს ყოვლის,  
მამულსა და მერე რწმენას, –  
აფარჯიშოს გონი.

ეჩურჩულოს ზენაარის და  
აყურადოს მამებს.  
ლაბირინთებს თუკი გასცდა,  
ამ გულს დამიამებს.

შეუტიოს სტიქიასაც,  
გაუშართოს დავა.  
მწამს, დადგება იგი კაცად,  
აგს გაარჩევს თავად.

\*\*\*

ფეხქვეშ თელავდი ზნეობის მანდილს,  
მგლურად უღრენდი მომშეთ ღირსებას.  
ყალბი გვირგვინი დაიდგი რაკი,  
ხარკად ითხოვდი ქება-დიდებას...

და მე ვიცოდი, ადრე თუ გვიან  
მოედებოდა შენს თარეშს ბოლო.  
ახლა შენს წიგნებს ხაგავში ჰყრიან,  
სატანის კერძად გვეგულვი მხოლოდ.

\*\*\*

ამ ხელის გულზე ღუღუნებს მტრები,  
სათქმელი მისი წინასწარ ვიცი...  
უკმაყოფილო რით ხარო ბედის?  
როს მეტკვიდრე ხარ ამ ცის და მიწის?

### იქ, ჭირაბენის გალავანთან

იქ, ზედაზენის გალავანთან  
მავალი ფიქრი,  
როდის დარეკავს ნეტარ ზარებს  
ნეტავი, მცხეთა?  
ავი ზმანება რად ქირქილებს  
ნისლების იქით?  
— არა და არა გველეშაპო, ზავი  
კვლავ შენთან.

\*\*\*

სიხარული მინდოდა  
მხოლოდ ერთი მუჭი,  
წუთს პასუხის გაცემა  
ვაი, როგორ უჭირს!

\*\*\*

დრო და ღვთის ნება ზოგს უმზადებს შხამს,  
ზოგს კი მზის ბადაგს,  
შენ სათნოების ხმა ყავ, ნურავის მისცემ  
რისხების საბაბს.

არც ვის დაუთმო შენი კუთვნილი,  
მეტყოდა პაპა.  
იყავ ფხიზელი, არ შეუშინდე თვით  
ქარებს კაპასს.

\*\*\*

გათენების ჟამს წერე ლექსი,  
შემოსე სხივით,  
რომ სასიმღეროდ აშრიალდეს  
ღრუბელთა სიმიც.

\*\*\*

დასტრიალებენ ანგელოზები  
ამ ფიქრთა ტამარს,  
გააღვიფებენ ნეტავ ბუხარში  
მინავლულ ღაღარს?

\*\*\*

კარის ღრიფოდან შემოვიდა ახლახანს, აგერ,  
სიზმრად მინახავს ეგ ზმანება, თუ ცხადში სადმე?  
ზეციერისგან ძლვენს მომართმევს, მწამს  
თანაც რამდენს...  
რომ მიგულოცაგ ჩემს ერს ღექსით  
ახალ წელს დამდეგის!..

\*\*\*

ცოდვილ მიწაზე გულს ეგულვის სიტყვათა განძი  
და ვერას მავნებს კარს მომდგარი სევდა და დარდი.  
რა სჯობს, ბრძენი რომ აზრის კონას ბაგეთი გაშლის,  
გაქრება ჯანდი, ღრუბელთ ქულებს სიმღრად აშლის.

კითხულობს ხოლმე ყმაწვილურ ჟინს, როს შუბლზე ბავშვის,  
ლაბირინთებში სხვაგვარ დაპქრის ჭადოსნურ რაშით...  
ცის ანგელოზი მას აწვდიან რამ ციურ სასმის.  
და... ზომავს ხოლმე ცის და მიწის იღუმალ კავშირს!!!

\*\*\*

ფერები, თვალთა ფერები,  
რაკრაკი ნაკადულისა.  
თრთიან ბაგენი, თრთიან ხელები,  
მინდა მოგხატო ცა მამულისა.

\*\*\*

გინც რომ ორჩირობს, ცრუობს შენს ახლოს,  
პირდაპირ ცდილობს თვალებში ცქერას!..  
მის გულში დიდი ეშმაკი სახლობს,  
განუდექ, მას გერ გარდაქმნი, გერა.  
ნუღარ ინდომებ მის მოწყდილ მტევანს.  
სატანის მსახურს, თუ იმის მხევალს.

\*\*\*

მიგიტევებდი, ჩაგითვლიდი წვრილმან შეცდომად,  
თუ საბოლოოდ შეერიდი წარბეპს...  
ახლა შენდამი მე განვიცდი სიბრალულს ორმაგს,  
ბოლმის ლაფს ესკრი ხგალ კიდევ რამდენს?

\*\*\*

დასანანია, ჩაქრა ის გზნება,  
იყავი სულის გზა და სავზალი.  
აღარსაიღან სხივი და შვება,  
თვალს მიბრიალებს მკაცრი ზამთარი.

მუზის სარკმელზეც მოიწყენს ფარდა,  
გევლოს ძვირფასო, სწორად და კარგად.

\*\*\*

უიმედობა დაგიშრეტს ძარღვებს,  
დარდს და კაეშანსა არ მისცე თავი.  
ერთდაიმავეს ნუ ფიქრობ ამდენს,  
მაშ, იმოქმედე, თორემ დრო მიპქრის.

\*\*\*

ნუ დანებდები, არა და არა,  
რწმენით იხელოე მაცდურის თავი.  
თუკი გიცნობდნენ ქალს ამორბალად,  
დღესაც გააფრითხე ზმანება ავი.

წუთისოფელი წვისაა, იცი...  
(მაშ, შეეცადე სარკე ში სიცილს...)  
ნახავ, განწყობაც სახეს რომ იცვლის.

\*\*\*

მპულს, ვისაც ვალის გადახდა უმძიმს, –  
როცა მეგალეს გაურბის კაცი!  
სიტყვის ღირსია ავის და მკაცრის.

\*\*\*

დილიდან იცის შრომა და გარჯა,  
ხარობს ნერგების შრიალ-ჩურჩულით,  
ვერრა დააკლო ნისლმა და ჭანლმა,  
მან რწმენით სბლია ჟამის ურჩხულიც.

კაცი კინა თქვა...

„კაცი ვინა თქვა უმტერო,  
მაგრამ ამდენი ერთად?  
ბრალშია ეგ ლერწმის ღერო,  
ცით ჩამომესმა ერთხმად!

რეგაგს სიონის ზარი და...  
მაქეს საზრუნავი ხეალის.  
სჯა-ბაასი მაქეს ღმერთთან და...  
ღაწვს შანთავს გზნების ალი.

### ღერას

გიცოდი შენი სურვილთა წყება,  
მუხანათ დროში გაგქონდა ლელო.  
მრავალ თაობის გამზრდელო დედავ,  
მანდაც დალოცე მაშ, საქართველო.

### სმა გულს მოსწეულა

დაჟინებით რეკავს დილის ზარი და  
მოლოდინის ელგარებენ რკალები.  
ხმა გულს მოსწყდა, ზევით, ზევით წავიდა!  
უნდა გახსნას ზეცამ ცხრავე კარები.

### ყმაწვილის ღარიგება

დაეწაფო უნდა წიგნის კითხვას,  
აზრის ლურსმნებს გამოჭედავ გზა-გზა.  
გერ გაცლუნის გერც რა მელამ, ჭინკამ,  
არ მიენდო არასოდეს აზარტს.

ვხედავ შენში მრავალმხრივ ნიჭს, ნაზავს,  
გააკვირვე ქართული ცა, აბა!  
გაიხარებს ილია და გაუა,  
თუკი იზამ საარაკო ამბავს

\*\*\*

ვის სჭირდება კოჭლი ანი, პოე,  
სტრიქონები სულ არაფრის მთქმელი?  
თუ არ იცი გზას დაადგე რომელს,  
ავარჯიშე გონი, მერე ხელი.  
დაეწაფე მამათ ნაწერს ხარბად,  
იყავ მარად მართალი და წრიფელი.

\*\*\*

სათქმელს თუ ვერ მოუძებნი ფორმას,  
შენი ღერძი ვერ გაიგოს ორმაც.

\*\*\*

ადამიანურ ადამიანს მეგობრად ჩაეთვლი,  
რომელიც ასე საძებნია სანთლით.

\*\*\*

რეპენ და რეპენ ზარები ქაშგეთის,  
ღვთით დაეწერით სურვილით ახდენა,  
რა საიდუმლოა ან ნატერა ასეთი? –  
სამშობლო გამიბრწყინოს გამჩენმა.

## პლაგიაფს

ედინისოს მხოლოდ დამცინავ ღიმილს, –  
რას იშახურებს ჩემგან ბაცაცა?  
ჩემს ღერძის იბრალებს, განა ხმა წერილით?!

წავიდეს ჩემგან, ჩემთან რა დარჩა?

\*\*\*

თუ ამ ცხოვრების ორომტრიალში,  
არ მოატარებ გონების თვალებს.  
თუ შენს თავთან ხარ მხოლოდ ხილგაშიც,  
პოეტთა რიგებს ვით მიგათვალეს?

\*\*\*

საღი აზრი ჰქონდეს ოღონდ მწერალს  
და მართლწერის მშეგნიერი სტილი;  
ვინ მომასწრებს მასზე ღექვის წერას,  
შევაქებ და მხრებგაშლილიც ვივლი.

\*\*\*

გულის ცეცხლი ბრიალებს,  
შიგ კელაპტრიად ვდგავარ!  
გუმრერ ადამიანებს,  
მე უღექსოდ რა ვარ?

\*\*\*

სტრიქონი მაშინ დაიწუნება,  
თუ ღრმად არ სუნთქვას მასში ბუნება.

\*\*\*

თუქი სიტყვები მოთვრინავენ თავისთავადა,  
სხივთა კაშკაშში განვეულა აზრი ნათელი.  
მინდა გიწოდო ჭეშმარიტი ღექვის თამადა,  
მწამს, ამოქარგავს ცის კაბადონს შენი სახელი.

## ტოსრა უბმრეტო?

ცა ისევ რად გაირინდა?  
მითხარ. ლერწმის ლეროვ.  
ვარდისფერად თოვდეს მინდა,  
დილა ამიძღეროს.

გადამიგსე წმინდა თასი,  
წამო, სიზმრის წამო.  
„ის“ შარბათი პეშვით მასგი, –  
ჩემი სოფლის წყარო...

ცად წაიღე მაშ ეს ფიქრი,  
ჩემო ლერწმის ლეროვ.  
რატომ მუნჯობ ასე, რისთვის?  
როდისღა ვიძღერო?

## თმინით მულიან სალამურები

არ ვუსმენ ქილიგს სხვათა და სხვათა,  
ღმერთმა მიბოძა რწმენა ულევო.  
შევეხმიანო იმ მთას და ამ მთას,  
უაშს მოვუშუშო ლექსით წყლულები.

მუზა მაღვაა სარეცლის თავთან,  
სად მაქვს მე ის დრო, სხვის დამდურების!  
ქვეყნად მოვსულგარ, ვიძღერო რათა,  
თმენით მელიან სალამურები.

\*\*\*

მე ვარ მდიდარი ამ ცით და მიწით,  
მტრებიც ბლომად მყაფს აქეთ, თუ იქით.  
ვარ მადლიერი მაინც ამ ყოფნით,  
სრული სიმშევიდე რაა ამ სოფლის?

\*\*\*

დიადი მიზნებისაკენ სწრაფვა შესაქებია,  
რა სჯობს თუ ქვის ასაწევად ღვთისგან ძალაც გრგებია.  
რაოდენ გხარინ, როცა შენ გხედავ ორბის ფრთებიანს,  
შენს ქველობაზე როს აღმაფრენით მეუბნებიან!

\*\*\*

თუ მოჰკიდე რაინდულად კეთილ საქმეს  
მტკიცედ ხელი,  
დაასრულე და მომგვარე სიხარულის  
ცრემლი ცხელი.  
რომ სიძლერით გავაღვიძო  
აქოჩრილი მთა და გელი.

### პორიტიცენტი

პორიზონტზე ცა დაეშვა ნელა,  
ისე ფრთხილად,  
რომ ერთმანეთს ცა და მიწა  
ჩაეხუტნენ ტკბილად...  
ჭიკჭიკებდნენ თვითმხილველნი  
ჩიტუნები დილას,  
სამეჯლისოდ დამპატიუს მეც,  
ამ შაბათ-კვირას!

\*\*\*

ასეთი კარგი რომ ხარ, ცნობილი,  
 ასე უებრო, ნაღდი და სწორი.  
 გულმა მიგიღო, როგორც დობილი,  
 გამოგარჩიე შეგობართ შორის.

მაგრამ დღეს ჰკეირობს ველის ყვავილი,  
 ჭრილობას მიწვავს შენი „მარილი“!

### ტოგორი ლიულიუშე

როგორ ლივლივებს ნატერათა ფერი,  
 ფიქრი მოეგლო თრბივით შევერვალს.  
 იმავე მრწამით, იმავ სიძლერით,  
 მე მივაშურებ იყალთოს გელათს.

გავცერ დემონთა უფსკრულში ცვენას,  
 ველარ დააგონ ხუნდი და მახე.  
 და ამ სხივისთვის მადლობა ზენას, –  
 იმედი ტოტებს ლაღად რომ არხევს.

\*\*\*

შეილი თუ შობე, – აღზარდე თავად,  
 მოპფინე შენი სულის ნათელი.  
 თორემ სინდისთან გექნება დავა,  
 რომ არ გამოდგეს ნაღდი ქართველი.

\*\*\*

შენ სათნოებას თესავ და...  
 ზურგს გიხერეტს ძმათა შური.  
 რად ხდება ასე, ნეტავ რად?  
 სად სუნთქვა მეგობრული...

## თი, მათებთ

მთებმა იციან, მთებმა იციან  
უინი წყვდიადის, მგელთა თარეშის.  
ჩოლოქთან ისევ ტყვიებს ისვრიან, –  
ისევ ცრემლები ქართველთ თვალებში...

\*\*\*

ჭორიკნობას აყოლილო,  
უქმად ეღია ფინალისაო.  
გზა – მთავარი გაპოვნინო? –  
დაესწარი წირვასაო.

\*\*\*

რატომ ჩამდგარხარ მლიქვნელთა რიგში?  
რა ზე შეგყრია ამპარტაგნობის?  
რად გავიწყდება, გისი ხარ ჯიშის,  
შველა გჭირდება? – ჩემთან წამოდი.

## მგონი ატ ღიტრა

მგონი არ ღირდა ასეთ ხმაურიად  
არ ქონა მდიდრულ სამოსელისა.  
იყურებოდე მინდა ქალურად,  
რომ არავინ თქებას შენზე – „ერიჲა“...

მე კი ვიძახდე – მშვენიერი ხარ!

## ტომ არა ტრმენა

რომ არა ტრმენა, რომ არა ტრმენა,  
ქარებს რომ აპროცობს ზენას და ქვენას...  
უიშედობა უმაღვე კვდება  
და ზეცის ფონზე იები ჩნდება!

სული დაჲყურებს მაღლიდან შეელდას;  
დიდება მარად უფალო, შენდა!!!

\*\*\*

სანამ ხარ ქვეყნად იმოძრავე  
გაცლამდე ქანცის,  
იყავი სულით მდიდარი და  
რაინდი კაცი.

\*\*\*

თავისუფლებაგ, გეთაყვანები  
მარად და მარად!  
დაქრის იმედი მომავლისა  
მთასა და ბარად.

## უარ ბერნიები

სიგრძე-სიგანეს კრძალვით გზომაგ  
ჩემს საფალ-გზათა;  
ეხარობ, პატივი თუ მიგაგე  
მმათა და დათა.  
ვარ ბედნიერი, თუკი მესმის  
ბაგეთგან სხვათა: –  
„– ბედს არ ვეძლური“, როს კრთებიან  
სხივები თვალთა.

## წამი

წამი, მარადისობა,  
სიკეთე და სიავე.  
ღმერთო, ისე მოაწყვე,  
მეტი იყოს სიამე.

შენ ჩემში ხარ იმედად,  
განმიკურნავ იარებს.  
როცა რწმენა დედაა  
და ცა ციალ-ბრიალებს.

\*\*\*

შენს ერზე ზრუნვა შუბლის დარებს  
ბეჭდად ატყვაა,  
მაგ თვალთა სხიფი სარკე არის  
შენი წყობისა;  
რომ ჩუქნი ღატაკთ სათნოების  
გრძნეულ მანტიას...

შენით გამაყობ და მესხება  
ფრთები ორბისა.

\*\*\*

შესძლე, ისროლე ზღვაში, ვით კენჭი,  
თორუმ გამოგხრავს, გამოგფიტავს ეგ სენი-ეჭვი.

\*\*\*

შენს აბურდულ სტრიქონებში,  
ვერ მივაგენ აზრის ჩერთს.  
ავარჯიშე გონი, გესმის?!  
ჯერ-ჯერობით აღარ წერო.

\*\*\*

უფლის კანონის მცველად,  
ვესწრაფებოდეთ ყველა.  
დავიღვრებოდეთ ცრემლად,  
ცოდვებს გამხელდეთ წრფელად.  
დაგვამწყალობებს უხვად,  
გაგვაპამს ცისარტყელად.

\*\*\*

ასრიალე ეგ კალამი მაშინ,  
თუ სიმართლეს ამსახურებ, ბოლოშიც და თავშიც.

\*\*\*

ნუ დაიჩემებ უქმად მისნობას,  
სცადე, რომ იყო წმინდანის მსგავსი.  
თვალს გაუსწორებ მარადისობას,  
თუ გაქვს ფილტვები უმწიკვლო ბაგშის.

\*\*\*

სიმართლე იყოს ცხოვრების არსი,  
არ აიძგზავრო ფლიდი და თარსი.

\*\*\*

ბედმა გათოვთ, თუნდა გაწვიმოს,  
გიცნობდნენ მანცც კაცად საჭიროდ.

\*\*\*

რატომ უყურებ შენს დობილს შურით?  
არად არ აგდებ, რომ ეწყინება?  
უფალი ისმენს ყველა მის სურვილს,  
ჰანგი დალვარეს მისმა სიმებმა;  
მარჯვედ დაადო აგურს-აგური,  
ხველრად რგებად სიმღერის ნიჭიც...  
იქნებ და მართლაც აქვს შესაშური?  
შენ ვერ ახერხებ მისებრად ჭიკჭიკე?..

## არამიანთ

შენს კენ მომირბის ფიქრი, შენს კენ ადამიანო,  
კეთილ სურვილებს ამოსუნთქეას კვალად აყოლებ.  
როდესაც გხედავ, ქველი საქმით ღმერთთან ზიარობ, –  
შენს მონაპოვარს ღარიბს უყოფ, წუთს არ აყოვნებ...  
აქეთ-იქიდან თუმცა ეჭვით, შემოგცერიან,  
რაც მთავარია... პირსავსე ხარ რწმენით თავისა.  
თაღლითი სულელთ მახში რომ გაბმას ელიან,  
სითხიზლის წამწამს არ აღუნებ ერთი წამითაც.  
შენ იქ გაჩნდები, ჩაგრულთ დაცაში შენ პირველი ხარ !  
ბევრს ფიქრობ, მაგრამ ვერ დაგარქმევ ოცნების მონას.  
გწამს მავანს სძულხარ,  
მაინც აწვდი მას ყვავილთ კონას,  
გულით დახხარის მზეც ამიტომ შენს შემოდგომას.  
ასე ზუსტად რომ დროის მისხალს სასწორზე სწონი,  
მაგ ღირსებებით ყოველთვის ხარ მაღალ ღმერთთანა!  
და... რას დაგაკლებს, თუნდ დაგჩხვლიტოს გზაზე ეკალმა,  
ხალისიანი ფიქრით და კალმით მიტომ შენთან გარ!

\*\*\*

კეთილი თვალით გადახედე შენს ავის მზრახველთ,  
ეს მათით ფხიზლობ, არ გაგაბას მათივე მახემ.

\*\*\*

თუმცა შეკრულა მოშურნეთ რგოლი,  
ვიცი, ვის მისცეს მთავარი როლი..

\*\*\*

რწმენის ზედაშე თუ პირამდეა საფსე,  
შიშის გარეშე მოლიპულ კლდეზე ივლი ასე.

## ნუცავი მას

ნეტავი მას, გინც თავისში  
გრძნობს სულიერ ძალას.  
გინაც იბყრიბს მძიმე წუთებს,  
ღიძილს მოგგვრის ხალას.

რაინდად გრაც ასეთ ვაჟკაცს, –  
გიმსუბუქებს საგალს.  
თორემ სევდა ნეკნებს დახრავს,  
სიცოცხლის წლებს გპარავს.

\*\*\*

მხოლოდ მტკიცე სიტყვა და საქმე  
ერთად შევნისო ყველა ნაღდ ქართველს.

\*\*\*

მოუწყენიათ მავთულზე ჩიტებს,  
წინასწარ გრძნობენ ამინდს წყიმიანს?  
სანთელი ბრიალს სხვაგვარად იწყებს,  
წინაპართ ხმება შორით ჰკივიან.

და მიქეზებენ სტრიქონებს, რითმებს,  
ეს აღმართები არ ახალია...  
ბედის ლახტებსო სანამდე ითმენთ?  
მამულზე ზრუნვა ყველას გალია!

\*\*\*

როდესაც სუსტობს გონება,  
გაშინ ფრთებსა შლის ცდუნება.  
რომ არ დაგლუბონ ჭორებმა,  
იყუჩე, – თუ გეყურება.

# ბოჭლი შალიკაძელი ————— თაბერი

ოთახში ორნი გართ, მე და სიმარტოვე,  
უნდა აფანთო სანთელი ახლავ.  
უფალო, ჩემში ხარ, შენ არ მიმატოვებ,  
მე შენი იმედი სუყველგან მახლავს!

## მუზიკა

აკიაფდა, აკიაფდა ისევ,  
ჯადოსნური გარსკვლავების მძივი.  
ცის იქითურ იდუმალ ხმას ვისმენ  
და თვალებს არ ეგარება რული.

ფიქრით ვუგლი ჩუქურთმიან ტაძარს,  
მოლოდინში იმ ნეტარი ხეალის...  
შენით ვუძლებ ამ ცხოვრების ავდარს...  
მწამს მირონი არაგველი ქალის.

ამადეენე აქ ჭადრების შრიალს,  
(ვინ ჩამაწნა გვირილები თმაში ?)  
მე სახელად ღექსის ქალი მქონა,  
და დავჭრივარ ზეციური რაშით!

\*\*\*

რწმენამ ლოდებს ცხრა ურჩხული დაანარცხა.

\*\*\*

ჩიტი ზის რისკის მაგთულზე,  
იცის მსხვერპლს რისთვის სწირავს.

## ჩუქუმის კანდელთან

\*\*\*

თვალს მიკრავს ბუხრიდან ნაცარში შეხეელი ღადარი...

\*\*\*

ვგრძნობ უსიტყვოდ დღეს ღვარძლიან მზერას,  
მონაყოლის იქ არაფრის მჯერა.  
გულმა მითხრა: – ერიდეო ვერავს,  
სანამ გვანტი არ გამოგდო ჯერაც.

\*\*\*

ცხოვრება ჩვენი არის ფუსტუსი,  
ზრუნველი მზერა გადგმული ფესვის.  
თუ სძლიერ რწმენით ქამის ურჩხული,  
შეგწევს უნარი დიადის შექმნის...  
თუ ცხოვრიბ უფლის კანონით, წესით,  
ადამიანიც შენ მაშინ გეთქმის.

\*\*\*

გზას გამრუდებულს ვერ გაუსწორებ  
ვაით და ვიშით.  
მოუხმე მო ზარდს, რბილად უთხარ,  
ვისია ჯიშით...  
თვალის სარკიდან ამოიგითხავ  
საფიქრალს მისას,  
მწამს, შთააგონებ იმ ჭეშმარიტ  
გზასა და მიზანს.

\*\*\*

ერიდონ უნდა უმეცართა  
გნიასს და აზარტს,  
შენ სხვა სიმაღლე გიხმობს ახლა,  
ადგახარ სხვა გზას.

\*\*\*

მახვილი სიტყვის ძალა, ადიდებული  
მდინარის რისხვას ჩააცხრობს,  
ნუ ხარ მკვეთარა, ჩუმად აკეთე,  
არ „იმამაცო“.

\*\*\*

ყველას თავის განრიგი აქვს  
დროს, წყიმას და ქარს.  
დაიცავი ყველა წესი,  
რომ უყვარდე ქალს.

\*\*\*

ნუ გექნება ნურც ერთი დღე ფუჭი,  
სალად მართე ამ ცხოვრების საჭე-  
კარს მშიერი მოგადგება თუკი,  
პირველ რიგ ში შესთავაზებ საჭმელს.

\*\*\*

შენი ფუსფუსი ფუჭია, ფუჭი,  
ეგ ბოლმა, შური ყალყზე რომ დგება...  
საფლავს გაითხრი, მგონია უწინ,  
ვერ ხედავ, შენი ტოტი რომ ხმება?

\*\*\*

ეშმაქსა გხედავ შენს ახლოს,  
გირჩევ მის გარიდებასა.  
განა გერ ამჩნევ შე კაცო  
თვით გონის დაბინდებასა?

\*\*\*

როცა წიგნზეა ლაპარაკი, დგას ნათლის სვეტი,  
და შუქმფინარობს, სხივიანობს მთელი სამყარო.  
დე, მეგობარი თუნდაც არ მყავდეს იმ ერთზე მეტი,  
წიგნს ვიგულებდი... ეს სიძლიდრე ღმერთმა მაგმაროს!

### წვიმს

წვიმს, გალუმპული მიუყვები შარას,  
ტყე გაუჩეხავთ, რას შეგეფარო?  
მოძმეთ დალატი ცას უდვითოდ ბზარავს,  
შენც მოსთქმამ, ვიცი, რომ გტკივა მტკვარო.

ვეღარ ვეღირსეთ წელთა სიახლეს,  
რომ დამიამოს ლტოლვილთა გული.  
ხმა მესმის: – ხსნის გზა თქვენშია, აქვე,  
მოვთხოვოთ ტირანს ბასუხი სრული.

### რას ჩურჩულებენ?

რას ჩურჩულებენ ბაგენი,  
ბაგენი ანგელოზის?  
დადგაო უპჩე ჟამი  
უფლის მეორედ მოსვლის?

მძიმედ ირჩევა მძივი, –  
სიმი გაძარცულ სულის!  
სიგრციდან რაღაც ჰკივის...  
ექო მთებს ურჯოლად უვლის.

\*\*\*

ეცადნენ, თუმცა ბევრი ეცადნენ, –  
ჩამოენგრიათ რწმენის კედელი...  
ხმა მიაღწეუდეს ნეტავ ზეცამდე,  
დე, გონის მოეგოს ყველა რეგვენი.

## მუნ

ვარდის სურნელის გარეშე  
სუნთქვა თვით ჰაერს უჭირს.  
სიტყვას ბოროტად აღესილს  
შენს მოძმეს ესვრი თუკი...

ნუ მოხვალ ახლოს, დამეხსენ!  
ვიცნობ შენს „კარნავალებს“.  
სჯობს ჭორიქნებთან გაერთო,  
ჯადოსნურ რგოლს რომ ჰკრაგენ.

სხივის ღირსებათა შემლახველს,  
გეკმარის ღღეს ეგ შოლტი.  
მჯერა, აანთებ ერთ სანთელს,  
გონება ინათოს როდის?

## თუ ღავინახავ

თუ დავინახავ ძიების სურვილს  
 მაგ შენს თვალებში, –  
 სწრაფვა, მიზანი არის ისევ  
 ნაპერწერიანი...  
 იმ ქველ დაცემას გაგიხსენებ  
 აღარც რამეში,  
 მწამს, ხვალ ზესრული, – შესძლებ  
 განვლო გზა-ეკლიანი.

\*\*\*

ასე გაფლანგე შენი ცხოვრება,  
 აროდეს გახსოვს სიკვდილის ცელი.  
 მრუდე წესებთან მაშ, განშორებას  
 თუ არ აპირებ, თავის ხარ მკვლელი.

\*\*\*

მზიან დღეს მოსდევს ქარი და წვიმა,  
 ბუნება რატომ და რისთვის წყრება?  
 ეს კითხვა გაჩნდა დიდი ხნის წინათ,  
 სულ მომდევს კვალში, წამით არ ქრება.  
 ირგვლივ რამდენი ფლიდი და ცრუა,  
 სად გაუშვიათ ნიჭი და ჭკუა?

\*\*\*

თუმც მეშურნეთა შეკრულა რგოლი  
 უქმად ცდილობენ განაწყენებას.  
 მე სისპერაკე მიზიდავს თოვლის,  
 ყელმოლერებულ ყვავილთ მშენება...  
 გზად მაინც კითხვა ძლევს პირველყოფლის, –  
 მათ რა განკურნავს, რა ეშველებათ?

\*\*\*

ნურც გამახსენებ მქირდავთა ურდოს,  
სახელდახელოდ თეშ შეცვალე.  
რის შექმნა ძალუს გულქეას და უნდოს?  
გვიბრიალებენ შურიან თვალებს.

\*\*\*

აწიე თავი, დარდი დაფარე,  
ბედს თუმც ემდური და გული გწყდება.  
და დამშვიდებას შეძლებ რაც მაღე,  
ნახავ, რომ უკან დაიხევს სეგდა.

### ეს ცხოვტება

ეს ცხოვტება ბობოქარი  
უნდოა და სანდოც.  
სულ არ იყო გულფიცხელი,  
არც გულგრილი ამ დროს.

ნაგლებია სიხარული,  
კაეშანს არ ეძმო,  
მეგობრობა, სიყვარული,  
უნდა მარად შეძლო.  
და ეს არსი და ეს კრედო  
გულში განძად გედოს.

\*\*\*

მხოლოდ დუმილი, მხოლოდ დუმილი,  
კურადღებათ არ ღირს ჭორებზე.  
ცით ჩამოგხახის ოქროცურგილი; —  
მოშურნეთ ასე მოიშორებდე.

\*\*\*

სიმართლის ძებნის გიპყრობს სურვილი,  
და შეგიცვნა შენივე წონა.

სულელ მსაჯულთან სათქმელს ნუ ჩივი,  
წყალში ჩაგიყრის ემაგ, დიდ შრომას.

\*\*\*

გონიერ ადამიანს ყველაფერი შეუძლია,  
პირველ რიგ ში თავის თავის მართვა, მაშინაც კი,  
როცა ბრძოლა ველარ არჩევს ტყუილსა და მართალს,  
მის შრომას და ფუსტუსს  
ღმერთის ძალა ახლავს!

### ღილამ სუვერისა ღაიღუღუნა

დილამ სევდისა დაიღუღუნა,  
ქარი აწვალებს ფარდებს.  
ქარი თავნება, ქარი დიღგულა,  
სურვილებს კლიტეს ადებს.

დილამ სევდისა დაიღუღუნა,  
ოცნებას პირქვე ტოვებს!..  
იმ აღმაფრუნას, გრძნობას ჭეშმარიტს, –  
სიყვარულს როსმე ჰპოვებს?

ქარი საზარი, ქარი ორგული,  
როგორ მიმიზნებს ტორებს.  
უფალო შემიწყალე და,  
ნურასდროს მიმატოვებ.

მთები, ჩემი მთები

მთები, ჩემი მთები, –  
ხანძარ დანანთები.  
როგორ ვეგულები? –  
დამსხვრეული ფრთებით?  
ხომ არ მებუტებიან?  
ვერ შევუდგი მხრები.  
ოცნებები ყვავიან,  
გადაშლილა კვირტი.  
ზღაპარს გიწყებ თავიდან,  
აღარც რამე მიკვირს!  
ვიგალობო ალილო,  
ხატთან კრძალვით ვდგები.  
მოყვასთ სასიხარულო  
ჰიმნი შევქმნა გზნებით.  
ხომ არ მებუტებიან  
მთები, ჩემი მთები?  
ფანდურს, ამო ხმებიანს,  
მათთვის ვუკრავ გნებით.  
ვიცი, მაინც გალში ვარ,  
ფიქრიანი მთების.  
განა ისევ ბავშვი გარ,  
მათ იღუმალს ვხვდები.  
მათთვის ლექსი არ კმარა,  
რისხეა ჩაცხრეს ბედის.  
ხომ არ მებუტებიან  
მშობლიური მთები?

## ციცი

ვიცი, რად დასდის მუზას ცრემლები,  
ცხრა ქარაშოტი გამოუგლია.  
და დემონები, – აფი მდევრები,  
ვერ მოუსპია მაინც სრულიად.

გამოლევია უფლის საგზალიც  
და შეგების წყარო როგორ სწყურია.  
მიტომ მოვმართე ჩემი არღანი,  
გული გაუსკდეს ყველა შურიანს.

იმათ, ვინც მშეგიდი ძილი წამართებს,  
არ გავუყადრე უბრალოდ თავი.  
გადავუქნიე შოლტი წარმართებს,  
გავწკებლე ყველა შსურველი აფის.

მერე მოვმართე ჩუქუსთველის ქნარი,  
შუქი მივეცი ჯადოსნურ სანთელს.  
შეწყვეტდეს ხარხარს აქ მტრიბის ქარი  
და ძმად მიეთბის ქართველი ქართველს.

## ცაბ გარიმება აღატ ინება

იარებს უხსნის ამ გულს ნაისრალს,  
თავნება ქარის კვლავ ახირება.  
ჰგავს შეშფოთებულ სახეს ქალისას  
ცა, სიზმრადაც რომ არ იღიმება.  
და დგას საღამო, ჩამოწვა ნისლი,  
ნუთუ ის გემი ჩაიძირება?!  
რატომ და რისთვის, რატომ და რისთვის  
ცამ გაღიმება აღარ ინება?  
ჩამოკაწერიათ ლერწმებს წვივები,  
მორცხვად გასცემერენ ვარსკვლავთა ციმციმს.  
რას ჩურჩულებენ ეს არწივები,  
თქვი საქართველოგ, იქნებ შენ იცა?

## მავანს სჩუგია

მავანს სჩუგებია ფეხაკრეფით სხვის ბაღში შესვლა,  
კრეფს მწიფე ნაყოფს, თან ქირქილებს „ბრძენი მელია“.  
მეორე დღეს კი ტრიბუნაზე ჭექავს „ლექსი, ჩვენი გენია“, –  
ჩრდილს მოგაყენებს, ნურც წაიკითხავ მებაღევ შენსას.

მისი ტონი და იერ-სახე აღმამფრენია,  
მან კარგად უწყის ადგილი და თავისი „წონა“!  
ჩასაფრებული სხვის სიმაღლეს, „ცის ბილიკს ზომავს“,  
და... მეცოდება იგი ბრიყვი, – მაინც ჩვენია“!..

## ციკლი ღერლები

და სულთან ერთად აკიფლდნენ კედლები  
და ჭერს არ უკვირს ამბოხი მათი.  
გაბზარულია ცა ჩემი ქართლის,  
მამლების ნაცვლად ყიფიან დედლები.

ელდა მიჭყეტავს, ელდა შავ თვალებს,  
აფი სიზმრების ჭიხვინებს რემა,  
რომ ჩვენს ნაკრძალებს მტერი კვლავ ზვერავს,  
(უნიათობის მმართველთა სჯერა)  
ბომბებს ჩამოყრის და თანაც ხვალვე...

## დავიბარები სიკვდილის მეტი

ო, ვინ აღიქვას სიმშევნიერე,  
ჭრელგაბიანი მთების, კორდების,  
დავიბადები სიკვდილის მერე  
და ყვავილებად განვმეორდები.

წითელ სამოსში მდელოს გავახვევ,  
მომეკარება აბა ღამე ვით?  
ყაყაჩოებში თვალებს გავახელ,  
შავ წამწამების ახამხამებით.

ფეხზე შემდგარი შევძახებ მყისვე,  
მისი მშვენების მარად მსახური.  
სამშობლოვ ჩემო, შენთან ვარ ისევ,  
ლექსი, ყვავილად გარდასახული.

ღმერთთ, ღაგზაურე იმიღდის კალთა

დროს გაუშლია შავი მანტია,  
გაავებული მორბის მგლის მუხლით.  
ირგვლივ ქველაფერს დაღად ატყვია,  
გაუტანლობა, ღალატი, შუღლი.

ჩასაფრებულა ბილწი მტარგალი,  
ხერხს ჩემი სისხლით ავსებულ გუბეს.  
ვინ დაშინაღმა, ვიცი სავალი,  
ან ვინ აშავებს ჩემს ცაზე ღრუბელს.

მსხვევა და ნგრევა, წვიმები მიწყივ,  
მოდგა საშიობლოს დაუცველ კართან.  
სანთელი კრთება, რა ჩქარა იწვის,  
ღმერთო, დაგვხურე იმედის კალთა.

## აღმათონა

(ჩემს შეიძლიშვილს ანუკის  
ახალდაბადებულს)

ღექისის კაკუნი მესმის კარებზე,  
გაცი, ექნება სულ სხვა იერი.  
გაიზიარებს, როგორ აფენთე,  
რომ უჩვეულოდ გარ ბედნიერი.

ჩვილის ღულუნბა ამიწკრიალა,  
დაჭიმა ჩანგზე ყველა სიმები.  
ექოდ გაისმის: – ბებო მქვია და,  
რომ ერი მრავლობს ჩემი შვილებით.

გერ გაიხარებს მტერი მამულის,  
ცხრა ცისარტყელა აენთო ცაზე.  
გული ვარდის ცვრით გადანამული,  
მიტომაც მღერის ნანას სხვა ხმაზე.

რწმენა მიღიმის რაღაც ციერი,  
თამარისას ჰგავს ანას წარბები!  
მაქეს დევის ძალა, ფრთები ძლიერი,  
სამადლობელი ღმერთთან რამდენი!

ამაღლდა ჭერი, კაშკაშებს შუქი,  
ხმა შევუერთე დასს ანგელოზის.  
იმედით დაგცექერ ნაბოძებს უფლის,  
იყოს დიდება საქართველოსი.

### ღრუდს მტალია

შეწყდა მუსიკა, ვარდების თოვა,  
გზაჯგარედინზე ატირდა ლექსი.  
მაგრამ ის სხივი მჯერა, რომ მოვა,  
ისევ მოიცლის დრო ჩვენთვის, გესმის?!

### ჩუმი ქვეყანა კულავ აყვავღომა

უიმედობა ქრება, მთავრდება,  
ბოლოს მოგულებ დრტვინგას და შფოთვას.  
ჩუმი ქვეყანა კვლავ აყვავღება,  
მე გავზრდი დავითს, თამარს და შოთას.

### ლიტერატურა

შეღოცვილი ლერწმის ლერო,  
სიზმრად მიძღვნა თამარმა.  
აპაო, და საქართველოს  
უმღერეო თამამად.

## ცაგენი

მთებს ყაზბეგისას ვესტუმრე გუშინ,  
ქათქათა თოვლის მოესხათ ქურქი.  
დაჲგროვებოდათ სათქმელი გულში,  
სწუხდნენ საწუხარს ყოველი კუთხის.

ვერ გაუდრევავს თუმც უამოს,  
მიუბჯენიათ მხრები ზეცამდე.  
თითქოს და უფალს უნდა უამბონ;  
გაარგავთ კაი ყმებს, თანაც ეჭ, რამდენს...

მტერი კვლავ გვტაცებს ჩვენს სამანთ, სახნავს,  
არ ჩაუმუხლავს ქარს ერთი წამით.  
ცა აუკლია დემონთა ხარხარს,  
მამული იკლებს სიგრძით და განით.

და... მე ვხედავდი ელგუჯას თვალებს,  
შეტბორებოდა გუგებში სევდა.  
ხევისბერი კი რეკავდა ზარებს,  
ყაზბეგი იდგა მწვერვალზე სვეტად!..

## გჩერი მიღიან საით?

ღვთისგან ნახატი ჩემი საფანე, —  
დღეს დაბინდულინ ზერები.  
აღარსით ისმის ჰარი-ჰარალე,  
მხოლოდ ყმუან მგლები.

ქარბუქი, თოვლის კორიანტელი,  
მაცნეს ელიან მთები.  
და ჰაერს კუმშავს სხვა ურუანტელი,  
ძველ რიზზე ბრდლინავს თერგი.

კლდეებს დაასკდა ხმები მჭექარე,  
სხივი ეშვება შვების.  
ო, ცის ზარებიც თუ დარეკავენ...  
წყდება მამულის ბედი.

ეს ანგელოზი, სახებით ქერა,  
არ მტოვებს, აქ დგას ისეგ,  
და, სასწაულის მარადის მჯერა,  
ჭეშმარიტება, — უფლის გზა ისეგ.

### და... ამთხეუბას ამთბყუა ლექსი

დაუღალაგად უტევს და უტევს,  
იმედის კარებს აწყდება ქარი.  
წელს ემატება წელთა სიმრუდე  
და აღარ დგება მამულში დარი.

თვალი დაეძებს ცის დია სარკმელს,  
გამოჩნდეს ეგებ ბილიკი, გზანი.  
უფლის კანონებს რაოდენ ვარღვევთ...  
და... შფოთავს, შფოთავს ცის კიდე-განი.

და აზანზარებს ფიქრთა დარბაზებს,  
კიგილი ახლად გასული გემის.  
(ო, რა გაუძლებს ამდენ ჯამბაზებს)  
რა უშროა სურვილი ჩემი.

ახლა ანგელოზს გამოგიძახებ, –  
მომცეს სიმხეების ნიჭი და ძალა,  
ჩემი ცისა და ქვეყნის რაც მმართებს,  
საიქიოში არ წამყვეს ვალად.

## მცენტმა უკრ მთხოვას

რომ არა წმინდა მამათა ხმები,  
გმირთა საქმენი, სამსხვერპლო კალო.  
არ მექნებოდა ლამაზი მთები,  
რომელთა მადლით სიცოცხლეს ვსწავლობ.

ცეცხლისთვალება ჩემო ნორჩებო,  
დააგუგუნეთ ლალი სიმღერა,  
სიტყვით და საქმით მტერი მოგცელოთ,  
თავი ამაყად რომ აიღერა.

და შეგასრულოთ წმინდა ანდერძი,  
უწმინდეს ჩენი წინაპარისა.  
მტერმა ვერ მოსრას ნება განვების,  
მოდგმა დავითის და თამარისა.

მსგავსად მათისა ერთად ვხნათ, ვთესოთ,  
ღარიბს გავუყოთ არსობის პური.  
მზის შარავანდი სიმართლის მთქმელსო,  
მოღალატეს კი გაუსკდეს გული.

## მენტი გიმორგზე

ქარიშხალია, მზე თუ ნისლია,  
შენს მიწას გუმბჯერ გულით ალალით.  
შენი ბალდები ან კესს ისერიან,  
გინ თქვა ამ წყალში თევზი არ არის?

ოქროს ყანაში ღლაბუცობს ქარი,  
შრიალებს, ანცად სადღაც მიუხვევს.  
იქ თავს იწონებს ყაყაჩოს ჭარი...  
და ღვიგის მადლი მიწის სიუხვის!

შენზე გიმორებ კიდით – კიდემდე,  
ამ ხმას მშობლიურ ცამდე მიგაწვდენ.  
ლაქვარდის გზებით ვიგლი მანამდე,  
სანამ უსახლერო გზებს არ მიგაგნებ.

## გადამიტჩინე, ღმერთ, თუსუბი

სტკივა ნესტიან ჰაერს ფილტვები  
და გათანგული ძლივს სუნთქავს ღამე.  
მიტოვებული კენტად რითმები,  
ხვალის ამინდზე მამცნობენ რამეს?  
და უქცევია არარაობად  
სოფელი, გრიგალს ცივად მობერილს.  
ვაგლახ, უყვარდა ბულბულთ გალობა  
და ცაში წყვილად ფრენა ორბების.  
გდია დახრული ნეპნ ღექვების,  
დამუნჯებულან ვარს კვლავნი ცაზე.  
გადამიტჩინე, ღმერთო, ფესვები  
და მომიმართე ჩანგი სხვა ხმაზე.

## მამულთ ჩემთ

უნდა გადმომსკდეს გულიდან ღვარად,  
რაც სამშობლოზე არის სათქმელი.  
გული მანიშებს, ეს გული თაგად,  
რომ გამოსხმია ფრთები საფრენი.  
უნდა გასძახოს ხმაშაღლა ზეცას,  
ყოველი ჟამის ყოველ განთადს.  
რომ მადლი შენა შიგ გულში წევთავს,  
მკერდსაც შეგახლი ქარებს ავყას.  
მამულო ჩემო, სად უნდა ვიყო,  
თვალწინ არ მედგას ბრიალი შენი?  
ოცნების ყველა კარი გაიღო,  
მიგაფრიალებ მანდილს და ვძლერი.  
ჩემს სალოცავში მიშევები შარას,  
ბუმბერაზ მთების მესმის ხარხარი .  
შრიალებს მადლი, რომ ოქროს ყანას  
წამოსდგომია მზის ნიაღვარი.  
თვალს გეღარ ვუწვდენ ზერებს და ვენახებს,  
ვაზის ფოთლებზე ცეკვავს ცვარ-ნამი.  
მამულო ჩემო, მუდამ მენახე,  
ცამდე აწვდილი ღურუჯი ალამით.  
ომში აჩეხილ წინაპართ სისხლი  
შენს გულ-მკერდს ჯერაც არ შეხმობია.  
მათ ნაქონ სამოსს არ გამოვიცვლი, —  
ძილში რაც ხშირად დამსიზმრებია.

## და... თვალები ახალშობილ ბავშვის

სიხარული შემოიჭრა სახლში,  
არწივები ცაში ლაღად პქრიან.  
და თვალები ახალშობილ ბავშვის,  
საქართველოს რამდენს ჰპირდებიან!

ხომ გითხარით, რომ სიკეთის კალთას,  
დაგვახურავს განმგებელი თავად.  
რომ დაეიდგამთ მაღე მრავალ აკვანს,  
დაპგარგარებს შზე სოფლებს და ქალაქებს.

და სხივოსნობს შემოდგომის დილა,  
ვეღარა ვთვლი პორიზონტზე აფრებს.  
ახალშობილ ბავშვს ვუყურებ მტირალს,  
ღმერთო, მაღე ქვეყნის თვალი გახდეს.

თამარის და ქეთევანის ეშნი,  
ღვთიურ შუქს ჰფენს მის ბრიალა თვალებს.  
და ჰანგები ყოველმხრიდან მესმის,  
ღმერთო, ჯიში, გენი გამიმრავლე.

მხოლოდორა უძ...

გაქვავებიათ ამინდებს გული,  
სხივი მიწაზე არსად კიაფობს  
მდინარეც, ნისლით გადაბურული,  
უტყვობს, ხვალისას არას მიამბობს.

მხოლოდდა ექო, გარდასულ დღეთა,  
შლეგად ასკდება მთებს და ქარაფებს.  
ეულად ვდგავარ ბობოქარ თერგთან  
და გზომავ მანძილს ზეცის კარამდე.

\*\*\*

შთაგონების მაყრად გსახავ,  
ჩემო ცელქო ნიავო.  
მაგრამ ახლა ნეტავ სად ხარ,  
ასე რატომ ჰგვიანობ?

მოდი, თორემ ფიქრის ზერებში,  
ქარი დახეტიალობს.  
თუ არა შენ, ზღვა სიზმრებში,  
სხვას გის გაფეხმიანო?..

უსიყვარულოდ ვრცელ გზას რა გაღევს,

დრო ახამხამებს ვნებიან თვალებს,  
აკრთობს ჭალებში აფრენილ ხოხბებს.  
უსიყვარულოდ ვრცელ გზას რა გაღევს,  
ან ვით გაფუძლო ჭრელ წუთისოფელს?

გავცემ ნაპირზე დამსხვრეულ ბორანს  
და მაგონდება სიზმარი აფი.  
გერ ვიცილებდი კუპრისფერ ყორანს,  
ჩემს მიღამოზე დახრილი თავით.

სად დაფრენს ახლა, ვინ იცის, ნეტავ?  
ვის დაუმსხვრია ოცნება ტკბილი.  
მე სულის სარკმელს ურდულით გეგტავ  
და ჩუმი ცრემლით მიგყვები ბილიკს.

## გუგუში სევდის

შენ იყავ დღეთა ფიქრის სათავე,  
იერი შეოჩა ცას და სტრიქონებს.  
დღეს ქარის ჟინი ისე ხარხარებს,  
გარდასულ სიზმრებს ვეღარც ვიგონებ.

მხრითოლავი კვამლი თუ სუნი დენთის,  
თრგუნავს აღვებს და ცისკარს დილისას.  
მთებს აურუოლებენ ზვავები სევდის,  
ელდა, მორიგი მსხვერპლთშეწირვისა.

ჟამის ურჩხულთა დაფტენილ ხახას,  
სწყურის მოშთობა როს მშობელ ერის,  
მმა რომ სატანობს, ეს იცის ბავშვმაც,  
ლტოლვილია თუ მწყურვალ-მშიერი.

დაკარგულ მიწას ვტირი და ვტირი,  
სამახაბლო თუ სოხუმი, გაგრა....  
ან ვით გაფუძლო ამ სულის კიფილს,  
ან ამ სტრიქინთა განგაშს ხმამაღლა?

ქაოსი ბურდავს გულს ცის და მიწის,  
დარჩენილ მიწას მტარგალი ზვერავს,  
ტაძარში ბოლო სანთელი იწვის  
და სასწაულის მაინცა მჯერა!

## გოჭლი შალიკაძეობი ————— გაუცაცნიათ ღიმონის მთვარე

ჯიუტობს დამე, აღარ თენდება,  
გაუტაცნიათ დემონებს მთვარე.  
მტკვარი არაგვთან სადაც ერთდება,  
იქიდან მესმის, რეკავენ ზარებს.

ანგელოზებთან მორცხვად ვეშვები  
და ათრთოლებულ ხელს გუწვდი მძიმედ.  
კუპრისფერ დამის მაკრთობს ეშვები,  
მინდობილი გარ ბედსა და იმედს.

მღვრიე დამეში ნაგვემი სული  
დააფათურებს გათოშილ ხელებს.  
ქვითინებს ქარი ვით განწირული,  
თითქოს უხმობსო მიწიერ მშველელს.

ჯიუტობს დამე, აღარ თენდება,  
რამ შთანთქა ნეტავ პირბადრი მთვარე?  
მტკვარი არაგვთან სადაც ერთდება,  
იქ, გახელებით რეკავენ ზარებს.

### სალცერ მთვიზე

რა დამღლის შენი აღერსით,  
გულს დაგეცხები მაღლამოდ.  
დაგწვავ კოცნების ნაკვესით,  
რომ სიყვარულით დაგღალო.

მთიდან ნიაგმა დაჰპერა,  
შემმოსა ტრთობის აბჯარით.  
განძი სულს აქეთ რაც მქონდა,  
ადუღდა, როგორც მაჭარი.

## დავბორიალობ თცნების გრძაზე

დავბორიალობ ოცნების გზაზე,  
ავედევნები ღრუბლებს თოლიად.  
შენს ღიმილს ვექებ ცისკრის ვარსკვლავო,  
ფრთა შევალეწე მწვერვალს თოვლიანს.

ამ ოღრო-ხოღრო სივრცეებს შორის,  
შენთვის კვარიგით მარად ვენთები.  
იმედის შუქი მყერდზე მეღვრება,  
ვიცი ოდესმე შემეფეთები.

## ნუ, ქართ

ქარს დააქვს დღეთა ნისლის ძაბები,  
გზადაგზა ჰეიდებს ტოტებზე აღვის.  
ნუ, ქართ, მეტად ნუ გაავდები,  
არ გამითოშო იმედი ხელის.

ნუ დამიჭირხლავ, განგებავ სარკმელს,  
ნათლად მოჩანდეს ვრცელი გზა-შარა.  
ცა მიწის ოხვრას გერ უძლებს ამდენს,  
მმათა სისხლი რომ ჩქეფს ირგვლივ დგარად.

ფეხს ვერ ვარიდებ მიწაზე ნაპრალს,  
რა გახელებით ქირქილებ ქართ!  
არა, არ დავყრი იმედის ფარხმალს,  
მძლავრად ჩამოჰკარ, რიყრავის ზარო.

თ, პოეტია?

წელში ინხევა აღვების კენ მავალი სიო  
და ზეცის ფონზე მზით ნაქარგი მოსჩანს იები.  
გადამატარე, პოეზიავ, შენს კავკასიონს,  
რომ აშრიალდნენ გზაზე ჩემი აკაციები.

სთქი...

სთქვი სანუგეშო სადღეგრძელო დიდო თამაღავ,  
თორემ ჩამოდგა რახანია მატარებელი.  
აქ, სადღაც ახლოს ლელიანში მეხი გავარდა,  
დღითიდღე ხდება ეს საწუთრო საწამებელი.

სწრატუა

ჩახჩქერს კლდიდან გადმონადენს,  
ცეცხლად აფაბრიალებ.  
ალს აფაწვდენ ლაუფარდამდე,  
ტყე-ველს აფახმიანებ.

დელგმამ როგორ გადამთელოს?  
ქარს დავიჭერ ქამანდით.  
ოღონდ ჩემი საქართველოს  
მზე ბრწყინავდეს მარადის.

პთი, ატაგზო

„ქო. ნაბირნო. ამავევის ჩინო“

ნ. ბარათაშვილი

ჩაფიქრებული მივყვები ბილიკს,  
მოვუახლოვდი არაგვის ველებს,  
გაქრა სიდინჯე, ღია გლიკა წყაროს  
ანცი ბაგშვივით შევუშვერ ხელებს.

ფეხით ავკეცე თუმცა დიდი გზა,  
ო, დაღლა მაინც სულ არ მიგრძვნია.  
შენი მთა-ველის ცელქი ნიავით,  
ჩემი სხეული ვერ გამიძღია.

„ჭირი, ნაპირნო, არაგვის პირნო“ –  
ტატოს ნათქვამსა ვინდა იწამებს?  
როცა ზღვის ფსკერზე ჩაიძირებით,  
მთლად დამუნჯდებით დედამიწაზე...

ნუგეშის სხივიც აღარ ჩანს გზაზე,  
ცრემლების ღვარი არაგვად გერთვის.  
ვარ ჩემი დროის პატარა მაცნე  
და მოლიცლიცე სანთელი ერთი.

ახლა რუსთავის მზით ვირუჯები,  
და მაინც შენი წვიმა მასველებს.  
მე არაგვივით არ დაგმუნჯდები,  
თუნდ საგუბარი გამიასკეცდეს.

ფიქრი, ერთი ციდა,  
მთელი ღამის ტოლი.  
ფიფქი ცვიგა ციდან  
არა ის, თოვლის!

იმურმა, ტრმუნამ...

დღეს სულ სხვაგვარად გალობს ბულბული,  
სულ სხვა რიხი აქვს თერზს და დარიალს  
სიმების ქლერა, ზართა გუგუნი,  
ზერებში მაგონებს სიოს არიას.

დიდი ხანია ასეთი დილა  
აღარ მინახავს საქართველოში.  
სამადლობელოდ ღმერთთან მიყდიგარ,  
ამ ხუთჯვრიანი მამულის დროშით.

ყოველ გოჯ მიწას დაგეოცნი მაგრად,  
გაპეურებ ცრემლის მხურვალე მძივებს.  
ჩემს სამახაბლოს, სოხუმს და გაგრას,  
რომ მოვუშუშო ჭრილობა მძიმე.

მათ დავიბრუნებთ, სულს ასე ნაბავს,  
მრავალუამიერ დაჲკრაგს „რამ დიდას“...  
კავეასიონი მზის ამ სხივებმა,  
ცამდე ასწიოს უნდა ამ დღიდან.

ღვთით დაეწეროს ფიქრებს ახდენა,  
სული დამზრალი დაე, განაზდეს.  
იმედმა, რწმენამ დაე, ამჯერად,  
დაისადგუროს ამ ქვეყანაზეც.

## ტოცა ამთვა ცაზე ციხეატი

გადმოიღრება სათქმელი ლექსად,  
როცა ამოვა ცაზე ცისკარი.  
თუ არ აქცევენ დემინი ფერფლად,  
თუ გადამირჩა ფიქრი, მიზანი.

შეატორტმანა სინესტეზ ცხრა მთა,  
გმინებათა ექიმ საქართველოსი...  
მძლეობს სიბნელე, სად არის „ის გზა“?  
ნუთუ დგას ჟამი ჯიშ-გენის მოსრის?

გაოგნდა სივრცე და თავად წუთი,  
ამოშრობიათ სურვილთაც ხახა,  
ცა ინათებდა ოდნავაც თუკი...  
თუ ექნა ბოლო დემინთა ხარხარს...

ქ. ჩუსთავი 1995წ.

\*\*\*

გადავიგარგე შენს გრილ ღამეში  
და შვების წყარო ვერ გაოვე ვერსად.  
ქნელი ყოფილა გზა გილგამეშის.  
ქნელი ყოფილა თამაში ცეცხლთან.  
უცებ აკივლდა ქუჩაში ქარი,  
აწყდება ხეებს, ფოთლებს არ ინდობს.  
დამდევს ხარხარით ზმანება ავი.  
შენ კი სადა ხარ, სად დარაინდობ?

ჩემს შეიღიშვილს – ანუკის (ანას)

წადილს წააბი წადილი,  
არ შესდგე ერთი წამითაც.  
ზრდილობით, კარგი სწავლით და  
გიცნობდნენ კარგი საღმითა.

ეგებ და... ღმერთმა ინებოს,  
ერს ემსახურო კაღმითაც?  
ქართული ეშხით, მრწამსითაც  
მოჰვავდე თამარს, ქეთევანს...

ნუ გინდა ყალბი დიდება,  
არ თქვა ხმამაღლა: – „ეს მე ვარ“...

ნამდგილი სიყვარული და  
კეთილი საქმე გჭირდება.  
არიგებს ბებო შვილიშვილს, –  
ანგელოზს ნაყინს ჰპირდება...

ასპარეზით უთუოდ,  
თავადვე მოგიფრინდება.

...  
შემოანათა ანუკიშ  
ბებოს ჭკვიანი თვალები: –  
ვაჟას ზღაპრები მომიყევ,  
რუსთველის დანაბარები...

18.05.2005წ.

## კონცერტებს უაკლებ ნიჭატი ღილის

მიმქრალ ბუხრას წინ ფიქრები სხედან  
და გათოშილნი ბჭობენ ხვალისას.  
იქ ქერათმიან ანგელოზს კხედავ,  
ფუძეს ულოცავს ავი თვალისას.

ქუხილი ელგას კუდზე წაება,  
თან გახელებით გრიალებს ქარი.  
ავი სიზმრებით განაწამები  
ცაზე უფლის მაღლს დაეძებს თვალი.

გზად შთანთქავს ეშმა, გინ იცის ღაღადს,  
სარკმელზე თმენის ცახცახებს თწოვილი.  
და ცრემლიანი დავცეკერ თეთრ ქაღალდს,  
კონტურებს ვაგლებ ნეტარი დილის.

# Ծաղկության մարդու ————— նդ, նդ գարնան

Շոյրտա ճառիկա՞ն և սուրոյե մշջոնձ,  
կորելս Մելլուսաց և սարքմելո պայմանա.  
ույ եառեարեծ Երանուուուս յիշ,  
լոյվու օրցուեծ յաճառությ ուրբեմլած.  
Վելու ժառանձու համեռիցալ ուրնեծուս,  
շառացնեծ յառաջոնձ ծոյնեծաւ.  
յառաջուուս շմենցա, զբյեսա հուզեմու,  
սանամու ապյուս անճա ուրունեծաւ?  
Ճա յառանուունու տրտուան ծացենո,  
միներա ոյ ճառիս, Կյուուս մոնաչյ!  
Կաէպատեծ և սօմու, և յուլուս մատյեծո,  
շա ույ ճանուար կոյիշ-ընդանությ.  
նցացու ճապարենա լուզեծուս սանցառու,  
հուզուու կըցուտյուս մմացու մերդուեծո.  
Ըմերտու, ույ յամեն ստրոյունուա շանցանս,  
ումցելու մամյունու, Մյեն ցացեմուեծո.

## Բիպան միբուդու

Ճռու մուշկուս, մուշկուս հանու ոյրտամալու.  
Ճա առ սցալուա իւմտցուս և ուլուուա.  
Ճացունույցուա, հում մյ շառ յալու,  
չյ մցուտ մունուցուու մունուուա.  
Ճա յամու, մյապուր սաեց-ոյրուտ  
սցրոյունուցուս այրտուուս, ուտրտուուցուս եմասաւ.  
Տոցրույա, Տոցրույ և յուլ ցառուցու,  
յրտու ուրունցուուց առա հանս առսած.  
Ճա մյ ցըր ցանուր այրուուս ցամլաս,  
ճամյու միա կառույլած մյմկուրա ճալալու ...  
Տացալալուա ամ եօնուց ցամցուա,  
հուցու մյեն ցցուուտ առցուն առ առուս.

## მიუღაწნებით ნეფაზი საით?

ლექსი მექახის თვალებბრიალა,  
ჭრელ წუთისოფლის ვეგულვი მტკერში.  
რომ ცხრა ნაისრი მტკიფა იარა,  
მორიგი ელდა კარებთან ხენეშის.

ბუქნას ამოდის, როკავს სატანა,  
ხარობს ცისა და ერის პზარებით.  
ჩემს სამშობლოდან განხის გატანა,  
ხდება რამდენი ამისთანები.

კვნესა, გოდება ნამეხარ ხეთა,  
ერთურთის ხოცება დღისით თუ ღამით.  
ის უცხო უჭვი დასახლდა ჩემთან...  
ნეტავი საით მივექნებით?

## მოთამბის ღღეს უარმაში

შემოდგომური სურნელი ათრობს,  
ტალღათა მკერძე მზის სხივთა ჩქერას.  
ირგვლივ ყოველი როგორ კიაფობს!..  
და ვმაღლი უფალს ამ აღმაფრენას.

ჩუქსთგელის დღეა და მზე ნიაღვერობს!  
და... მრავლის მოწერ მოგელავს მტკვარი.  
თითქოს და ახლა უნდა მიამბოს,  
როგორ უყვარდა შოთას თამარი!

ღაწვს შემოენთო ნაცნობი ალი,  
ცალ, ცად მიიწერ კიდევ გარმია!!!  
თითქოს და ახლაც შოთა, თამარი  
იმავე ქნარით აქვე დადიან!...

ზართა გუგუნი საუკუნეთა...  
პეშეს სხვა მადლით და მირონით ავსებს.  
და... სავედრებლად მივდივარ ღმერთთან,  
უშობდეს ჯილაგს კვლავაც მათ მსგავსებს.

### სალიანი თითები

მუზას უთროის ხალიანი თითები,  
ხმას უსინჯავს სალამურს და ქნარებს.  
მეც გიმღერებ, განა მუნჯად ვიქნები,  
დროს მოფურჩენ, მიწას ამ იარებს.

დაიღვრება ციდან სულ სხვა ნათელი,  
აგერ, აქ დგას ანგელოზი ჯერაც.  
მრავლად გვყავდეს ოდონდ ნაღდი ქართველი,  
ვერას უზამს მამულს მტერი, ვერა!

### თოთნი ახლა

ოღონდ ახლა ამ კიბეზე  
არ დაუცდეს იმედს ფეხი.  
შევებმები ჩვეულ ჟინით,  
შევებმები ავ ბედს მსახურალს....  
ხმა ჩამესმის იღუმალი,  
რას ელიო მაინც ახალს?—  
ნებას ღმერთის,  
ბოლო ექნას, ბოლო ექნას,  
სატანების ხარხარს.

## ღა... იმედი ლიტერატურის

და...ტოკავს წამი, სარკმელთან ქარი, ფრიალებს ფარდა,  
მიღმიეთიდან მესმის ოხვრა უთქმელი ღეჭისის.  
დღეს სულ სხვა დღეა, დილიდან ყეფს ჭიშგართან „რექსი“,  
თმენა როდემდე, ემატებათო გამპირებს მადა.

ცაზე კი, ცაზე შედედებულან თეთრი ღრუბლები,  
ჟინით დასცექერენ უღრანებში ნადირთა ხროვას.  
მე ვაკვირდები ცისფერ აფრებით ნააირზე ხომალდის,  
იყუჩე-მეთქი, მიაყურადე, „რექს“ გეუბნები.

ქუჩებში დაპქრის ახალი ტალდა, ზღვაური ხალხის,  
არ მინდა ისევ განმეორდეს შეწირვა მსხვერპლთა.  
კვლავ შერკინება, კვლავ შერკინება მუხანათ ბედთან...  
და... იშვა ღეჭისი მტრის განჩენით, ახალი ლახვრით.

უქმად ხრჭიალებს, უქმად უკვე დემინთა ეშვი,  
დღეს დავინახე რა ეთრიბაა, რა ძალა ჩვენში.  
და მაღლდებიან ეკლესიები, ძეგლი ციხენი,  
იბადებიან ალგეთს ლეკვები, თანაც იმდენი...

ეჭ, წყართ, წყართ

მოღუდუნებს ფიქრის წყარო,  
სეგდიანად თუმცა.  
როცა უამი აღარ უამობს,  
დავაგიწყდით უფალს.  
და რომ ცრუ დაბირებების  
დაზნექილა თაღი.  
რომ სინდისი ხელისუფალთ  
გაუშვიათ გაღმით.  
რომ თვალები მშიერ ბავშვთა,  
შეპყინვია ზეცას.  
დგას წყვდიადი ქართვლის კართან,  
ელდის დაშნას ღესავს.  
ეხეთქება ტალღა-ტალღას,  
თერგის ზრახვას გხვდები.  
მოუსპია ზოგად წარლგნას,  
სამამულო ზერები.  
რით გცემ ნუგეშს დაჭრილ მიწას,  
რომ მექანის რიდით?  
სტკიგა, სტკიგა გულის ფიცარს,  
ერის ბეწვის ხიდი.

## ტრმუნა კი ცამდე აკიდა

შუბლდაღარული ფიქრები,  
რაღაც ზეციურის ელიან.  
ნისლმა დამიფრთხო რითმები,  
ულექსოდ, ო, რა ძნელია!

წელზე შეგირტყი ჯაჭვი და  
მზერას ვუსწორებ მყინვარწყენს.  
რწმენა კი ცამდე აფიდა,  
ღვთის ნებით ჩემსას მივაღწევ.

## გვერდი აპურზა ნამი

თუ ჩაიმუხლებს ქარი აშ ნიშთან,  
თუ არ ჩამიქრობს სანთელს...  
და... ვეღი თმენით უფლის სხვა ნიშანს,  
ხვდება ფიქრის, ღამენაოუგი!

ვიცი, თვალს აფლებს ნახმლევ სანახებს,  
ეგებ აპუროს ნამი...  
დაჯდება, დაწერს მტრისთვის განაჩენს,  
რწმენა არ მტოვებს წამით.

## ასე უკლიმლიკ დამტენდებოდნენ

ფიქრს დაუხრია წამწამები, სდის ჩუქი ცრემლი,  
სად გაკრეფილან ვარს კვლავები, ჩურჩულებს მთგარე.  
ხგალ ქართველთ ჯიშით გაიგსება ხომალდი, გუმი,  
და საზღვრებს იქით, ემიგრანტად სხვა ქვეყნად წავლენ.

კვლავ იდუმალი ავად მიმზერს თვალებით საცრის,  
როგორ ხარხარებს უღრანებში, მესმის სატანა.  
მოგა თამარი სიზმრად, ნახავს სამშობლოს დაცლილს,  
ლოცვად დადგება და გედრებად ტაძრის კართანა.

ძირს დავემხობი, ნატერთვალები დაგვოცნო კდემით,  
ნაპრალთა გასწვრივ მწკრიად დავრგო უხვად აღვები  
უზენაესო, შემაგებე მაში, სხივი ერთი,  
არ დაუდგება საქართველოს დროს უარესი.

ცას არ აკრთობდეს კვლავ ხორხოცი უგუნურების,  
რომ ექნას ბოლო ერთმანეთის ხოცვას და ძარცვას,  
დაბრუნდებოდნენ ემიგრანტები მაღე, უკლებლივ,  
გაბრწყინდებოდეს მთლად ლაქვარდი და უფლის კალთა.

## მთასწარ, შემძინ

ფიქრი ააწყობს დამსხვრეულ ხომალდს,  
არ უღალატოს გზად საღმე ჩრდენამ.  
მოასწარ, შექმენ სანამდე დრო გაქვს,  
ცაც გააკვირვოს მაგ შენმა სტენამ.  
რა მოაქვს უქმად კოტრიალს, წოლას?  
გუდა გევსება გაღებით ხელად!

## ისევ მთმესმა

ისევ მომესმა ზეირთთა შრიალში.  
ასე არ დაწერ მარტოხელადა.  
ღრმად ჩაიხედე ადამიანში,  
გულმა დაჭრილმა იცნოს შენადა.

თორეშ ჩაგძირავს ბნელი წყვდიადი,  
პასუხს რით აგებ უფლის წინაშე?  
მჯერა, გეწვევა სხივი დიადი,  
სულმაც დამზრალმა იგრძნოს სინაზე.

გმაღლობი, უთარო

სულის სანახებს მოვუარო,  
ვარ ვალდებული,  
ვარ ვალდებული შევუტიო  
სტიქიას, დელგმას.  
დღეს ძალა ვიგრძენ ჩემში  
სრულად განახლებული,  
ამორძალივით მრუდე ჟამთან  
ვაპირებ შებმას.  
მე მუზა მახლავს გვერდით შენგან  
მირონცხებული,  
სხვაგვარად თრთიან ქნარები  
და სულის სიმები.  
ჩემს ერს ვუძღერო, ვემსახურო  
ვარ ვალდებული,  
გმაღლობ უფალო, ხარ თავდები  
ჩემი იმედის.  
ჩასაფრებულან გორებს იქით  
თუმცა ნისლები,  
მთები კი ჩუმად მამხნევებენ: -  
სიფხიზლე მეტი!!!  
გამთენისას შორს გავრეპე  
აფი მისწები,  
ოცნებას მოსავს შარავანდით  
ნათელი სკეტი.

## შორემი მაინც?

როდემდე მაინც მღვრიე დინება?  
მოვარდა კითხეა, ვით წეიძის თქეში.  
შენ, შთაგონებავ, გეცოდინება,  
უთქმელი ღექსი გზაში რად კვნესის?

წალეპავს არეს ფიქრების ლავა,  
როდისღა მოვლენ დღეები სანდო?  
გზას ვაკვირდები, გზას – ერის საგალს...  
ედემში ვარდი რომ აღარ ვარდობს...

და... ხრჩოლავს ჟინი უხიაგ ჟამის,  
რომ ხორხოცებენ „ოქრო კაცები“,  
როგორ წრიალებს ფოთოლზეც ნამი,  
მას ესმის სულის – ნაგვეჭ ნაცემის.

და შემიმუურებს აზრის სამანი,  
გარშემო ურბენს ფერმერთალი ელდა.  
მამხნევებს მხოლოდ ჩემი კალამი: –  
არ დაუთმოო ეგ გული სევდას.

## გოჭლი შალიკაშვილი დავითობი

დაველოდები თმენით სხვა წამებს,  
გეჩურჩულები ხშირად ბუნებას.  
ოცნება თვალებს რომ ახმხაძეს,  
გული შეპხარის თავისუფლებას.

ვძერწო, ჩაგბერო ქვასაც სიცოცხლე,  
უერით გაღმოვცე ეს საოცრება.  
ნიაჟს გულის ხმა ცაში მიჰქონდეს,  
აინთებოდა აპრილი გზებად.

ლამპიონები ინთება, ქრება...  
თვით შემოქმედი ჩემს გვერდით დგება!  
სასწაულები გზა და გზა ხდება!

### ჩემს საძართვულოს

აღარ ატირდეთ ღრუბლებო ცაზე,  
ერთ მუჭ სიხარულს დავეძებ სანამ.  
ჩანგი მოვმართო იმ ნეტარ ხმაზე,  
დავიბრუნებდეთ ჩვენს საზღვრებს, საშანო.  
ღმერთსაც ეს უნდა, ნება მისი,  
ღომებულოვანი მეგულვის ძმანი...  
ჰარი-ჰარალე შორიდან მესმის  
და ბანს აძლევენ სამშობლოს მთანი.  
და უსასრულო სიყვარულს ვეძებ,  
მუზა მივარცხნის ოცნების დალალს.  
ჩემს საქართველოს, კურთხეულ ედემს,  
გულს ამღერებულს ვაჩუქებ ალალს.  
ჰოდა, ვიქნები ამ ქვეყნად სანამ,  
ლორთქო ბალახის, ზაფხულის სუნთქვა.  
ლაქვარდებს იქით გავტყორცნი ქამანდს...  
და მაღლის შეგწირავ ყოვლისთვის უფალს.

## თიქოთა მღინატე

რომ აქოჩილან, ყალყზე დგაანან  
ზეირთნი ეპოქის,  
გელარ ეტეგა კალაპოტში  
ფიქრთა მდინარე.  
მტერს არ ასვენებს ფიქრი ჩვენი  
საზღვრის ხელყოფის,  
როდის ჩაფერფლავ, ღმერთო ერში  
ქაოსს მძინებარეს?

თვალს ვუბრიალებ შემოჩეულ  
მაცილს, სატანას...  
ო, ნუთუ ისევ ცა სისხლისფერ  
წყიმებს აპირებს?  
ამებებიატა ორი სიტყვა:  
„ლელოს გატანა“,  
და რომ მამული ჩვენგან ელის  
საქმეს საკვირველს.

### გამწყვალა ბერი

და ღაღაღებენ, კვლავ ღაღაღებენ,  
დღისით თუ ღამით ეს ქონგურები.  
მიწას რომ სალბუნს  
აღარ ადებენ,  
რომ გულგრილობენ  
შვილნი სრულებით.

აღარ ბჟუტავენ  
ვარსკვლავნი ცაზე,  
გაღრმავებია მთვარეს  
წყლულები.  
გამწყრალა, ბედი გვიღება  
განზე,  
ჰქონიან ღანდები  
გადაცმულები.

და „დუღს“ ცხოვრება  
ახალი წესით,  
დავთრები-ჭრელი  
კანონით სავსე.  
შხამით ამიგსეს  
ორივე პეშვი,  
სიმართლის მძებნელს  
სამსალა მასგეს.

## ტრიუნის გატემა

ოდენ ძნელია რწმენის გარეშე,  
არარაობა, კაცს სულ სდეგს ჯანღი.  
სულში ეშმაკთა ჯოვის თარეშით,  
გათელილია მისი გზა-ბაღი.

ეს, გინც უარყოს უფალთან გავშინს,  
აროდეს მიგა ერთხელ ტაძარში.  
უფალი მისთვის კალთას არ გაშლის,  
ცოდვებით საგსე იყოს ნაგავში?

## ასე იწყება ქორმი ღილა

ჩიტთა ჭიბჭიკი, საათის ჩქამი,  
შთაგონებაა კარზე.  
და აცელქება კეპლუცი წამის,  
ჯერაც ნასიზმრევ თვალზე...

ასე იწყება ყოველი დიღა,  
სანთლის სურნელით, ალით.  
სხივებში ისე ლამაზად ბრწყინავს  
დროშა ხუთივე ჯვარით!

## გოჭლი შალიკაშვილი

---

### სიტყვების ქამი

სიზმრების ჟამი გასრულადა ერთი,  
იმედით გაუცქერ მწვანე მთა-გორებს.  
ხელთა მაქვს თითქოს მაგვარი კვერთხის,  
აფი ზმანების კვალს რომ მაშორებს.

ცა წამწამებზე ვარდებს მათოვებს,  
სულ ნაბიჯ-ნაბიჯ მომყვება მუზა.  
ღმერთო, მოხელე ამდენ მათხოვრებს,  
ქუჩის გოგონებს, ამ ქოჩორ-გრუზათ...

აღარასოდეს, აღარასოდეს –  
ცდუნება, მარცხი აღაღ ქართველებს.  
უფლის კანონი მუდამ გვახსოვდეს,  
რომ მოვლა უნდა მხენელს და მოესველებს.

### ცამ გამიღიმა

იმ ნებიერა წუთებს მოველი,  
დე, იყოს ფერთა ცალ-ბრიალი  
ნაბიჯი მქონდეს შეუცდომელი,  
მეგზურად – სიტყვა, ორბისფრთიანი.

არ ჩაიკარგოს ხმა წიგნის ყდაში, –  
ფლოქვთა თქარუნი თეთრონი რაშის...  
მაშინ, როდესაც მე არ ვიქნები,  
ჩანგს აკენესებდნენ ჩემი რითმები.

თუ მიუწენ ადგილს საჯიხეს ?  
ლაბირინთებში გაიგნეს კვალი...  
თუ სევდას ნისლი მკლავზე დაიხვევს, –  
მაავიწყდებათ „ლექსების ქალი?“ –

ცამ გამიღიმა და... მიყო თვალი.

## უნდა ამოუხენა

რას მიკარნახებს ეს ცა, ეს მიწა? –  
 წუთი მთროლგარე, წუთი ვედრების...  
 ღამეს არ სძინავს, ვიცი რისთვისაც,  
 არ დამიბზაროს ეშმამ კედლები.

სადმე არ შთანთქას ეს ხმა ოლონდაც,  
 შევინარჩუნო, რის ვარ მფლობელიც.  
 ზღაპრის გორგალი აგერ, მოგორდა, –  
 დავაფურთიანო უნდა ორბები.

უნდა ამოგხსნა ცის იდუმალი,  
 მიღწევადია, ვიცი ყოველი.  
 ანგელოზია ჩემი სტუმარი  
 და სხვა ალიონს, რიყრავს მოველი.

## ჩუქუმი ტითმები

კვლავ აირივნენ ფერები თალხად,  
 ნისლში არ მოჩანს ფერდობი, გაკე.  
 ელდას ვუპირებ დამბაზის დახლას,  
 აღმოგჩნდებოდე ლაჟვარდში სადმე.

სად, სად ნებივრობ, მუზავ შენ ახლა?  
 გადამიგეტე ურდულით სული.  
 მე შენით ვეღი დღეთა სელს ახალს,  
 სხვაგვარად არის ცა განაბული...

გადავაჩვიო ეს ტირიფებიც  
 ეგებ როგორმე მგლოვიარობას.  
 სევდიან ლექსთა ჩემი რითმები,  
 დროს ახსენებენ, დროს, გულქვაობას.

უთალი ად ღგას

ფიქრი მოიგლის ოცნების ქვეყნებს  
და დაპირუნდება როცა.  
თვალებს სხვა შუქით შემომაკვესებს:-  
ის დრო წაფიდა, მორჩა.

ეინით დარეპავს რიქრაფის ზარებს,  
ეფოფინება სამანთ...  
უფალი აქ ღგას, ლოცავს ჩვენს ხვალეს, -  
და მაწვდის ახალ ქამანდს.

ის ააჩქროლებს სხვაგვარად ძარღვებს,  
საამო ბრუნვას დღეთა.  
ის დაგიამებს მამულო ნახმლევს, -  
მარად იქნება ჩვენთან.

## თბილისის ღილა

ცისკარი, ცისფერთვალება,  
შემოშეგება თბილისში.  
სტრიქონი სტრიქონს წაება,  
მამლებს მიპაძონ ყიფილში.

დილამ შშობლიურ ჰანგებით,  
სხივები ციდან აკრიფა.  
მე კი, მთებივით გმაღლდები,  
ლექსი ღუღუნებს აკვნიდან!

მუზაც ჩემსავით დამთვრალა,  
ამივსებს გუდას მითებით.  
თბილისის დილამ – ფართქალამ,  
დამიფრთიანა ფიქრები.

ცად ცელქობს ცხრა ცისარტყელა,  
გრძნობებზე – სიზმრის ობობა.  
ცხრაჯერ დარეგეს ზარებმა,  
დილამ ცხრა ლექსი რომ შობა!!

შემპირდა ბედის სადავეს ,  
რითმების შარიშურისას.  
ეძებს სიმართლის სათავეს,  
მაღამოს ყველა წყლულისას.

## ტრმუნა და ტვალი

შოთა, ფშაველა, ყაზბეგი და  
ბრძენი იღია, —  
მეამაყება, მათი ლეპვი, —  
მათი შვილი გარ!  
ხან აღმაფრენის წუთს დავცქერი,  
ხან თუ ვტირივარ,  
მე უაშს ვეკუთვნი, ის ჩემია, —  
მისი სიმი გარ!  
მე ჩანჩქერი გარ, კლდე ფრიალო,  
ხანაც ქარაფი,  
ჩაგწვდე იდუმალს ნინოს ჯვარით, —  
იმ მთის და ამ მთის...  
რწმენა და რეალი არაგველთა,  
ფარ-მუზარადი;  
მოაქვთ სტრიქონებს ყვავილებით  
საგსე კალათი.  
უამურ ქართან ჩემს რუსთავის  
აქვთ სჭა-კამათი.  
რაც მთავარია, არ აქვთ შიში,  
დიახ, არაფრის!  
მათ დაუწენიათ ჯადოსნური,  
სულ სხვა ქამანდი!  
და... მამხნევებენ: — მედგრად იყავ,  
აბა, გამაგრდი!

## გამტრებინდება საქართველო

მოაქროლებს თეთრობის ისევ,  
ფიქრი ღამენათევი.  
პეშეს ცისფერი გრძნობით მივსებს  
და ამ გრძნობით დავთვერი!  
განა მზის შუქს დავემალე  
მოლიცლიცე საწელო?  
უფალს შევთხოვ, და ე მალე,  
გაბრწყინდეს საქართველო

## სიცოცით ღა საჭმით

თუქა ძიების გიპერობს სურვილი,  
სიკეთით სავსე, ხარ საქმით ქველი.  
მაინც ბურუსით ხარ შებურვილი...  
მომწონდე ლექსით ახალით, ძველით.

გადაუქნიე მათრახი მაცილს,  
აჩუქე წამი სულს აღმაფრენის.  
სიტყვით და საქმით ვიწამო კაცი,  
რომ იქცეს ნოტად ჩემი სიმღერის.

## თიბრი

არ მაძინებს ფიქრი, გითომ რაო?  
რატომ გაქვსო შელეწილი ფრთაო?  
ანგელოზმა ყურში რა გითხრაო?  
მმათა მკვლელი ოში ვინა ქნაო?  
კარი რატომ აღარ განიხვნაო?  
ვინ სულმრუდობს, ვინ ჩაკეტა გზაო?  
ანგელოზმა მაინც რა გითხრაო?—  
თქვენშიერა ისევ თქვენი ხსნაო.

## ღილა (სასიმღერო)

დილა ღიმილს გეღარ იტეგს,  
უხარიათ ყვავილებს;  
დილას გუმღერ, დილას ცისფერს,  
სხივებს უხვად არიგებს!..

უქეზე ღება საქართველო, —  
ეშველებათ ღარიბებს.  
ჩემი მჩწამისი შემოეგლოს  
ჩემი ერის ხვალინდელს.

აფხაზეთში ძმობის პიმნით,  
ახალ დროშით გავიდეთ,  
რა ამოდ თრთის ქნარის სიმი,  
მაფხიზლებს და მარიგებს!

## ულდას გულში ჩაუშვია ღუზა

წამწამებზე გაირინდა მუზა,  
შთაგონებას დაებერა ძარღვი.  
ელდას გულში ჩაუშვია ღუზა,  
ბეწვის ხიდზე ჩაუდგიათ ნაღმი.

ანასხლეტი წუთი მორჩა ღალადს  
მთებმა რაღაც უჩურჩულეს ზეცას.  
განგმირული ქარი კვნესის საღლაც,  
ქალის ფიქრებს ფთილებივით წეწაგს!

მზერა დარჩა იაღლუჯის ჯგარზე,  
დავითი რაშ მოაჭენებს გაღმით....  
ფაზის გემი მოადგება ხეალ-ზეგ,  
რას მოუტანს საქართველოს დაღლილს ?

## ეს მუნ სატ?

ეს შენ ხარ, შენ ხარ?  
თუ ეს არის შენი ნაერი?  
ლოდინი მკლავზე მისვენია  
ღონემიხდილი,  
როგორ სჭირდება  
სუფთა ჰაერი.

## კინ ჩამიტროს კულაპცოტები

დროის შავი არტახები  
აღარ გაცედა, არა  
ნატყვიარი და ნახმლები  
აფხაზეთი მზარავს.

მაშინდელი მწუხარება  
გულში ახლაც ბარდნის  
მაგრამ მაინც არ მაქვს ნება  
სევდისა და დარდის

შინაურს თუ მომხდურ აფთარს  
თუმც ვერ ვძლიერ ბრძოლით.  
ახლა ისე გუმღერ ზამთარს,  
რომ სულ დაღნეს თოვლი!

ვინ ჩამიქროს კელაპტრები  
იმედის და რწმენის;  
დამიწდება ყველა მტერი,  
საქართველოგ შენი.

ვიცი, წყდება ძაფი თმენის,  
ნურვინ გვიცქერს მრუდად...  
აფხაზეთი იყო ჩვენი  
და იქნება მუდამ.

## კანტრილი ბლის

მიყურებენ, მეძახიან  
კუნწულები ბლის.  
ყმაწვილობის ნიაფია,  
სამოდ რომ ჰქონის!

რას გალობენ ჩიტუნები?  
სიო ტოტებს ხრის.  
რომ ბაჟშეობის ანგელოზი  
სარეცელთან ზის.

ჩემი მთების ნიაფია,  
ამო ქრეოლას მგვრის!  
ფრთებით უხვად მომიტანა  
კუნწულები ბლის.

ორივ ყურზე გადამგადა,  
სხეგებს კი ვუხსნი ბირის!  
დედა იქვე ღაფუსფუსებს,  
კალთით შაწვდის ხილს.

მე კი ყველას მირჩევნია  
კუნწულები ბლის!

ტოცა ლიტერატურა ჩემთან

მკერდზე ჩახექერებს მჩქეფართ,  
რა უნდა სჯობდეს ნეტა?  
როცა ლექსია ჩემთან,  
კონტურებს ვაგლებთ ნეტარს!

ჩემი ქართული ზეცა, —  
ჩემი სიზმრების ველი...  
სწრაფვა სივრცეებს კეცავს, —  
უფლის მზერა სდევს მწველი!

რას ჩურჩულებენ მთები?  
დრო მოდის მშვენიერი ?  
ლექსიაც შეესხას ფრთები,  
როცანს ბუბუნებს მრევლი!

მიხმობს ზღაპარი გრძელია:  
ნავში გაგანდე ტალღებს...  
მინდიასავით ვძლევი, —  
მიგხედო ზგრებს და ბალებს.

## ერთის მწერლის მთავარის, ილია მეფეს

დიდი ძლიერი ხარ ღვთისაგან,  
სასიქადულო შეიღი.  
ერს სად სჭირდები, იქა ხარ,  
შენი რწმენით და წვლილით.

კრძალვით გემთხვევი შენს კალთას,  
სტრიქონთ მოგიძლენი რიდით.  
შენ იწყებ ეპოქის ათვლას,  
ხარ ცის და მიწის ხიდი.

რწმენა სულს განძად რაც ახლავს,  
შენით ვარ ასე შშვიდი.  
წრთველად გილოცავ წელს ახალს,  
იყოს მშვიდობა ირგვლივ.

ვარ არაგველი, უბრალო,  
ერთი ბატარა ქალი.  
ვარ მაღლიერი უბალლოვ,  
რომ მწვავს იმედის ალი.

სიწმინდევ ქართულ ჯიშ-გენის,  
სახელ-დიდებავ ერის.  
მე ჩემებურად გიმდერი,  
ვერ მოგეერიოს მტერი.

დამცქერის შენი ხატება,  
ძალა მეძლევა ძლევის.  
უკვე თენდება, ნათდება...  
სხვა საქართველოს გელი.

## ამ ცის ღა მიწის

სხვაა სურნელი ქართული მიწის,  
ლოცვა შაშათა – წმინდა.  
სიგრცეებს ჰყვეთაგს, მერანი მიჰქის,  
ჰანგები ყოველ მხრიდან!

ბრწყინავდეს ჩემი ქვეყანა მზითა,  
ოი, რა ძალუმ მინდა!  
„მოთმინებითა შენითა...“  
ხმაა მშობლიურ ციდან!

## ლიტერატურა

დაბადების დღეს გილოცავ ლექსო,  
სიმთა უღერაა ახალ ნოტების.  
პეშვი ვარდის წყლით უცებ ამევსო,  
მამულს კუმლერო, ვიდრე მოგეგდები.

## მენს ცას

ჩემს საქართველოს უფლისგან ნახატს,  
ვესაუბრები ჩემეულ გზნებით.  
ვლოცავ, კონტურებს ვავლებ სულ ახალს,  
ზეცის თაღები ავწიო ზევით.

ან ვინ ჩამიქრობს იმედის ლაშანის,  
თვალს არ ვარიდებ ღვთისმშობლის რიდეს.  
მრავალჯერ ვძლიერ დაგეშილ აფთარის,  
აღგეთს ღეპვები იზრდება კიდევ.

თუნდ კვლავაც მტერი მრისხანე მოდგეს,  
ჩვენი წალეკვის ჟინით და რწმენით.  
ვერა, ვერ მოსპობს ჩემს მამაც მოდგმას,  
და სიდიადეს ქართული ენის.

ძველ ნაფეხურებს შზის შუქი ასდით,  
მოდის დავითი, შოთა, თამარი.  
მრავალუამიერ, მამულო ასგზის,  
შენა ხარ ჩემი ფიქრი მთავარი.

შენს ცას გარს კვლავთა კრებული შვენის,  
არ მოჰკლებოდეს ბულბულთა სტენა.  
სამშობლოვ, შენ ხარ ჩემი სიმღერის  
ნანატრი ჰანგი და აღმაფრენა.

## ღამამწერლობა

ამობრიალდი, ამოციალდი,  
გადმოაფრქვიე შადრევანები.  
მუზავ, გაფანტე ელდა, წყვდიადი,  
და შემაწიე ძალი სამების.

გამაკაფეინე გზიდან ბარდები,  
სხვა შემართებით ავყვე აღმართებს.  
ცა დამახურე შენი თავდების,  
აპრილის ეულ გზებით ამანთე,

ესმის ჩურჩული წყაროს ანკარას,  
ელის დარეკგას ცისკრის ზარების.  
რად არ თქნდება, ნეტავ რად არა,  
შემომანათოს ლექსმა თვალები?

დამამწყალობე, დამამწყალობე,  
ექო ასკდება კლდეებს, ქარაფებს.  
სიმღერა მინდა, მარად ვგალობდე,  
მუზავ, მირონს გთხოვ, სხვას ხომ არაფერს?

ვით მოგვლო აბა წუთისოფელი,  
უშენოდ ვგაფარ ყვაფილს მოცელილს.

## სანთლის შედგენი

დღეებს დგთის მიერ გათვლილს,  
სწორად ვხარჯავდეთ უნდა.  
ეს ცა, – საუნჯე ქართლის  
გულით დაგვქონდეს მუდამ.

და... აბა, დაგვრიათ დაირიას,  
რა სჯობს ფანდურის წერიალს?  
ცეკვავენ დღეს სხვანაირად,  
შეხედეთ სანთლის ბრიალს!

გუშინ ვესტუმრე იყალთოს,  
ჩოქვით მოვივლი გელათს.  
გფარავდეთ, ძმანო დგთის კალთა,  
ბედს არ ვემონოთ ელამს.

15.12.2009

### ტაცრა ღუღუნი?

(პუტინის ბავშვობის წლები აქაა,  
— კასპის რაიონში. ინფ. წყაროებიდან)

წამით არ ხუჭავს ეს ღამეც თვალებს,  
ო, რა მჭოლია მთათა ძახილი.  
ურბენს გათოშილ ფიქრის ტრამალებს,  
მტრად რომ მოგვექცა აქვე გაზრდილი!

გამოვიგონო რამე წამალი,  
გამომეპირა სიტყვის მახვილი.  
რომ დავიბრუნოთ ჩექნი სამანი,  
ჩემს ერს მშვიდობა, ყოფა ნამდვილი.

როსლა სხივები აბა, გაშეაშა? —  
ან ლექსებს ფრთები ნიავის დარად?  
მხოლოდ ყიჟინა ბრბოთა, ყაჩალთა,  
მსხვერევა და ნგრევა მთასა და ბარად.

მხოლოდდა მოთქმა, მხოლოდ გოდება,  
მიწამ მიიღო ძმათა ცხედრები ...  
შეჰკრან კამარა ცაში ორბებმა,  
როსლა ღუღუნი ხელზე მტრედების?

19.10.2008

ჩემს მშობლიურ სოფელ ცონჩას  
(მას ახლა გადმოსახლებულს  
ახალი ტონჩა ჰქონდა)

რბიან კლდეზე ჩანჩერები,  
შრიალს გისმენ ხატის ტყისას.  
ჩემს ბავშვობას ეძახიან,  
რომ მეულობენ იმავ ხმისას.

აღარ ცაზე ფერთა ცემბა,  
აღარ ცხოვრობს დღეს იქ ხალხი.  
გამოკეტილ სახლთა თავზე  
ნისლები წევს მეტად თალხი.

სიზმრებშიც კი დაცლილ სოფელს,  
გსტუმრობ ხოლმე ცისფერ ეტლით.  
დავტრიალებ მამის საფლავს, -  
ცხონება მას დგთისგან, მეტი...

საღაც დაგაღ, თან დამყვება,  
ის ჩურჩული მთათა, ამო.  
ხმა დედისა მენატრება: -  
„ისეგ გაკვეთილებს სწავლობა?!“

აღარა მყავს ჩემი დედა,  
აღარც ის და, აღარც მმები.  
მიიბარა ახალ ტონჩის  
მიწამ მათი საფლავები.

ტონჩაში გარ მთელი არსით,  
ოცნებას იქ გეგებები.  
და სიცოცხლეს თუ დამაცდი,  
ღმერთო, ამას გეგედრები.

## გორელი შალიკაქელი —————

კვლავ შემასვი ის შარბათი,  
გამომასხი ფრთები ლაღი.  
იქ მამყოფე, იქ, ჩემს სახლში,  
ერთი კვირა და შაბათი.

კვლავ ავსებდეს ურიამული  
ფუძეს შინაური ხალხის!  
აფრიალებს ქარი კარებს,  
ცხოვრების წიგნს ეზით ფურცლავს.  
იმ მთებს ჭხატავ, ფერთ აკვარელს,  
ტონხის ცით და მიწით ვსუნთქავ.

### გვატომიურნ სამანთ თამარის

დაუწყლიანდა თვალები,  
არ ამიტირდეს რითმა.  
გათოშილ, განაწამები,  
ცას უსგამს ათას კითხვას.

ვინ აურია გონება,  
არძინბასა და ნიხასს?  
ან გული „ძმებმა“ ოსებმა,  
რად გაიხადეს ქვისა?

ეს სისხლიანი ქარები ,  
იგრიალებენ დიდხანეს?!  
ღვართქაფი, ნიაღვარები,  
დუშმანის ყოველ მიზანს.

მაღამოსულნი სულ მაღე  
ერთურთს დასცხებენ მგონი!  
დაუბრუნდებათ უკანვე  
სუნი დენთის და შმორის.

18.20.2008

## უღებება

ღმერთო, გამოცდა გვაქმარე,  
ჩაიცხე უინი წყროშის.  
ეს სალამური გავთაღე,  
ღერწმით ცხინვალის, გორის.

ციური ცვარი დამეცეს,  
ხმას შეეცვალოს ტონი.  
თუმცა გადაწვეს, დალეწეს,  
მაინც შენდება გორი.

წყარო გადმოსხევფს ან კარა,  
მთის ძირას მწვანე მოლი...  
გვექონდეს სამხნევე და ძალა,  
ჩვენი მამულის მოვლის.

ღმერთო, ნათელი ჩვენს სავალს,  
დევნილთა ფუძე-კერას.  
სულ ვეძებ ყამარის წამალს,  
სხვა ფარ-მუზარადს გკერავ.

18.10.2008წ.

### წეთმა

აფრიდალებს ჯვერიან დროშას,  
მონაბერი მთიდან სიო.  
დაჩოქილი უხვ მირონს გთხოვ,  
მამულისთვის ქაშვეთს, სიონს.

წუთმა: – ამინ, ამინო და...  
შემეფეთა ასი სხიფი!  
ჩვენ ერთობა მუდამ გვქონდა,  
ამავ რწმენით მტკიცედ ვივლით.

მთაწმინდიდან ერის მამა  
უინით რეკაგს ცისკრის ზარებს.  
ხოგბას ასხამს ყველა მამაცს,  
დიად მიზნებს გინც ატარებს.

ჩემს ღამეულ ამ სტრიქონებს  
დაუბერავს ძარღვებს კვარი.  
დილით ციდან გაგიგონებ; –  
გამარჯვება თქვენი არის!!!

## ცაც, მაწვიმე უარის წეიმა

მთვარე მიჰქოა, მიიღია,  
არ მოსულა რული თვალზე.  
ეს ცხოვრება ჭიდილია,  
სულ მიდგება ბედი განზე.

ეგებ იმედს მოურჩინო,  
მოტეხილი ცალი ფეხი?  
თავს მახსენებს დრო რომ ძირიობს,  
მიჰქინის გზაზე კისრის ტეხით.

ამოქარგოს გრძნობის ჩარჩო,  
დღეთა სხივმა გულის გულში.  
უფსერულებში ჩაიკარგოს  
დარდი, ის რაც იყო გუშინ.

ბროლის ყელი მოიღეროს,  
შერჩეს კდემას ძველი ეში.  
სიყვარულმა აამღეროს,  
რაც მიმოდის ძარღვი ჩემში.

ეს თასი რომ აფილე და...  
სადღეგრძელო მარტომ შეგსვი!  
შემოაღოს კარი ბედად  
სიზმრის პრინციპა ვარდით ხელში!

ანგელოზო, ფრთა გაშალე,  
შეც ვიღოცო ჩემდა წილად.  
მარტოობას გამაცალე,  
ცავ, მაწვიმე ვარდის წვიმა.

19.10.2008

## მეგს მთბჩილება?

გადაუკრიფავს გრძნობას გულ-ხელი,  
გადაუკეტავს ურდულით კარი.  
მნელია, როცა მუზას არ ელი,  
როცა სიზმრებშიც არ გიღგას დარი.

გიტევს და გიტევს ერთთავად დელგმა,  
რეკავს და რეკავს ღვთის რისხვის ზარი.  
და... იქინებილეს ჩონჩხიან წლებმა,  
მთლად დამიმუნჯონ ვაი თუ ქნარი?

ბედს მორჩილება; სადამდე ასე?  
სალამურები გავთაღო, სტეირი.  
ფაფარს დავვარცხნი თცნების რაშებს,  
უამო ხსოვნის გადაგწვა სკივრი.

მზემ ააბორგოს კლავიში სულის,  
კვლავ მაზიაროს წუთს აღმაფრენის.  
ცას ამოევსოს ყოველი ღრმული,  
ტრფობაა ქალის განძი და ძღვენი.

არ ამიტირდნენ ლექსები ისეგი,  
მინდა რომ იყენენ ფრთალაღნი მარად.  
რომ ეპოქალურ ვარდისფერ ნისლებს,  
თაობებს ენთონ სანთლად და კვარად.

16.10.2008

## ჩემს გეცის მძიარებს

სიტყვის სიბასრეს ძალა აქვს დიდი,  
როცა ურჩხული მძვინვარებს ასე.  
და... შთაგონება სადაა იგი? –  
მისი მახვილი მტერს გულში ჩავცე?

ვერ დამიცალონ მაინც მათარა,  
წელს სად მიარჩევს რითმა ტანსრული?  
რად არ მოდიხარ მუზავ რად არა?  
ლექსით გაფაფრთხო ეშმა აგსული!

ძალუმ შემოვგრა სამრეკლოს ზარებს,  
დღეს, დღეს ვჭირდები ჩემს ერს უფრორეული.  
რით ვესალბუნო ჩემს ზეცის ბზარებს?  
კაგეასის სიო როს დაუქროლებს?

მთებს გადატრუსულთ, გაჩეხილ ტყე-ველს,  
რით მოვუშუშო წყლული, იარა?  
მისმინე, ღმერთო, ამ ფიქრთა მხეველს,  
რიურაჟმა რატომ დაიგვიანა?

ხმალი დედისა შევმართო უფრო,  
დავითის ჩრდილი მმატებდეს ძალას.  
კელაპტრად ვანთებ სიტყვას საუფლოს,  
წრიაპებს ვიცვამ, ავცქერი საგალს.

უქმად იღესავს მტარებალი ბრჭყალებს,  
განვედ სატანავ, ქირქილი კმარა.  
უნდა ვუმღერო მამულის ხვალეს,  
ჩემო ფანდურო, გაბუტვა კმარა.

მომიკაგუნე იმედოკარზე,  
უიმედობას არა და არა.  
ჰა, ანგელოზმაც დამხედა ჯვარზე,  
სიმები ერთხმად ამიწკრიალა!

### მამ, იმპიალი გულის სანთოზ

დამეულ ფიქრმა დატენა ლულა,  
აცის ვინცაა სამიზნე იგი.  
დე, ღვთისმიერი რისხვა და კრულვა,  
ვინც ერს წაართვა ცხოვრება მშეიდი.

ვინაც იტაცებს ჩვენს საზღვრებს ურცხვად,  
ვერამ ჩაუცხრო ღორული მადა.  
მისი ყველა ცდა ჩაიგლის უქმად,  
ხმობენ ზევიდან ილია, საბა.

და დენთისაგან დაშაშრულ მიწას.  
დავემხობი და დაგვოცნი რიდით.  
მთვარე ოცნების დალალებს მიწნავს,  
ჩავწევდე იდუმალს კიდეთა – კიდის.

მაში, იძრიალე გულის სანთელო,  
ზეცამ იჩქითად გახსნას კარები.  
ორბებმა ფრთებით სივრცე დასერონ,  
თავისუფლების რეკლენ ზარები.

15.10.2008

## თამაშ-თამაშა რითმები

თამაშ-თამაშა რითმები,  
ფერებს უხმობენ ხალასს.  
ისეგ უძილო ვიქნები,  
ამაღამაც და ხვალაც.

ბორგავენ ფიქრის თითები,  
განა ეძებენ აღმასი?  
ლეგენდები და მითები,  
გამიკვალავენ სავალს.

საუკუნეთა სიზმრებში  
სულ ვეძებ დავითს, თამარს;  
ამ შეძენილ სენს ხიზებში,  
მოუნახავდნენ წამალს!..

ვუახლოვდები მცხეთას და...  
მესმა ღრმა ოხვრა წუთის.  
გავუმკლავდეთო ბედს აქს და  
ნურას ნუ დავთმობთ კუთვნილს.

20.10.2008

მუნიკალი

ჩემი ფიქრის ნაკადულო,  
უფლის ხელით დახატულო.  
შენზე ლექსი და სიძლერა,  
ვერასდროს ვერ დაფასრულო.

უთდეს უატრის...

და... ჰა, შემოჰკრეს სამრეკლოს ზარებს,  
ელდის ბელტები უფსერულში ცვიგა.  
და ეთხოვება უაში გრიგალებს,  
ეპოქას, ვარდის ეპოქა ჰქევია.

დღეს ის ნეტარი მზე ამობრწყინდა,  
ერს რომ შემატა სხვა ხიბლი, ძალა.  
ღვთისმშობელი და გიორგი წმინდა,  
ჩვენთან არიან რომ აწ და მარად!

სახეცველია თავად ბუნება,  
დღეს სხივიანობს ცის ყველა სფერო.  
ჩვენ გძლიერ ეშმას, ყველა ცდუნებას,  
დღიდან იბრწყინებს მთლად საქართველო.

ზეცა საფსეა ლალი ჩიტებით, -  
უხარით ძმათა ლომგულოვნება,  
თავისუფალნი მართლა ვიქებით,  
მაში, დაგილოცავთ ახალ ცხოვრებას.

23 ნოემბერი. 2003 წ.

\*\*\*

დაე, მოდგეს ნათლის სკეტი,  
სეგდას მშვიდად ავიტან.  
რწმენა მომეც, ღმერთო შეტი,  
ლელოს თვითონ გაფიტან.

## და... ცად ისმის

დღეს მზე პირქვე დამხობილა,  
ამოაშრობს სისხლის ტბორებს.  
ცა ისუნთქებს კაყოფილად,  
როს მიგაგებთ მუქთახორებს.

.....

დარაზმულან ჩემი ძმინი:  
გაუმარჯოს ერთობასო.  
და... ცად ისმის, ვინ გართ, რანი  
ჩვენ გეპუდგნით ჩვენივ თავსო.

## რად არ აფასებთ შშობიარე წუთებს, რად არა?

რად ეღობებით სიზმარეულ ვარდისფერ წვიმებს?  
საგაზაფხულოდ ტოტზე ყველა კვირტი დამსკრარა,  
აქ, ამ ნაპირზე თვითონ ქრისტე ათრთოლებს სიმებს!!!

და... ჰა, დაწყვიტეს სურვილებმა აპეურები,  
ფიქრის მდინარე გაზმორა, ველია ფართო.  
მომწონს, მომმენო, ანთებული თქვენი გულები,  
ხვალის სურნელი ამ სივრცეებს მიტომაც ათრობს.

ჩაიდუდუნა მტკგირმა რიხით და ჩაიარა,  
მოუშუშეო ქართველს, ღმერთო, ყველა იარა.

## გოჭლი შალიკაშვილი

---

### ასალი ლექსი

მოდის, საცაა დაიბადება,  
სხვა სურნელს მოჰბერს ახალი ღექვი.  
თვით ცა, გიცი რომ გაიბადრება,  
მას ეს გულის ხმა ყოველთვის ესმის!

ჲა, მიკიუინებს წინაპართ სული,  
მათი ჩრდილებით სავსეა სარკე.  
რომ შთამაგონონ სიტყვა კაზმული,  
არ მიღალატოს გუმანმა სადმე.

აზვირთებულან ფიქრში ტალღები  
და არხევს სიო იღუმალ ფარდებს...  
დაუჭიმია ჭმუნვას წარბები,  
რას შევქმნი, განა მოგასწრებ რამდენს?

გხედავ ანგელოზს, ფრთები გაშალა...  
ლექსიც, ვით ბავშვი, ჩემთან აქ არის!

### ღგას შეა წყალმი ბორანი

რად გინდა წუთისოფელო,  
მომაკლო ვარდის სურნელი?  
ცა ისე უნდა მომევლო,  
გზად არ შემყროდა ღრუბელი.  
დგას შუა წყალში ბორანი  
და ისე მძლავრობს სტიქია...  
ისე დამჩხავის ყორანი,  
სანთელიც ვერ ამინთია.  
ცრემლი შეტბორდა რიდეზე,  
შენი იძედიც დამშრალა.  
გადასახედის კიბეზე  
გვერდით თვით ღმერთი დამდგარა!

## თენიშვილი

შხაპუნებს ისევ გარდისფრად წვიმა,  
აძლერდებიან ნაკაღულები.  
ფიქრებს გავაბამ ფანდურზე სიმად,  
თვით დროს მოურჩეს რათა წყლულები.

ცის ანგელოზი ქარგავს ცის ფარდას,  
ღვივის, ბურბურებს ბუხრის ღადარი.  
ღვთის სასწაულის ყოველთვის მწამდა,  
იგი ამ წუთშიც, ჩემთან, აქ არის !

მზერა იქ მრჩება. ზეცის დაფაზე,  
ვიცი, ამოქსნი იღუმალებას.  
ყრმა იბადება დავითის ხმაზე,  
ცით ჩამომახეს წმინდა მამებმა.

თენდება, ჟინით ყიფის მამალი,  
დაოსებულა ქარი, თავნება.  
მინდა ისეთი დაფწნა ქამანდი,  
რომ ცის და ბიწის ხიდად გავება.

ჟანგისფერი დღეები და წლები,  
გარინდული მათთვის შავი ჩარჩო.  
ახლა სხივი, ერთი სხივი შვების,  
ერმა ჰპოვოს გზა-სავალი ფართო.

თმენა უპვე ახრჭიალებს კბილებს,  
აჭრიალებს ქარი ზეცის კარებს.  
სტრიქონები დამიჩუმოს გიმებ,  
სანამ გრეგავ ბეთანიის ზარებს.

ფიქრის კედლებს ყდენთავს სუნი სანთლის,  
ხელი ეძებს გაოგნებულ კალამს.  
ძალას იკრეფს, ცხრა დამბახას დაცლის,  
მაინც ნახავს უფლისა კენ სავალს.

ტაატით სვლა არ სჩვევია თეთრონს,  
ჭიხვინებს და სწვდება კიდით კიდეს.  
იაღლუჯ ზე ჯვარი მარად ენთოს,  
დილის ცვარი ამშვენებდეს რიდეს.

ჰაერი ხომ უნდა ქალაქს სუფთა,  
ვინ გაჩეხა გზად ალვების მწკრივი?  
შევლაღადებ მამულისთვის უფალს,  
მცხოს მირონი, ჩავდო ჩემი წვლილი.

ამინდები შეშლილი და გრილი,  
ცის იღუმალს, ვიცი, რომ ფლობს მცხეთა.  
ვაყურადებ სიურცების კივილს,  
ზეგანიდან ჩრდილი მოპქრის ჩემთან,

და... ჰა, ხილვებს ხილგა შეეფეთა!  
რიალია, რიალია ფერთა.

## თამარის ლოცვა

საუკუნეთა გადასახედთან  
დგას, მიშვერს მეფეთ-მეფე თამარი.  
ფიქრობს, რა ნისლი ჩაწეა აღვებთან,  
საქართველო ჩემი სად არის?

და... აღიმართა როს ნათლის სტეტი,  
მერე ერთბაშად ამაღლდნენ ბჭენი!  
ის ფეხშიშველი მოდის უეტლოდ,  
ლოცვას ტაძარი მის ბაგით ელის...

შეწყვიტა ორგვლივ ყოველმა ბორგვა,  
და თრთის, ცახცახებს ლოდინის სიმი.  
მესმა: - ჩემს ჯიშსო დეთით როდის მოსდგამს,  
თავისუფლების ჩაიკლას ჟინი?

ცრემლი გადმოს კდა მისეულ სამანთ,  
დაჭრილებს შიდა ქართლს და აფხაზეთს...  
ლოცვა თამარის ისმინა ცამაც  
და სწამს, განგება მტერს რას დამართებს...

მძიეს ცხადისეულს თვით ვეინძავ ახლა,  
დგას ანგელოზი მისეულ რიდით.  
თუმც ცდილობს მტერი ნაპირზე გასვლას,  
ჩანგრეულია ყოველი ხიდი.

## გოქლი შალიკაშვილი ————— მამის ხსოვნას

ფიქრებს დაეძერათ ყელი,  
ზღაპარი მოუნდათ შენი!  
ახრჩობთ მონატრების ცრემლი,  
დგანან, მდუმარებენ ხენიც.

და ოხრაგს ღრმად ჩვენი ტონჩა,  
ტირიფი და კლდეში წყარო...  
ეგ ჩრდილიც აღარსად მოჩანს,  
ლექსებით კვლავ გაგახარო.

ბარბაცებს ცის კიდე-განი,  
რაღ არ მესიზმრები მამი?  
რაღაც ჩიმჩურჩულა ქარმა...  
შენ ხომ არ იყავი, მამა?

— არაო, — მიბასუხა წამმა, —  
თან ჩაიქირქილა — აემა...  
სარკმელზე კავუნი ავდრის  
ამ ფიქრებს გულს უღვთოდ დადრის.

### ანგულობი

ა჊ა, მოფრინდნენ ანგელოზები,  
ძალა ვიგრძენი, ძალა ძლევისა.  
ციდან ახალი ხები რომ მესმის,  
ბედს, ბედს მამცნობენ ჩემი ქვეყნისას.  
დავიბადები, აღბათ, მეორედ!  
შემდეგ ეს მთებმაც გაიმეორეს...  
და... ბრწყინავს, ბრწყინავს აღსავლის კარი,  
ნუმც მოგვეშალოს იმედი ხვალის.

## ისე თთვეს, ისე შატრის

მერთალი მიხაკის დამჭერარი კონა  
გადასაგდებად ჩავაგდე ყუთში.  
მინავლებულა ჭიაკონა,  
მაისს მოსავდა სხვა ეში გუშინ!

ვერ გამაოცებს ვერც თვე თიბათვის,  
თვალს აეფარა მარაოდ დარღი.  
ო, რა ცივია, შუბლი კვირა დღის...  
სულში ისე თოვს და ისე ბარდნის!...

## ნაკარულის ჩურჩული

ღრუბლებს ზემოთ... ცათა ზემოთ,  
ნეტავ ერთხელ მეც გამეგლო.  
და ოცნების ღურჯი ფატა  
სულ სიზმრებში არ მეხატა.

ეჭ, ჩურჩული ნაკადულის  
შთაინთქმება უმალ, უცებ!  
რადგან ქარი გარე უგლის  
გრძნობის გამჭვირვალე ქუჩებს.

## მიხეილ საავაშქილას

რადგან გიპტრია ხელთ მახვილიც,  
ძლიერი კვერთხიც,  
დროს, დროს აუწყე ნაბიჯები,  
გფარავდეს ღმერთი.  
ხარ კირითხურო, უშიშარი,  
მებრძოლი მართლაც  
და არ შეგშლოდეს, მტრის ჯინაზე,  
არასდროს გათვლა.

შენ შემოგყურებთ ჩრდენითა და  
იმედის თვალით,  
მაში, მოგეხადოს რაინდულად  
მამულის გალი.  
ქვეყნის გაძლოლა დავითისებრ  
დე, ხელგეწიფოს,  
ბედნიერება დაუშკვიდრდეს  
შენს სახელმწიფოს.

რისი თქმა უნდა ნიავს?

რისი თქმა უნდა ნიავს,  
ელაციცება რიდეს.  
ფრთები რომ ზემო მიაქვს,  
დაღლილ მთებს შვებას ჰგერიდეს.

ფანდურს გამაბას სიმად,  
გულზე აღარა წვიმდეს.  
დაჭრილ მთებს ჩემდა წილად,  
მიგუალერსო კიდევ

ჩაგხვდე იდუმალს მტკვარის,  
ქარი აგრძელებს სტვენას...  
დამცქერის მცხეთის ჯვარი,  
გადამიმოწმოს სმენა.

ფრთებს ისწორებენ ორბები,  
ბეც ნურვინ მიცქენს ცერად.  
ჩემეულ ლექსის ბორბლებით  
მტერს გადაგუგლი, მჯერა!

### ამ ლეტჩბის ღირთი

ასე შემართულად,  
ასე გულფიცხელად,  
მიგყვები აღმართს და მისწრებენ რითმები.  
ღრუბლიდან თუ ოდნავ  
მზემ გამოიხედა,  
ღვთით, იქნებ დაგვიღგეს კარგი ამინდები?

ყანასაც გავლეწავთ,  
მოვუგლით სიმინდსაც...  
ცას ესმას ხმა ოლონდ, ხმა საქართველოსი.  
და...ვდგავარ ტაძარში  
მე ლოცვად დილიდან,  
მწამს, მხედავს უფალი ამ ლერწმის ლერთი.

## თეთრი გთტბალი

თეთრი გთტბალი კალთაზე ოცდის,  
გზნებით შემოსცერს ყაისნაღს ხელში.  
რომ შეგასრულო მოთხოვნა რითმის,  
მთლად გათოშილი კართან რომ ხენეშის.

ჰაერი ციფი ბრუნავს და ბორგავს,  
სისხლი ნაპირზე დაჭრილი გედის...  
ცად ეს ღრუბლები ცის ლოდებს მოჰვავს,  
იქნებ და... სტკიფათ სამშობლოს ბედის?

მგონი ეს მთები ხვდებიან გუმანს,  
ციდან წამოვა ახალი თქეში?  
დღეებს სხეულებს ლექსი განკურნავს,  
გულს დაუამებს ეპოქას შეშლილს?

აღარ აშორებს ცის თვალი მზერიას,  
ძაფის გორგალს და ყაისნაღს ხელში.  
ვაჟას ლანდია, რომ დაგვცერს მწველად; —  
გასწორდებაო შამული წელში.

თვალს მოაგლებს შთაგონების კერიას,  
ტილოს მაწვდის, დავსვა ფერიფერში.  
აქ დგას გაეა, არ წასულა ჯერაც.  
და... სრიალებს ყაისნაღი ხელში!

24.01.2009

### ჩემი ლალი (ემიგრანტი)

ფიქრს, კალთაზე შშვიდად მფეთქავს,  
მოსმალვია წამით რული.  
შენ მეზმანე უმაღ „დედა“,  
შენც გტკიოდა ჩემი წყლული.

და... ცახცახებს სიზმრის ქარგა,  
მოლოდინში ნეტარ ხვალის.  
გაიხუროს კარი დარდმა,  
აქ ვხედავდე ჩემს შვილს – ლალის.

დაუბრუნდეს ძარღვებს ძალა,  
თავს მახსენებს ქვეყნის ვალი.  
ცავ, ხომ ისმენ ამ ხმას ალალს, –  
დამიბრუნე ჩემი ლალი!

... სიზმარი რომ აშრიალდა,  
გაახილა დილამ თვალი.  
ამაღევნა ცელქ ნიავს და...  
ჩაბახუტა ჩემს შვილს – ლალი!

27.05.2008წ.

## უატსულავთ უგრალვი

ეს ანარეკლი ცის ფართო შუბლის,  
თვალთა ტილოზე სრიალი ფუნჯის.  
ზეირთა შფოთვა თუ ტალღათ ხმაური,  
დროის დინების აურ-ზაური;

ეს უნაპირო პორიზონტები  
სიგრცეთა თქერა ცისფერ ორბების...  
მჩეფარე ძალა ძარღვში ძლევისა,  
გზნება და ჰანგი ამ სიმღერისა!

თრთის ჩემეული ჩარჩო ღექვისისა,  
ასგზის მადლობა ნებას ღმერთისას.  
ნერგებს რომ მირწყავს ციურ შხეფებით...  
ცის თაღებს ხელით თუ შევეხები?

ჟინა ხმობის ახალ ნოტების,  
თეთრ კლავიშებს რომ მიადნა მზერა.  
და შრიალებენ მთვარის ტოტები.  
„იმ“ ცისფერ მდელის ქარგავენ ჯერაც?

ვარსკვლავთ ავხედავ კრძალვით, იჩქითად,  
რად ვერ მიმხდარან, ვმღერი რისთვისაც?

21.05.08წ.

## ამ კალაბის

შენი თვალები მოჰყავს ჩემს თვალებს,  
 დაზერო სიფრცე, კუთხე-კუნჭულია.  
 ეს აღმართები აფლიოთ მაღე,  
 მოგსრათ მაცილი, ყველა ურჩხულია.

ჩვენ ჩვენეული ფარ-მუზარადი,  
 აგისხით ჯერაც დიდი ხნის წინათ;  
 ერთურთს ვუძახდით: – აბა, გამაგრდი,  
 მამულისათვის თავსაც გავწირავთ.

აგერ, როს ისმის ტალღათ დგაფუნი,  
 მივაყურადოთ. ჩავეწნათ ფრთხილად.  
 ჩვენებრ დავადოთ აგურს აგური,  
 ხან ავწერიალდეთ ჰანგად და სიმად.

ო, რა შორია მიწიდან ცამდე!..  
 არ მინდა დასცდეს წუწუნი ბაგეს.  
 ბრძოლის სახმილი მარადის გაწვავდეს, –  
 გრძნობა ზეციურ კოკორს რომ ჰგავდეს!...

პეშეს რომ შეგუშვერთ წყაროს ანკარას,  
 ორივეს ცისკენ გეჭირივეს თვალი.  
 ფიქრი მოივლის მერე სად არა,  
 გადავიხადოთ ამ ქვეყნის ვალი.

გიყვარს კერია შენ ჩემი ოდის,  
 ორივს გეხვევია ფხიზელი ძილი.  
 გიცით, როგორი თაობა მოდის,  
 და... რა მოგვიძღვის აქ ჩვენი წვლილი?

კალამო, ჩემები ზომით პატარავ,  
ე, მაგ ფილტვებით მეტადწე ფართო.  
რწმუნის ფარ-ხმალი ვერგინ აგვიარა,  
ამ მიწის გოჭიც არად არ დაგთმოთ.

მატარებინე გრძნობა პირსაგსე,  
ღექვისის სურნელით ქართული ეშნი.  
თუმცა შხამის სამსალა მასევს,  
ვიღაც მეორეს ეძებდნენ ჩემში.

გვეწევა ხები ხელეთით, ცითაც, —  
მთებს ჩვენებური ვუთხრათ სალამი.  
ამოვთქვათ მხოლოდ მართალი სიტყვა,  
ზენიტებს გასცდეს სუნთქვა ალალი.

გართ სიყვარულით რაოდენ მთვრალი !..  
ძიება გვიპრიბს ფერთა-ფერების.  
ყოველ იდუმალს ჩატვდებით ხეალის,  
გვწამს და... ნაღდ ქართველთ ვესიმღერებით.

### ღუღუნს იწყებს

თვალს იტაცებს დილის ცვარი,  
მთებს ზედაზნის ზედ აღნება,  
მირონს აღვრის მცხეთის ჯვარი,  
რას უშზადებს ქართლს განგება?

ღუღუნს იწყებს ხელზე მტრედი,  
ფრთხებს გაშლის და გაფრინდება!  
ჟინს ჩაცხრიბს ძველი ელდის,  
ფერთა ფერი გაიფრქვევა!  
მამცნონ ციდან მამათ ხმებმა:  
საქართველო გაბრწყინდება.

## ღების ხათვნას

არ დასცდენია ბაგეს სიმღერა,  
ფიქრის ყელს არა, დედა უშენოდ,  
ეს შენ მასწავლე ცის ასე მზერა,  
მის ბზარებს მინდა რითმე ვუშველო.

ცის ძალთა დასი აქა დგას ჯერაც,  
გადამიმოწმოს ხედვა და სმენა.  
სული შენი ხომ შემომცემს მწველად,  
გაფუმკლავდები გრიგალებს, მჯერა.

შენ რომ მოგწონდა დედა, იმ „ფოტოს“,  
(რომ გადავიდეთ ოცი წლის წინათ)  
ვეჩურჩულები, მინდა სულ ვკოცნო,  
და აწვიმს, აწვიმს გულს ასე წვრილად,

რომ გადმოდიხარ სიზმრის კედლიდან.  
სულ შთამაგონებ, სულ რომ მარიგებ.  
დე, ამა სოფლის მრუდე წლებიდან,  
შენებრ ნათელი კვალით გაწვიდე.

დამუნჯებულან შენი ღექსები, -  
შენი სუნი აქვს რეეულს და სტრიქონთ.  
ჩვენი ტონხა და სამების მთები,  
შენს ჩრდილს ეძებენ, მე ასე ვფიქრობ.

27.05.2008

## ჩუმი ჩუტჩული

ნება - სურვილმა დაანთო ცეცხლი,  
შემიკეთეთო, გთხოვთ, კიდევ ერთი.  
მცხეთასთან მტკვარის რომ არაგვი ერთვის,  
იქვეოცნი ხოლმე ნატერფალს ღმერთის.

სახიერობენ იქ კლდენიც თითქოს  
და ახელებენ სხვაგვარად ზეირთებს.  
იმ ნაპირო ხმობას სული სულ ითხოვს,  
იქ ჩაგრძე ხვალის იდუმალს, იქნებ?;

ღვივის, ბურბურებს, ღაღადებს ცეცხლი,  
ცას ნაპერწყალი უხვად დასცვივდა,  
ყოფას ახალი ცხოვრებით შეცვლის?  
(აღარც აჩრდილი ნაღდი კაცისა!)

ჩუმი შერხევა აკაციების,  
მოზღვებიათ, ვატყობ, სათქმელი!  
ჩუმი დასტური ჩუმი იების:  
რომ ქართველობდეს ყველა ქართველი....

კვნესა, გოდება გაძარცულ ფიჭვთა,  
ის... ძველებური ყმუილი ქართა,  
და... მისდევს მზერა ქარაგანს ფიქრთა,  
მამულის ბედზე რა უნდა მითხრან?

25.05.08.

## ამ გელით

ცას დაუკარგავს ფერები,  
ფერები, შზის ნაფერები.  
მათ მთელი ჟინით ეძებენ.  
ქართლის მთები და ვეღები.

გაუძარცვიათ ზერები და  
უხექვეშ გათელეს მტევნები,  
ელდა ეშვება ზევიდან, -  
ხორხოცი ურჩხულ-დევების!

მოსრა სწყურიათ ჯიშ-გენის?  
რას სისინებენ გველები?  
აქ მყვანან დაგითის ძენი,  
გარეკონ სისხლის მსმელები.

რით მოვუშუშო ჭრილობა,  
შევუშრო საზღვრებს ცრემლები?  
მინდა ცას მივცე პირობა,  
მოვზიდო ვარდის ფერები.

ღვთისგან მაქვს ნიჭი, უნარი,  
ამ ლექსთა ასიმღერების;  
რწმენაა ყოვლის მკურნალი,  
მაქვს მაგიური ხელებიც.

ვაჟასეული ქვაბი დუღს,  
შიგ ყრია ხორცი დევების...

## გოჭლი შალიკაძეობლი — ალექსანდრე ყაჩიშვილი

შეითამაშეს ქართა თითებმა  
და თრთოლვით დაჲკრეს დღეთა დაირას,  
შენმა ზღაპრებმა, შენმა მითებმა  
ცა დამანახვეს სულ სხვანაირად.

სულ სხვა შუქი აქვს შენეულ სანათს, -  
დასტური შენივ ყაზბეგის მთების!  
რით დავაფასებ ამ შენს დიდ აძაგს?  
შენს სანახებთან სუნთქვა მაქვს შეების.

მადლი მეღვრება შენი „მოძღვრისა“,  
რომ მიორმაგებს რწმენას და ძალას.  
და ამ ბრუნვაში დროის ბორბლისა —  
ვინ ვარ, შევეხო შენს გრძნეულ კალამს?

ზე იწევიან ამ ცის თაღები,  
შენს დასახატად მომიხმობს ფუნჯი,,  
ჩემთან ხარ შენი იალაღებით...  
არ გესიმღერო? ვით ვიყო მუნჯი?

გზები ახალი ახლა იწყება;  
მიმოუარა შენმა ხმამ ძარღვებს.  
ხარ შთაგონების თავდაგოწყება,  
და... გასცემს თვალი გარდისფერ საზღვრებს.

აქ დგანან შენი გმირები მწკრივად,  
რეკენ ზარები ხევისბერისა.  
საუკუნეთა ბრძღვიალებ მძიგად,  
სუნთქვავ და მჩრამსო გულის ძგერისა.

26.05.08

## უფალი, ღრუბლების გურით

მუზას დაღარვია სახე.  
უთორთის ნერვიულად ხელი.  
დროს უტევს, დროს, აღძათ, თაჭხედს.  
მათრახი დაუწიავს გრძელი.

ტრიალებს აჩრდილი თარსად,  
სისინც რომ გამოსცემს გველის.  
სად ხართ, გარს კვლავებო, სად ხართ? –  
მითხრათ – ერს რა ბედი ელის?

ზარები ატექენ განგაშს,  
ოხვრაა ღატაკი ფენის...  
ელდა არ სცილდება წამწამს,  
იცლება ქართული გენი!

საზღვრებს რომ აურულებს, საზღვრებს,  
შველას მთხოვს სოხუმი, გაგრა...  
ყაჩაღთა ყიჟინას ამდენს  
ვით ვუძღებო ცხინვალში ანდა?

ზმანება მშანთავი, მწველი,  
აქ დგას და არ მიდის არსად,  
უფალი ღრუბლების ზევით,  
ვხედავ, რომ პირჯვარსა მსახავს?

## თამატის სამანთ

როდი ვიგონებ სახეებს ღექვსში,  
მოდიან ხოლმე ჩემაძლე თვითონ,  
უაში სულმრუდე, ამ წვიმის თქეშით,  
წაფა, გადივლის, მე ასე ვფიქრობ.

წამოვაყენებ გათელილ ვარდებს,  
ნაზად ვეპკურო კვირტებზე ცვარად.  
მოიცილებენ მთებიც შავ ნაბდებს,  
მომანიშნებენ ხსნის გზას და შარას.

შიმშილი დადის მთასა და ბარად.  
ცა ვეღარ ითვლის ქართველთა ზარალს.  
ღმერთი მასებს მავანს და მავანს...  
როგორ ღეჭავენ ხხების ლუკმას არამს?

ჰოი, ცდუნებას დაუღეს თვალი,  
მათთვის უცხოა მამულის გალი.  
თვალს არიდებენ ქაშეთს და სიონს,  
ვაი თუ... აღრევენ პეტრეს და სიმონს?!

უეხშველი წაგალ იყალთოს, გელათს,  
იქ ვეჩურჩულო ზვიადს და მერაბს.  
გულზე მტლად ვედო თამარის სამანთ,  
ამ ბეწვის ხიდზე, მწამს, მაინც გავალთ!!!

## ღვთისმშობლის საცთან

გაეშის ისრებს დაფეხალო, წავიდე უნდა,  
ღვთისმშობლის ხატთან ვილოცო და სანთლად ავენთო.  
მე როდი გეძებ მარგალიტებს, ან ოქროს თუნდაც!  
ფიქრით მზეს გელტვი, ის რად მტოვებს მე უალერსოდ?

ცხოვრების ბილიკს მივუყვები ძიების უინით,  
ზურგს მითოშავენ შარიანი ჟამთა ქარები.  
სან თუ მაქვს ხოლმე ღვთის წყალობით წუთები ხილვის,  
შვებით სუნთქავენ მთიულური ჩემი ქნარები.

და... თუ, მცირედით მაინც რამე ქვეყანას ვარგე, -  
თუ საქმით ქველით ჩემს ლექსებში ზოგი გადიდე...  
უფალს მადლს გწირავ, ხვალის გზებზე იმედის თავდებს,  
ხუთჯვრიან დროშით ცის და მიწის ხიდზე გავიდე.

## სიცლუა

არტახებსა გლეჯს სიტყვა გრძნეული,  
სიტყვა უტეხი, თვალებბრიალა.  
თვით ეშმასგანაც გერ დაძლეული,  
მოდის ამაყად, ომახიანად.

წუთმაც გაშალა თეთრი აფრები,  
წუთი სხივოსნობს სიზმარეული.  
დილა სისხამზე ლექსით ავდგები,  
თმენით მიმელის ჩემი რვეული.

და შეგკრებ სიტყვებს, ჩამოვქნი სანთლად,  
ხანაც ხმალიგით მოვიქნევ მძიმედ.  
ჩემო ქვეყანავ, როგორც გულს მართალს,  
შენთვის აგასხამ ლექსების მძივებს.

## ბოჭლი შალიკაძელი — ლექსის ცეტნელი

მე გაციებულ სიზმრებს შემოვრჩი,  
თავზე მემსხვრევა ყინულის ღოლო.  
ლექსის სურნელი მაბრუებს მხოლოდ,  
გმადლობ, მუზავ რომ დროზე შემომხვდი.

ჭია კოკონა ამიბრიალე,  
ღაწვებს წაჲკიდე ის ძველი ალი.  
რომ აგმა თვალმა შემხედოს კრძალვით,  
ქარბორიბალა დროს დაატრიალებს.

ერთად ვეომოთ ნისლიან ფიქრებს,  
ეს ცხოვრება ხომ ერთი წამია!  
ისედაც მრავალ სატკივარს ვითმენთ,  
ხმალს არ ჩაევაგებ, რა ვქნა, ძამია.

### მსოლოდობა ურთისესობა

გაქვავებიათ ამინდებს გული,  
სხივი მიწაზე არსად კიაფობს.  
მდინარეც ნისლით გადაბურული,  
უტყვიაბს, ხვალისას არას მიამბობს.

მხოლოდღა ექო გარდასულ დღეთა  
შლეგად ასკდება მთებს და ქარაფებს.  
ეულად ვდგავარ ბობოქარ თერგთან  
და გზომავ მანძილს ზეცის კარამდე.

## გარდაცვლილ ღიმილს

ღრმ მოფშენებილა ხელის გულებში,  
სასწაულის ცდის დასრულდა ხანა.  
მტერი ჩასულა სალამურებში,  
გერ შევთავაზებ სიძლერას ხალას.

რით განუგეშო გრძნობა ფაქიზი?  
რით დავუამო ანდა იარა?  
შენი იმედი არ მაქვს, არც რისი,  
მიგყვები ბილიკს ბედის ზიარად.

გემშეგიდობები გარდაცვლილ ღიმილს,  
სეგდის ფიფქებად ზეცა იცლება.  
ვთლობ საიდუმლოს ფანდურის სიმის,  
რევით მანიშნებს: – დრო შეაცვლება!

ქარი კი, ქარი, აგრძელებს ქირქილს!  
რისთვის სწირავო მსხვერპლს, რისთვის, რისთვის?

## ამ ღაგურიშვილის

ერთთავად ჯანღი, ერთთავად კვამლი,  
მმიმედ ოხრავენ სივრცენი, ბჭენი.  
ფიქრს ცის აღმართზე გასცესრენ ავლილს...  
რას ჩურჩულებენ დამზრალი ხენი?

წუთისოფელი წევისაა, ჰოდა...  
მტრისგან რომ ვიხსნათ ქვეყანა ჩვენი;  
შევადუღაბოთ მაშ, მტკიცედ მმობა,  
არ დაგვავიწყდეს, ვინა გართ გენით!

სიცელუათა ღასი

წიგნია მთელი არსება,  
შიგ სანთელიგით ვიწვი  
გული მხოლოდ აქ თავსდება,  
საცნობად მოყენესისთვის.

ყველა წავა და დარჩება  
ის, რაც ღვთის სანთლად იწვის;  
ოცნებას გაშლილს აფრებად  
ერთვის სურნელი მიწის.

მინდა მოვასწრო სათქმელი.  
სანამ მომისწრებს ბინდი;  
გხატავ ამ ცათა ხავერდებს,  
მხიბლავს ინდი და მინდა.

სიტყვათა დასი მეძახის,  
ტკბილი სიმღერით გართულს.  
გუშაგი ბადის, ვენახის,  
გუმღერ ყველაფერს ქართულს.

## მთვება

ცა კიფის, ქარი გრიალებს,  
შეაბარბაცა მთები.  
მთვარე კი მოთქეას იმავეს,  
ჟინს ვერ ვხსნი ამინდების.  
ყანებს სულ გაატიალებს,  
ქარი რომ გაშლის მგლავებს,  
მკაცრი დრო-ჟამის სიავე,  
დამიშსხვრებს ზღვაში ნავებს.  
საღლაც ჭიხვინებს მერანი,  
ზეობს ყაჩაღთა ხროვა...  
ვერ გაექცევა ვერავინ,  
გან კითხვის ჟამიც მოვა!

## აღარ გამოიღარა

შემოდგომის სუსნია,  
გარდს დასცვივდა ფოთოლი.  
ღამეს მზაკვარს, კუზიანს  
სიტყვა ვუთხრა როგორი?  
ზეცის შუბლი დაღარა,  
ამიტირა ლექსები.  
მისმა ჟწნმა დაღალა,  
მუნჯად დგანან ვერხვები.  
მხოლოდ ნისლის სუდარა,  
დაჭირხლული ვეღლები.  
აღარ გამოიდარა,  
ჩანგს შეუშრეს ცრემლები.

## გამომუცხარე, ღამლოცე ღება

მონატრებია თვალს ამო ფერი,  
მწვანე კორდები, ხასესა მდელო.  
აღარცხაიდან ხმები სიმღერის,  
და ეს კალამი რამ გაახელოს?

დღეები სწოვენ ძუძუებს ნისლის,  
გვერდს აღარ იცვლის გულგრილი ღამე.  
უფალი წყრება და... ვიცი რისთვის, -  
დღეს მტრის წისქვილზე წყალს რომ ასხამენ...

და გაუშლია სევდას ფაფარი,  
მომაძებნინა ლაგამი ბედად;  
სანამ მიმქრალა ბუხრის ღადარი  
გამომეცხადე ნუგეშად დედა.

ჩაგბერი სული იმედის მარცვალს,  
შევძლო, შევწყვიტო აფთა სარხარი.  
ჩემს ერს მივუძღვნა ლექსები რაც მაქვს,  
მას ეკუთვნოდეს სიტყვა ახალიც.

გამომეცხადე, დამლოცე დედა,  
ოთახმაც იგრძნოს შენებრი სითბო.  
გულში ჩაგტიე ამ ქვეყნის სევდა,  
შენთან შეხვედრას... მე უკვე ვფიქრობ.

## მჯობარი

ვაგროვებ სხივთა ფერებს,  
კეკლუცობს ცისარტყელა.  
მთებს, კორდებს ავამღერებ,  
ცის დაპირების მჯერა.

ფრიალებს სიზმრის აფრა,  
ელაციცება სიფრცეს;  
ვერ მომექაროს ზაფრა,—  
ჩვენს საზღვრებს შეგკრავთ ისევ,

ჩვენ გაგბრწყინდებით ისევ.  
ცაში ავარდნილ მწვერვალთ,  
რომ დაუქროლებს სიო,  
ფრთას გამკრაგს... ჰო, ეს მე გარ!  
გდარაჯობ კაგებასიონს.

## სმა იღებალი

თვალსხივოსანი რითმები  
სად მიეფარნენ კიდეს?  
რას მეხვევიან კითხვები, —  
მუზა გეწვევა კიდევ?

განათებულა დარბაზი, —  
ხმა იღუმალი, ფრთხილი...  
და... აპა, აჩრდილი საბასი,  
უნდა დამკიდოს მძივი!..

## ისევ ტუავს

ისევ რეკაგს სიყვარულის  
დედო ზარი,  
ქართველთა და ებრაელთა  
ბრწყინავს რვალი...  
გამრთელდება ცის და მიწის  
ყველა ბზარი,  
თრთის დავითის ფსალმუნი და  
შოთას ქნარი.

## მუზა

მუზა კვლავ რკინის  
ქალამნებს კერაგს,  
თან მოიწმინდა  
ჩუმი ცრემლები,  
ხვალის ნათლისა  
თუმც მტკაცედ სჯერა,  
თუმც ყალყზე დგანან  
ჭრელი გველები...

დრომ ყველაფერი  
არივ-დარია,  
ცას ენატრება  
ცისარტყელები.  
მეც რიხს გუსინჯავ  
მშთოთვარ დარიალს...  
ძირს სისხლიანი  
დამაქცევრები!!!

## გუცის ბრძანები

ზეცის დაფისკენ გამექცა მზერა,  
გუგებში ჩაშრა ცხელი ცრემლები.  
ჩვენ გავიმარჯვებთ, დიახაც მჯერა,  
დაჭრილ აფხაზეთს მოვეფერებით.

პეი, ბიჭებო, დასცხეთ დაირას,  
ცაზე აენთოს ცისარტყელები.  
სხვა შემართებით, სულ სხვანაირად...  
ჩვენ ჩვენს აფხაზეთს მოვეფერებით.

სხვაგვარ ციმციმებს თვალთა კანდელი,  
მაღლს უხვად აფრქვევს სურვილთა წყებას.  
წინ გასაფლელი გზა გვევს რამდენი,  
მაში, შეეკარით ერთმანეთს ძმებად.

მიაყურადეთ მშტოთვარ დარიალი,  
სტკიფაო გაგრას ნაიარები...  
ბედს შეგუტიოთ გულქვას, შარიანს,  
რომ გაფუმრთელოთ ზეცას პზარები.

პერ, ანგულთტნდ

რაღაც წერგიულად, რაღაც სევდიანად,  
ეს დღეც იწურება, მიღის.  
არა და არ იქნა, არ გაიშჩიანა,  
საცაა შემოვა ბინდი.

კარზე მომადგება, კარზე მომადგება,  
მრავალ შეკითხვათა ჯარი...  
გაგლახ, ღვთისმიერი საგზალი თავდება, -  
რა ვუთხრა იმედად ხეალის?

ალბათ ატირდება, ალბათ ატირდება,  
ტირიფიც წყაროსთან მდგარი.  
მერქე კი სველ მხრებზე შეძღვარი ტივებით,  
ბუხუნით ჩამიგლის მტკვარი.

ვიდრე იხითხითებს, ვიდრე იქირქილებს,  
ვიდრე მხრებს გაშლიდეს ღამე -  
ჰეი, ანგელოზნო, ვიდრე ცა იკივლებს, -  
ნუგეშად მითხარით რაშე!

სად სარ, ნიაუთ?

სად ხარ ნიავო,  
სად ეფარები ღობეს?  
მო, ფრთები აუშრიალე,  
არწივებსა და ორბებს.

შეიცვლებოდეს ამინდი,  
თერგი სხვა რიხით რბოდეს.  
ნიავო, მუზის ნიავო,  
უპირველესად უფლის, და...  
შენი იმედიც მქონდეს?

ნისლის ფარდების მიღმიდან  
სატანა აღარ ხმობდეს.  
ჭირში და ლხინში ქართველი  
ქართველს გულითა ძმობდეს.

აღამი, ჩვენი წმინდა აღამი  
ზე აღიმართებოდეს!!

„იმ“ ლექსის ჟინი

თვალებსაცერა იმედში  
წამწამებს არხევს მუზა...  
მოსელას მპირდება „იმ ლექსის“  
რომელს ველოდი მუდამ.

კვალს რომ გააქრობს მაცილის,  
მამულს ეღგება სვეტად...  
ცაო, დამპირდი, დამპირდი,  
არ დამამუნჯებ მეტად.

თორემ საკრავებს სულისას  
უდგათ ამინდი გრილი.  
ვარ სუნთქვა გაზაფხულისა  
და მჭირს „იმ ლექსის“ ჟინ!

სიტყვათა განძის ზედაშეს,  
ვიცი მიაგნებს სიო.  
მო, ახლა მუზავ მე და შენ,  
ვუმღეროთ კავკასიონს.

ჩემი ალილო, შაირი,  
იმედში სანთლად დნება.  
ყველა ტკიფილი გაიგლის,  
ოცნება არ ხუნდება!

## სიცელა გრძნელი

სიტყვა მოფრინდა სადათისფერი,  
მოვეფერე და დავსვი კალთაზე.  
მე ცისარტყელა მიყვარს შვიდფერი  
და აცელქდება, მწამს, ისიც ცაზე.

სიტყვა კი ბრწყინავს, რას არ მიამბობს!...  
ამაწყობინა ახლად ჩონგური!  
რომ შენ გიმღერო ადამიანო,  
შორის ჩვენგან ყველა ცრუ და ორგული.

## ღილის ჩმანება – უაქა

გარეკაგს ქარი ჯანდიან ფერებს,  
ფრთები შემახო ნიავება ნაზად.  
დასტა ნოტებს და დასტა სიმღერებს  
არაგვთან მაწვდის გენია – გაჟა.

მაწვდის იმ ლექსებს ჯიბიდან რაც აქეს; -  
წაუკითხეო იებს, ჩადუნებს...  
წუთი ბადებსო ცაზე სხვა გარსკვლაგს  
ბორბალს სხვაგვარად რომ დააბრუნებს.

მშოოოვარე ზეირთი კლდეებს თავს ახლის!  
ღვიგის ღაღარი გაჟაის ცეცხლის.  
მთები გასცემერენ არწივს ფრთებგაშლილს.  
დილის ზმანებას, აბა, რა შეცვლის?

ათას ლეგენდებს და მითებს აშლის,  
წყალი აპკურა ამ ნერგებს ვერცხლის!  
ჩემი მაცნეა ნიავი ჩარგლის, -  
გაჟას ფეხის ხმა შორიდან ესმის!!!

# გოჭლი შალიკაძეობო ————— მარათაშვილო...

წადი სიზმარო, აფო ჩვენებავ,  
თვალს ხიბლავს მხოლოდ შხეფი, საეკალი,  
მინიშნებებმა, ამ ცის მშვენებაშ  
უაშს ამოუღონ თვალში ეკალი.  
გისმენ შარიშურს, ჩურჩულს ფუნჯისას,  
რომ იკრებს გზა-გზა ღონეს და ძალას.  
როცა სხივოსნობს რწმენა უფლისა,  
ელამუნება სამშობლოს ალაშს!  
არაგვის პირას გაშლილ თეთრ კარავს,  
გით მოვარიდებ თვალს ზეცის მინას!  
ბარათაშვილო, ვხატავ შენს მერანს,  
ეპოქის შკერდზე ორბივით მფრინავს.  
და ვეგებები პირმცინარ დილას,  
რა სჯობსო კეკლუც არაგვის ნიავს?  
წამწამზე სხედან ფიფქინი წყვილ-წყვილად!!  
მეჯლისზე გხმობენ შენ... ნეტარ ხმიანს!

## გალაკციონი, გალაკციონი

იმ ცისფერ სუნთქვას ეპოქის მკერდის,  
ზეაღმაფრენას მიყყარ სადღაც.  
რომ პოეზიის მთავარი ღერძი, —  
გალაკტიონი შეზრდია ცარგვალს.  
ღვრის ღვთიურ პანგებს ღვთიური ქნარით,  
მზის პეშვით წურავს იდუმალ ბადაგს.  
და მღერის პწკარი, თუ ტოტი ქარის,  
ზღაპარში უხმობს იებს და ზამბახს.  
პოეზია და გალაკტიონი —  
ის ჭეშმარიტი ცხება მირონის!  
ზართა წკრიალი სულში სიონის...  
გალაკტიონის, გალაკტიონის!

## ღლიას აჩტრილთან

გული, ეს გული მხიარული,  
ბედნიერია!  
როცა იღია თავზე მადგას, –  
მთებიც მდერიან!!!

ხმა შეგუერთო, პოი როგორ  
ვნებით ეღიან,  
გარდ-ყვავილებსაც ვეღად ყელი  
მოუდერიათ!...

იგი – სუნთქვაა ფილტგების და  
თრთოლგა გულისა,  
ზემახილია მკერდგანიერ  
საუკუნისა!

.....  
ვდგავარ შენ ხატთან სიამაყის  
საგსე სურითა...  
მამად ეგულვი ერს მარადის  
მაგ ბუბუნითა!!!

\*\*\*

გეჩურჩულო უნდა ხეო, მაღალო,  
დღეთა გათვლა, ეგებ ჭეუაც მასწავლო?  
თორებ მტერი აქვე მიღვას „საბრალო“,  
ეს სტერები მინდა მისთვის გავთალო.  
სხვად გახადოს ეგებ ტკბილმა ჰანგებმა?  
მთლად წაგვლეპოს თორებ სისხლმა ამდენმა!

\*\*\*

ეს რა ჩაიდინე, ეს რა ჩაიდინე! —  
სინდისი მოგძახის მუდამ.  
სიზმრებშიც ქენჯნას გრძნობ იგივეს,  
არ დაუახლოვდე უგვანს.

ამხილე მოძღვართან შეცდომა მყისიერ,  
მტკიცედ შეეკარი უფალს.

\*\*\*

არ გაიხადო ხშირი სტუმრობა  
გინმესთან ყოფის წესად.  
პირიქით, აქეთ დასჭირდეთ ხმობა,  
ჩრდილი არ მოდგეს საკუთარ მესთან.

\*\*\*

სათნებაა სხვათათვის ზრუნვა!  
მავანი მხოლოდ წყალობას ეღის!  
როგორ სჭირდება მის სულს განკურნვა,  
იმედს მიშობდეს ახალი წელი...

გაეგეთოთ უნდა საქმენი სათნო,  
სხვა რა ვუსაგზლოთ ბაგარა ავთოს?!

\*\*\*

ბილწისიტყვაობა საიდან მოდის? —  
სათავე არის უმსგავსო ჩვევა!  
უნდა აღკვეთო, დაადო ლოდი,  
შენ ვით აღზარდო აღაძი, ევა?  
ისწავლო უნდა ცდუნების ძლევა.

\*\*\*

გინ თქვა მდინარე დუნე და მდორე,  
სიცოცხლეს უყვარს დუღილი, ჩქრილვა,  
გიჩქაროთ, სიკვდილს წაძი გვაშორებს,  
ნაპირი ელის ჩვენს მკიგან ხომალდს.

\*\*\*

მკითხავ, — რა მიყვარს ყველაზე მეტად? —  
უპირველესად ჭეშმარიტება.  
დგას ჩემში ტაძრად და ნათლის სვეტად, —  
რით გამოგხატავ მაშ, დგთის დიდებას?

\*\*\*

როცა ესწრატვი მიზნის მიღწევას,  
გზად წვრილმანი შეცდომაც იქნება.  
ტალღებზე ნავი ამოდ ინწევა,  
იფხიზღონ ოღონდ ციურმა რითმებმა!...  
გისწავლით ნისლებში უხილავის მიგნებას...  
და ჰა, თვალი ჩამიკრეს იდუმლად მამათა მითებმა.

\*\*\*

უშაღლესი ბედნიერებაა, აღამიანი ნამდვილი  
ადამიანის გვერდით რიმ ცხოვრობს, და თუ  
ის მას კარგავს სიკვდილით, მას ორმაგად  
უჭირს დიდი ტკიფილის გადატანა.

# ბოჭლი შალიკაშვილი

\*\*\*

კაცს სამართლიანს, ღირსებით საფსეს  
განდობდი სრულად ცხოვრების კანონს.  
ბედმა მატარა დამრეცილ გზაზე,  
არ მომატოლა ფრთა სიომა-ამომ.

\*\*\*

განდევნა უნდა დარღს და კაეშანს, —  
თავშეეკავება ნიჭია დიდი!  
მაგალითს მისცემ დაგითს, დარეჯანს,  
ეგულვი ისეც ბრძენი და დინჯი.

\*\*\*

გამოგაჩნენ საქმენი შენი, —  
მერე აა, დღეს თუ გადგია ჩრდილი.  
ჰიმნის მოგიძლენიან ქალნი და ძენი,  
საუკუნეთა სიმღერად იყლი.

\*\*\*

დრომ შეახორცის ჭრილობა ყველა: —  
მსურს დავთანხმო ძევლთა ხმას სრულად.  
ტკივილი იყო მთლად ზეინის ხელა —  
დღეს გელარ კივის ისე გაბმულად...  
უფლის ანგელოზს ვიგულებ მცველად!

\*\*\*

შემთხვევას, ოღონდ სასარგებლოს,  
ანგელოზს ეველრება ლოდინით აღსავსე გული.  
ჯვარს „იაღლუჯისას“ სიზმრადაც კი  
სულ ჩოქვით უფლის! ...  
უფალმა მმულს მოუშუშოს ოღონდ  
ნახმლევი წყლული.  
ცა ისმენს შეშფოთებული სტრიქონის სურვილს!

\*\*\*

ო, ნუ იკადრებ საქციელს უგვინოს,  
სად დაემალო უფლის თვალს, ან ცას?  
ღამეც შეიყვარე დე, თუნდაც უმთვარო!  
თვალე გარს კელავები, ვით ბავშვია ანცმა.

\*\*\*

შენი ნიგოსის სადარაჯოდ  
თუ დაგიდე ფიცი.  
არ გავტეხო ჩემი სიტყვა,  
ხასიათს არ ვიცვლი!

\*\*\*

გამოიჩინე სულის სიმშვიდე  
და მოთმინება,  
არ დააყოვნებს ბედის წყალობა.  
და მიჰყე ასე ნაბიჯ-ნაბიჯ დროის დინებას,  
და... ესწრაფე ჩიტიფით გალობას.  
ამპარტავნება და ქედმაღლობა  
თუ ცამ შეგნიშნა, მწამს, ეტკინება!

\*\*\*

ბედნიერების ზენიტზე ასვლას  
მიაღწევ მხოლოდ სიმართლის გზებით.  
სიკეთის მარცვალს დათესავ რასაც,  
ასგზის მოიშკი უფლისვე ნებით.

\*\*\*

ბედის სიმრუდე დაიხევს უკან,  
თუ ვაჟგაცურად დახვდი მის დარტყმებს.  
თუ რწმენით მაინც სალამურის უკრავ,  
ხატავ სამოთხის ვაშლებს თუ ატმებს...

ეჩურჩულები ბუნებას გზნებით, —  
მთების საფიქრალს მყისიერ ხდები.  
მაგ საზომებით მესხმება ფრთები, —  
მტკიცენი მამულს როგორ სჭირდებით!..  
კაცუნების კი... აქ მაქვს ნიღბები,  
რომელთ ავხადე უფლისევე ნებით.

\*\*\*

არ მიიყრუო, კაცის გქონდეს  
თუნდ მცირე ვალიც.  
გადაუხადე, შვება ექნას  
შენს თავქვეშ ბალიშს.

\*\*\*

სეფდა, დარდი კვლავ წიგნით განიქარგო,  
ადამიანს ნაღდს სულ ეძებ თუკი...  
მეგობრობა რუსთველური იწამო,  
უნდობლობა დღეს ნურავის უკვირს!

\*\*\*

ბუნებას გამრჯვე კაცისას  
შეპხარის ჩემი კალამი,  
მხმობს სიტყვა ლალი, თამაში —  
მეტყვიდრეს მიწის, ამ ცისას.

დაგაგუგუნებ სიძღერას,  
ბანს მომცემს მტკვარი, არაგვი.  
მტერიც მით გადაირევა,  
ტყველ რომ ვერ მგულობს ვარამის.

\*\*\*

თუკი უგლი შენს თაგს თვითონ,  
თუკი ზრუნავ მოყვასისთვის.  
ქველ საქმისთვის თუკი ფიქრობ,  
თავს არ ზოგავ რთული გ ზისთვის...

სიტყვით, საქმით გამბედავო,  
შეგიკვაზო ბედაური...  
ჟამის უჟამოს შევედავო, —  
სიბრძნე გაქო დღეს ფსალმუნით!

\*\*\*

ეს უდავოა, ეს შენ შესძელო,  
დროის სადაცე იგდე ხელადა.  
შენი ზრაპრებით ახალით, ძელით,  
გამხდარხარ ერის გულის მცველადა.

სხვაა დღეს ფერი შენი რეალისა,  
საძლერლად მხმობენ ვაჭაის მთები.  
კუნძულს არ ტოვებ კიდე-განისას, —  
გამჭოლი მზერით იღუმალს სწერები!

გამბედაობის გულმხნე სარდალო,  
შენზე სტრიქონი გით დაგამთავრო?  
აღმაფურნისთვის მაღლობა დიდი,  
აქ ხარ მაგ გულით და დიდი წიგნით!

\*\*\*

ექებს და ექებს თვალი მთელი ცხოვრება  
იმ ნეტარ სათავეს, – იმ უკვდავ წყაროს!..  
ო, არ გაპირებ ლექსთან განშორებას,  
უმისოდ წამიც კა... მაშინვე მშარობს!

\*\*\*

დროის ბრუნვაში, დროის სეღლაში  
იკვეთება ადამიანთა ბედის ასაფალ-დასაფალი.  
შეგძლოთ, გიჩქაროთ, რომ ვაჩუქოთ სხვათა  
და სხვათა სიხარული, თანაც მრავალი!  
ამით ხომ ბედნიერების მწვერვალს ახედავს  
თვით შენი გულიც ქართული და ასე აღალი.

\*\*\*

ბევრ შეგობარს აღუხ-მაღუხს...  
გირჩევ, გყავდეს ერთი, – ნაღდი!  
გაკეთება მეტის მაღუშს,  
როცა გგულობს ასე დაღლილს.

\*\*\*

ბრბოს უმეცართა ერიდო უნდა,  
მათში რაიმეს შეცვლის სურვილს  
არა აქვს აზრი.  
მათ შებლს ეშმაკის სხვა ბზუკი აზის!

## გამოსათხოვაზე პოლიტიკური მოქალაქეობის ნაწილი

მუხლი ჩახარისო ქარმა ცოდნიანია,  
ლექსით ღაღაღებდი ღმერთს თორ-აბჯრიანი.  
ღავცერი შენს წიგნებს, მაგ შუბლმა ცეკვიანია,  
რამდენი გადმოგვცა აზრები ფრთიანი....

ღმურან დღეს მეტად უფრორე ქარები,  
ტბორი დგას ცემლის და თქეშია სევდისა.  
„მუზამ მიგიხურა“ დროებით კარები,  
„იქ“ დაწურ მრავალ ლექსს შენეული გზნებითა.

რამდენ სითბოს ღვრიდა ეგ წვერი კალმისა,  
გრძნობას უბრწყინავდა ქართული თვალები.  
ნამექნის მიარდევებდი ნათელი ხეალისას  
და რამდენ სათქმელსაც გულით ატარებდი!

ოპოი, საწუთოოფ, მსახურალო, ტიალო...  
ცას ხეთქავს ქვითინი შენი მაყვალასი.  
მე ღრმად მწამს, მაგ ჩრდილით აქ უნდა იარო,  
თაობებს გასწვდები გალობით ხალასი.

წვიმს ჟინით, თავს ხრიან შენს სახლთან ალგები,  
ნაადრევს არქმევენ ჟამს შენი წასვლისას.  
არ გემშვიდობები ბერდია ამ ლექსით  
ფანდურზე გიმდერო სიზმარში ნახევისას.

შენი ანგელოზნი ფრთებს ჩუმად მიქნებენ,  
ფრთებით მოუხაზავთ მიჯნა იღუმალი.  
აქ, სვეტად იღმები მარადის ისევე,  
კაცი - რა ზე კაცი შპრწყინავი გუმანით.

28.09.2009წ.

## ძალბაცონ ლურუს

სურვილთა წყება და წყება,  
ჩურჩ ღი სიმებთან ქნარის.  
უეგმართონ უფრორე წლებმა,  
დღეს შენთვის მინთია კვარი.

წინ შენი ხატება დგება,  
მეტადრე ნათელი კვალით.  
გყო ღმერთმა ბედნიერ დედად,  
გარს მივლის სიაშის ალი.

ვენაცვალე განგების ნებას,  
ჩვენს გრძნობებს მზის ყველა თვალი.  
უეგგრაცხა დრიდან ჩვენ დებად,  
ვიდოდეთ სიმტკიცით რგალის.

მომყება გუგუნი მთათა,  
ზეობდე ფუძით და ჭერით.  
მფარავდეს ღვთისმშობლის კალთა,  
მუზავ დღეს ჩემი სიმღერის!

22.12.2009წ.

\*\*\*

უმოქმედობა ყოვლის სენია,  
დამახურეველი ჯანის: —  
გითხარ და ვიცი, არცა გწყენია,  
და...გაკვირდები ამდენი ხანი!  
და როცა იწყებ გარვიშებს დილის,  
სიხარულისგან ეს სული კიფის!

\*\*\*

მიაგნებ წყაროს სათავეს,  
გიპირობს ძიების ჟინი.  
ჩიტებიც მეჯლისს მართავენ,  
ხიბლავთ გრძეული მძივი!

ბუნების წიაღს ღრმად სწვდები,  
თავს ხრის ალგათა მწკრივი...  
კვეთე სივრცენი მაგ ფრთებით, —  
სიმღერავ სულის სიმის.

\*\*\*

მარტო არა ვარ, არა,  
მეგობრად გგულობ კალაშს.  
განდობ სიხარულს, ვარაშს,  
გაგცერით ხვალის სავალს.

\*\*\*

თუ აგაკუნებს სიბერე კარზე,  
მეტი იფიქრე უფრო შენს თავზე.  
ვარჯიშს უმატე, თუნდ აივანზე,  
ჯანმრთელი იყო უფრინე სხვაზე.

\*\*\*

ბეგრის მოსურნეს ცა არ მოუსმენს,  
ღარიბს უბოძებს საჭიროს ღმერთით, —  
თავს დაჰგარგარებს მოწმუნეს კვერთხით.

\*\*\*

რომ არ აღმოჩნდე უმეცართ წრეში,  
ააგე მათგან ქვითგირის ღობე;  
რომ გეღარ გაგკრან სიმშურნის ეშები,  
შენ გაჰყე რწმენით მოლიბულ კბოდეს.

## გოქლი შალიკაშვილი

\*\*\*

თავს ვკითხავ ალბათ სიკვდილის ჟამს,  
ეს კარგად გიცი,  
თუ ფნატრებდი ამა სოფლის ისევე ხილგას?  
გადაეფაროს სანამ თვალებს „ის შავი“ ნისლი...  
მწამს, რას დამიწერს ანგელოზი დაფაზე წვრილად:

„იქ“ შეიძლება, „იქ“, მიღწევა დიადი მიზნის!..  
(ბედმა გამწირა, უსიყვარულოდ მაცხოვრა, რისთვის?)  
და ... აგრძელებენ სიზმარეული სანთლები ლიცლიცს,  
მიგყვები ქოროს, ცათა სართულებს წამებში ვიცვლი!

\*\*\*

არ დავითვალო წელთოდენობა,  
არა და არა,  
ჟამი ყოფნისა ორივე ქვეყნად მეტად გრძელია!  
გელარ ვიცილებ თავიდან კითხვას, —  
მეტადრე მთავარს: —  
„იქ“, მეცხრე ცაში, შენი მიზნებით  
თუ მიგელიან?

\*\*\*

ნურც გამოიძევ ფესვებს ჭორისას, —  
ჭორთა „ბიუროს“ აქციე მხარი.  
შენ სხვა სტილის ხარ და სხვა დროისა,  
ენთე ღეთისათვის, გით კელაპტარი.

\*\*\*

საქმე დაიწყე? — გაასრულე ბარემ ბოლომდე,  
ძალი თავშივე გაიაზრე, შეგწევს თუ არა.  
არ ჩაიმუხლო დასაზღვრულ დრომდე,  
რწმენით გაიკვლევ ნამქერს და წევარამს.

\*\*\*

ყველას ადუნებს სიბერის ჟამი,  
სიზარმაცემ არ გააუხეშოს ეგ ტანი; —  
ბადაგი რომ მიიღო, ხალისით დაწურე მტევანი.

\*\*\*

სიაფის გრძნობას სასწრაფოდ ამოსდე ლაგამი,  
სულს სიწმინდე შევნის და არა ნაგავი.

\*\*\*

დუმილს გააჩნია, სად და როდის  
უჯობს დახანება, ან სიჩუმის დარღვევა.  
შეიძლება სიბრძნე იქადაგონ მხოლოდ თვალებმა.

\*\*\*

წრე ჯადოსნური — აღძრული შურით,  
ჩვენს ნაშრომებზე დუმილს რომ რჩეობს...  
მწამს, ის დროც მოვა, დრო — ჩვენებური,  
სხვათა კალამშა, ამ ყოველზე, ჯეროვნად წეროს.

\*\*\*

იგავ-არაკი ჭრელი ცხოვრების  
„ერთი ამოსუნთქვით“ დაგიწერია!  
სათქმელის არსო, ჰაი, გილი...  
საით, საით გაგიწევია?!

\*\*\*

მომხეველთა წრეში გხედავს თვალი,  
აქ ყალბია სიწმინდეზე შენი ნაუბარი.

## გოქლი შალიკაშვილი

\*\*\*

საამოა საცეკვლად დროის თეთრი აფრები,  
წერე, ილაპარაკე გულის წრიფელი განცდები...

\*\*\*

მერე რა, რომ ბიჭუნას კუნთები აქვს სუსტი,  
მომწონს სხარტი გონებით, თვალთა ხედვით ზუსტი.

\*\*\*

აქა-იქ საუბარში გამოგონილი „მიამიტობა“...  
კარგი ბუნება მახვილი თვალით  
მაინც იცნობა!

\*\*\*

დღეგანდელი დღე მშობელია  
ხეალინდელისა,  
უკუღმართობას ვით მიუხვდე უნდო  
ბედისას?!  
იმედი იდგეს შენს წინ ოღონდ,  
სახეკრიალა,  
თვითონ გარგოდე ყველა დროში  
ადამიანად!

\*\*\*

თავისუფლების მოტრფიალემ შესძლოს  
ყოველი,  
მას არ იტაცებს დიბა-ატლასი, დასცინის  
ოქროს...  
ეგულებოდეს მოკვდავთ ოღონდ შუქთა  
მთოველი,  
თავის ქოხის კარს რომ არ ადებს არასდროს  
ბოქლომს...

\*\*\*

ფრთხილად, წარმატებებმა ნეტარების და  
სიმუშიდის დაქალად არ გაქციონ.  
ძელბედობის უამს  
იმედის აკვანი უნდა არწიო.

\*\*\*

შენი ნაღდი მეგობარი ფინაა? —  
ის, გინც ჭირში გვერდით გიდგას,  
დარია თუ ყინვაა.  
გინც აღანთო შენმა წინსვლამ, მაგ  
კვარცხლბეჭზე ხილვამა!

\*\*\*

ისწავლე სიჭაბუკის წლების დაფასება,  
სინანული დაგკივლებს, როცა ის თვალს და  
ხელს შუა დამთავრდება!

\*\*\*

სულიერი შრომა ასაზრდოებს  
დიდ ადამიანებს.  
მათი ცისკარი ცაზე ამობრწყინებას,  
მწამის, არ დააგვიანებს!

\*\*\*

გაფაფრთხო ეჭვი სიკვდილის შიშის,  
სიტყვას მოვუხმობ ახალს და ახალს!  
მთების წიაღში ღექვსითვის გიშვი,  
მედგრად აღვუდგე ბედს, ასე მსახურალს.

\*\*\*

შეგეძლოს უნდა მოძებნა საგნის,  
მწერალს შეგწევდეს სამისო ძალა,  
ზე თუ ვერ ასწევ, დაწყებად არ ღირს,  
თვალი ზომავდეს ღორლიან საგალს.

\*\*\*

მოდგება კუშტი სიკვდილი — მეფე,  
გინ იყავ, რა ხარ, არ გკითხავს ერთხელ.

\*\*\*

არ მოკვდებიო: — ეს წუთია ზევიდან მესმა!  
გაღვივდებაო სტრიქონთა ხნულში  
მარცვალი შენი!  
სიკვდილს გარდუვალს შევხვდე მშვიდად,  
არ აღმომხდება ოხვრა და გენესა,  
დაობლდებიან, ეს კი გიცი, ღექსები ჩემი.

\*\*\*

ქებას და ხოტბას იმსახურებენ  
მხოლოდ ერთეულები, გინც  
ციური ნიჭით მომადლებულნი არიან.  
არ დავახანო, დიადის მაუწყებელთ  
გუმღერო გზნებით ჩემი არია.

\*\*\*

სათქმელის მოკლედ თქმა ოსტატის ხვედრია, —  
ხსოვნაში რომ ჩარჩება დაჭითს თუ მედეას...

\*\*\*

როდესაც წერ, გრძნობ მკითხველის მზერას! —  
დახვეწილი გემოვნებით სავსეს.  
შენი სტრილის და სიმართლის სჯერა?  
ან რა საგზლით უგსებ მჭვირგალ თასებს?

\*\*\*

ცა გრგვინავს ძალუშ, მეხთატეხაა...  
უშიშრად შესცეკრს მას მხოლოდ გმირი.  
ღვთისადმი რწმენა! აი, ესაა,  
კმაყოფილია საგზალით მწირით!

\*\*\*

უსამართლობა საშინელი და შემზარავია, —  
ვაი, რომ უკანონობის მოყვარულნი  
ირგვლივ მრავლად არიან!

\*\*\*

ფლიდის და ყალბის გამოსწორებას თუ შეეცდები,  
სანამ მასში სინდის გააღვიძებ, არ აწყენს,  
გვერდებს თუ დაუჩევლებ ეპლებით.

\*\*\*

გვიან მიეხვდი, ყელას „დაო“ — კატო,  
ჩემთან „დობას“ ვერ ახერხებ, აღარც გვითხავ —  
რატომ?

\*\*\*

რატომ შებმიხარ აბა მაგ საჭმეს?!  
რის გასრულებაც არ ძალგიძს, არა.  
მიმბაძელობის სურვილი დათმე, —  
თოხი აიღე და... თანაც ჩქარია.

\*\*\*

უსაზიზღრესი გრძნობაა შური, —  
ვაის შეჰერის, ვისშიც იდებს ბინას.  
სიგეთისთვის დახშული აქეს ყური,  
შიშველ სულით ჰგავს უანგიან რეინას...

\*\*\*

სიხარულს იწვევს გამდიდრება მაშინ,  
როცა ის პატიოსანი გზითაა მოპოვებული.  
ასე აგრძელებ ცხოვრებას ქველი საქმეებით  
დაკაებული, ღვთისა და მოყვასის ერთგული.

\*\*\*

განერიდე მოლაყბეთა ყაყანს,  
ნაბოდვარის მათის როცა არ გწამს.

\*\*\*

თავის უზნეობას ადამიანი თავისიგე საქციელით ამხელს,  
რაზე უნდა ელაპარაკო — თავხედს?

\*\*\*

ცხოვრების გაუმჯობესების სურვილები დიდი  
და მწეველია.  
იღვაწე პატიოსნად, და ნურავის დაუთმობ  
მას, რაც შენია!

ჩუმთ ფონჩავ

ჩემი მშობლიური სოფელი ტონხა მიტოვებულია. სოფლის მოსახლეობა  
გადასახლდა კარგა ხანა დუშეთთან ახლოს. ეს ღუჯის მიხი ტკიფილია:

ჩემო ტონხავ, კარგად ვიცი  
დაგეკარგა იმედი.  
გხედავ, ხალხმა მიგატოვა,  
უღვთოდ დაცარიელდი.

აღარა გაქვს ძველებური  
სიცოცხლე და ხალისი.  
გამოკეტილ სახლებიდან  
ბაი-ბურიც არ ისმის.

ვინ აგავსებს ჟრიამულით,  
ვინ მოგივლის, ვის ელა?  
ერთადერთი წყარო შეგრჩა,  
არ ჩანს მასთან მიმსვლელიც.

მოწანწყარობს, მოჩხრიალობს,  
გადახსნია იარა.  
წყურვილს ახლა ქვიშას უქლავს,  
ადამიანს კი არა.

წყაროვ, მოველ, გინახულე,  
მორბი კლდეთა სოროდან.  
წყალი ხარ, თუ ცრემლები ხარ,  
მათი, ვინც აქ ცხოვრიბდა?

ო, ტკიფილმა უგნებელმა  
გულში დარღი ალესა.  
ფიქრში გხედავ მამის ლანდს და  
მის ცრემლიან თვალებსა.

მიყურებენ ნარგავები –  
მოშრიალე ობლები.  
ტონჩის მიწას მივაბარე  
სამი ძმა და მშობლები.

საყვარელო ჩემო ტონჩავ,  
დამრჩი როგორც ზღაპარი.  
ჩემი ფიქრი, ჩემი ცრემლი,  
ჩუმი სუნთქვაც აქ არის.

სიზმარ-ცხადის ტბაში გცურავ,  
გამიხსენეს წყლულებმა.  
და ბავშვობას დაუძახეს  
შიშველ ფეხის გულებმა.



## პ ე ტ ჲ ა

მოგონიშვილის სატუმლიდან

ეძღვნება დედის ხსოვნას

ნათელა ის იყო აივნიდან სახლში უნდა შემობრუნებულიყო, რომ  
მეზობლის ხმა შემოესმა.

ის რუსიკო იყო. თავისი კარის მეზობელი, რომელთანაც თავიდან-  
გე კარგ დამოკიდებულებაში იყო.

- რამდენჯერაც შეგეხმიანე ტელეფონით, ვერცერთხელ სახლში  
ვერ გნახე, სოფელში ხომ არ იყავი ეს დღეები წასული?

- ხო, რუსიკო, ჩემი დაქალი – მაყვალა გავიყოლე, საფლავს მივხე-  
დე, გავწმინდეთ, სანთელი დავუნთეთ...

რუსიკოს ხელში ეჭირა თეთრი პარკი და წიგნი.

- აი, ეს ის წიგნია გარდაცვლილთა სულებზე, შენ რომ მთხოვე და  
აქ პატარა სოფლის ნობათია დედამ გამომიგზავნა რაღაცები – თხილი,  
კაკალი და ცოტა ლობით, პოდა მინდა შეწც გიწილადო.

- პო, შეწუხდა ნათელა. როგორ სწუხდები, რატომ იკლებ? ერთი  
ადამიანი ვარ, განა ჩემს სამყოფს ვერ ვიყიდი?

- განა ვერ იყიდი, მაგრამ ამისთანა გემრიელი ვერ იქნება, გენაც-  
ვალე, ეს გორის მიწაზეა მოყვანილი. პო, მანდ გაშლებია კიდევ.

- პო, გორის გაშლს რა შეედრება. რუსიკო, ყველაფრისათვის დი-  
დი მადლობა. ახლა ბოდიში უნდა მოგიხადო, გასასვლელი ვარ და იქნებ  
საღამოსკენ ჩემთან შემოხვიდე, ჩაი ერთად დავლიოთ და თან იმ კინოს 7-  
ზე რომ იწყება, ერთად გუცუროთ.

- ალბათ, ვერ შეგძლებ, ჩემმა ნაზომ დამირეკა: ისეთი შეზხარავი  
ამბავი მომხდარა. მისი დედამთილის მისშვილს თავისი პაპა მოუკლავს  
და იქ ვაპირებ წასვლას.

## გოგო შალიკაშვილი

- როგორ თუ მოუკლავს? ჰო, აუკუწია ასო-ასო და მის „ამქრებს“, სარდაფში ჩაუტანათ, პოლიციას უგვე ღაუჭერია ისინი; სამნი ყოფილან - გარეწრები.

ნათელას ურუოლამ გაუარა ტანში. - ჰოდა, „ბაგშეს“ არ შეეშინდეს, ახლა იქ მათთან ასეთი ამბავია, მინდა იქაურობას გამოვარიდო, ძლივს დარჩა ფეხმძიმეთ, მუცელი არ მოეშალოს და...

- ია, რა კარგია! ნაზო ფეხმძიმედა?

ნათელამ გულწრფელად მიულოცა.

- კარგი, ძვირფასო, - კველაფრისათვის დიდი მადლობა. საღამოს ტელეფონით შეგეხმანებით.

ნათელამ სასწავლოდ ჩაიცეა, გასასვლელი იყო ბანკში, ტელეფონის გადასახადი უნდა გადაეხადა, თორემ ხვალე გაუთიშავდნენ. არა და ერთი სული პქონდა, ამ წიგნის კითხვა დაეწყო.

გზას ფეხით გაუყვა, მას ფეხით სიარული საერთოდ უყვარდა. ბანკი ახლოს იყო თან. აი, ხელავს, იქვე სკერთან, ხის ძირას ვიღაც ახალ-გაზრდა მამაკაცი წევს მოკუნტული, სახე არ უჩანდა, შარგალი სულ დასველებული... მიხვდა რომ მთვრალი იყო, გათიშული. ეცადა, გონში ჩაეგდო, ხელით შეეხო: - ადექით, ადექით, გაცივდებით, ის ოდნავ შე-იშმუშნა მხოლოდ. ნათელამ მიიხედ-მოიხედა, რომ ვინმესთვის შეელა ეთხოვა და აი, მართლაც შენიშნა, იქვე აქეთ მომავალი ახალგაზრდა მა-მაკაცი, რომელიც მიიხმარა და ასე ერთობლივად, როგორც იქნა ააყენეს. მამაკაცი ქართველი არ იყო. ან სომეხი ან ქურთი უნდა ყოფილიყო.

გაბრუებული, გალურჯებული, ეტყობოდა ლოთი ან ნარკომანი იყო. ის მათ სახლმდე მიაცილეს, კიდევ კარგი იქ ახლოს მაცხოვრებელი აღმოჩნდა.

წარმოიდგინა ნათელამ მისი ოჯახი, თუ როგორ შეწუხებული იქნებოდა მის გამო.

ეჲ, რამდენი ახალგაზრდა შეიწირა ამ სენმა... კიდევ კარგი რომ შეგნიშნე და ოჯახს მივუყვანეთ. ეგ რომ დიდხანს მანდ დარჩენილიყო, რა გადაარჩენდა, გაცივდებოდა, მოკვდებოდა, ფიქრობდა უკან მობრუნებული ნათელა.

## ჩუქუსთავის კანდიდატი

ნათელამ ღიაფების ღილაკს ხელი დააჭირა, ღიაფები არ ჩაირთო. ეჭ, არ მუშაობს ისევ, რაში ვუხდით 10 ლარს? ჩაიღაბარაკა მან და ფეხით აუყვა გიბეებს. ხალხის ყაყანი შემოესმა, რაღაცაზე ბჭობდნენ.

- რა კარგია, რომ თქვენც აქ ხართ, ფულს ვაგროვებთ ავტო ფარეხებთან დაკავებინებით, ერთხელ და სამუდამოდ დავიკანონოთ. პირველ ეტაპზე 50 ლარია ოჯახზე გადასახდელი და მერე ვნახოთ.

- ეს საჩქაროა? ახლა მე არ მაქსა ამდენი ფული ერთად.

- ისე თვალს და ხელს შუა გაებარა ეს დღე ნათელას. რის გაკეთებაც ჰქონდა გეგმაში, თითქმის ყველაფერი კი მოასწრო, საჯარო ბიბლიო-ოთებაში წასვლა ხეალისათვის გადადო. ფარჯარაზე ფარდას გამოსწია, საცაა ბინდი შემოეკიდოდა. ისე ლამაზად ბარდნიდა. თბილისის გარშემო მთებზე საკმაოდ დაედო თოვლი. თითქოს მთები თაგს იწონებდნენ: აი, ჩვენც ახალი სამოსი გვაციაო და კიდევ რაღაცის მოლოდინში იყვნენ ამ საახალწლოდ. ახალ და ახალ ამბებს ელოდებიან ხალხთან ერთად... ეზოში ჩამწერილებული ნაძვის ხეებიც ისე პატარძალივით „თეთრ ფატაში“ იყვნენ გამოწყობილნი, სიძეს ელოდნენ თითქოს, გარინდულნი. ირგვლივ ბავშვები ურიამულობდნენ. თოვას შეხარიდნენ და კიდევ „ცუცას“ ახალ გაჩენილ ლეკვებს. მიპჰონდათ მათოვის საჭმელი. ისინი სულ რაღაც ერთი კვირისანი იყვნენ. მათი დედა „ცუცა“ სადარბაზოში ცხოვრობდა და აბინძურებდა იქანბას. მასთან სხვა ძალლებიც სტუმრობდნენ. ცუცას „ართობდნენ“ ხან კი ერთმანეთს წაეკიდებოდნენ „ცუცას“ გულისთვის ალბათ. შემდეგ მეზობლები შეიგრინენ „ცუცას“ ბედზე იმსჯელეს. ერთმა ისიც კი თქვა: - ხომ არსებობს სპეციალური სამსახური, დაგრეკოთ ცხელ ხაზზე, მოვლენ და წაიყვანენო; არა და ცუცა მაკე იყო, მუცელი კარგად ეტყობოდა.

- უიმე, არა, - ერთმა თქვა, - ისინი თუ მოვლენ, დაიჭერენ, წაიყვანენ და იქ მოკლავენ, როგორც უპატრონო ძალს. ეს ძაღლი ასე უწყინარი, რამდენი წელია ამ კორპუსშია შემოხიზნული და ახლა ასე როგორ გაგწირავთო. უნდა ვიღონოთ რამე, მას სხვა აღვილი მივუჩინოთო. და აი, მიუჩინეს კიდეც. მეზობლის მამაკაცებმა ფიცრებისაგან შეუკრეს სამყოფი ბინა, დაუთბუნეს. ბავშვები მორიგეობით საჭმელს და სასმელს უზიდავენ. ასე რომ ალბათ სხვა ძალლები ახლა „ცუცას“ ყოფას შენატრიან.

## გოქლი შალიკაშვილი

აგერ, ახლა, ამ ერთი კვირის წინ მან ექვსი ლეკვი გააჩინა, სულ ერთმანეთზე უკეთესები, ისეთი ბუხუნჩალები, ლამაზები არიან, დედას წააგვანან, ის ერთი მაინც ... ჰოდა, არიან ბაგშვები ერთ ამბავში, ზრუნვას არ აკლებენ.

